

ISSN 1512-0325

saqar Tveloskerami ko sTa aso ciaci i s Jurnal i  
**JOURNAL OF THE GEORGIAN CERAMISTS' ASSOCIATION**



ker ami ka **CERAMICS**

samecni ero-teqni kuri da sawarmoo il ustrirebuli,  
registrirebuli, referirebadi Jurnal i

2(32).2014

## ს ა რ ე დ ა ძ ვ ი მ კ ლ ე ბ ი ა:

ი. ბერძენიშვილი, მ. ბიბლაშვილი, გ. გაფრინდაშვილი (მთ. რედ. მოადგილე),  
ა. გრიგოლიშვილი, რ. თურმანიძე, მ. ქეკელიძე, ზ. კოვზირიძე (მთ. რედაქტორი),  
ნ. კუციავა, რ. მამალაძე (მთ. რედ. მოად.), ზ. მესტვირიშვილი, მ. მუჯირი, ნ. ნიუარაძე  
(პასუხისმგებელი მდივანი), ა. სარუხანიშვილი (მთ. რედ. მოად.), ა. სოხაძე, გ. ტაბატაძე,  
ე. შაფაქიძე, რ. ხუროძე, თ. ჭეიშვილი.

## EDITORIAL BOARD:

I. Berdzenishvili, M. Bibilashvili, T. Cheishvili, G. Gaprindashvili (vice-editor-in-chief), A. Grigolishvili,  
M. Kekelidze, R. Khurodze, N. Kuciava, Z. Kovziridze (editor-in-chief), R. Mamaladze (vice-editor-in-chief),  
Z. Mestvirishvili, M. Mujiri, N. Nizharadze (executive secretary), A. Sarukhanishvili (vice-editor-in-chief),  
A. Sokhadze, G. Tabatadze, R. Turmanidze, E. Shaphaqidze.

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

И. Бердзенишвили, М. Библиашвили, Г. Гаприндашвили (заместитель главного редактора),  
А. Григолишвили, Р. Турманилзе, М. Кекелидзе (главный редактор), Н. Куциава,  
Р. мамаладзе (заместитель главного редактора), З. Мествиришвили, М. Муджири, Н. Нижарадзе  
(ответственный секретарь), А. Саруханишвили (заместитель главного редактора), А. Сохадзе,  
Г. Табатадзе, Е. Шапакидзе, Р. Хуродзе, Т. Чеишвили.

შურინალზი „კერამიკა“  
გამოცვენაული სტატიების  
მიღწევადი თვემატიკა

ყველა სახის მიხის,  
კერამიკის, კერამიკული და  
არღიავრული კომპოზიტების,  
ზეგამტანი გასაღების,  
ჭიქურის და მინერალის,  
სხმული კვის,  
მინერალური პაგბის,  
მჭიდრო გასაღების, ცემენტის და სხვა  
არარეალური,  
მელდენგადი,  
ახალი და ტრადიციული მასალის  
სფეროში  
ჩატარებული სამუშაოების და  
მიღწევადის თანხისა და  
მიღწევა და  
მიღწევა და  
მიღწევა და

შურინალზი აგრძილება  
შესაძლებელია განთავსდეს  
სტატიები შემდეგ საპირისპირო:

- ✓ ახალი ტექნიკა, მოწყობილობა  
სანარმოთა და წარმოების ტექნიკური გადამარატება.
- ✓ სანედლეულო ბაზის განვითარება, ნედლეულის რაციონალური გამოყენება, მათ შორის ადგილობრივი წარმოების ნარჩენების.
- ✓ რესურს- და ენერგოდამზოგველი ტექნოლოგიები. გარემოს დაცვა.
- ✓ სანარმოთა სამუშაოები მოდვაწეობა საბაზრო პირობებში, ეკონომიკა, მარკეტინგი.
- ✓ საქართველო გამოცდილება.
- ✓ ინფორმაცია, რეკლამა.

გამოყვანის სფეროში

- ენერგეტიკა
- მშენებლობა
- სახალხო მომარევის საგნები
- ქმია და ქმიური ტექნოლოგია
- მასალათმცოდნეობა
- მეტალურგია
- ელექტრონიკა და ელექტროტექნიკა
- მედიცინა
- ოპტიკა
- სხვა სფეროები
- გარემოს დაცვა

## ВОСПОМИНАНИЕ

### ГАЛИНА НИКОЛАЕВНА МАСЛЕННИКОВА



Кафедра технологии силикатов и технологии, инспекции и контроля керамических, полимерных и бионаномедицинских композиционных материалов Грузинского Технического Университета и Грузинское Керамическое Общество с большой скорбью узнали о кончине выдающегося ученого, благородного, добропорядочного, обаятельного человека, уважаемой Галины Николаевны Масленниковой. Галина Николаевна в течение долгих лет сотрудничала с керамиками Грузии. Как ученый мирового масштаба с широким диапазоном знаний, она открыла путь в области науки и технологии керамики многим молодым ученым. Весь свой опыт и знания передавала им. Она была оппонентом профессоров З. Ковзиридзе, Е. Харашвили, Г. Лоладзе и других.

Галина Николаевна оставила неизгладимый след в установлении не только научных контактов, но и просто человеческих отношений. Взаимоотношение с ней было всегда праздником. Доброжелательная, своей бескорыстностью, огромной человеческой теплотой всегда украшала нашу жизнь. Память о ней останется надолго в сердцах её грузинских коллег.

*ПРОФЕССОР ЗВИАД КОВЗИРИДЗЕ, ЗАВ. КАФЕДРОЙ ТЕХНОЛОГИИ, ИНСПЕКЦИИ И КОНТРОЛЯ КЕРАМИЧЕСКИХ, ПОЛИМЕРНЫХ И БИОНАНОМЕДИЦИНСКИХ КОМПОЗИЦИОННЫХ МАТЕРИАЛОВ ГРУЗИНСКОГО ТЕХНИЧЕСКОГО УНИВЕРСИТЕТА, ЧЛЕН СОВЕТА ВСЕМИРНОЙ ФЕДЕРАЦИИ КЕРАМИКОВ И ЕВРОПЕЙСКОГО КЕРАМИЧЕСКОГО ОБЩЕСТВА, ПРЕЗИДЕНТ ГРУЗИНСКОГО КЕРАМИЧЕСКОГО ОБЩЕСТВА.*

*ГРУЗИНСКОЕ КЕРАМИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО.*

## **В ПАМЯТЬ О ГАЛИНЕ НИКОЛАЕВНЕ МАСЛЕННИКОВОЙ**

**(1926-2014)**

23 августа 2014 года ушла из жизни одна из могикан керамической науки нашей страны Масленникова Галина Николаевна, профессор, д.т.н., заслуженный деятель науки и техники РФ, автор многочисленных научных публикаций, член диссертационных Советов в различных вузах страны, член экспертного Совета высшей аттестационной комиссии СССР и РФ (ВАК).

Галина Николаевна Масленникова, 9 февраля 1926 года рождения, была родом из Твери. Во время Великой отечественной войны она, юная девушка, до измощдения пахала на тракторе колхозные поля, таким образом внося свою лепту в достижение великой победы. Вероятнее всего этот жизненный опыт сковал ее характер, бескомпромиссный, уважительный и терпимый к окружающим, преданный делу и своим ученикам, любящей семьью и близких людей.

После войны Галина Николаевна поступает в Московский химико-технологический институт им. Д.И. Менделеева, который заканчивает с отличием в 1949 году. После окончания института начинает работать в Государственном исследовательском электрокерамическом институте (ГИЭКИ) в г. Москве инженером-технологом. После защиты диссертации на соискание ученой степени кандидата технических наук в МХТИ им. Д.И. Менделеева в 1951 году ее переводят на должность старшего научного сотрудника ГИЭКИ. Вскоре в 1952 году ей доверяют руководство научной группой в этом институте.

Галина Николаевна представляет свою докторскую диссертацию, посвященную проблеме керамики, которую блестяще защищает и в 36 лет становится молодым доктором технических наук.

В 1962 году возглавляет кафедру в Московском инженерно-экономическом институте им. Серго Орджоникидзе. С 1975 по 1986 год Галина Николаевна декан факультета управления в химической и металлургической промышленности, в преобразованном приказом Минвуза СССР в Московский институт управления, в настоящее время этот институт носит название Государственный университет управления им. Серго Орджоникидзе.

За время своей трудовой и научной деятельности Галина Николаевна подготовила более 50 учеников, в том числе кандидатов и докторов наук. География ее учеников не имеет границ, в настоящее время они возглавляют кафедры, преподают в институтах, университетах, работают в керамических производствах не только в нашей стране, но и в Болгарии, Германии, Эстонии, Белоруссии, Кыргызстане, Молдове, Украине, Узбекистане.

Зачастую являлась официальным оппонентом многих диссертаций, посвященных проблемам переработки керамического сырья, совершенствования технологии тонкой керамики (фарфора), разработки новых видов керамических красителей, новых методов определения качества керамики,

в том числе белизны фарфоровых изделий и др., подвергая справедливой критике представленную работу, всегда тепло, уважительно и по-доброму относилась к диссертантам.

Научные идеи Галины Николаевны по совершенствованию технологических процессов изготовления фарфоровых изделий после многочисленных аprobаций внедрялись в предприятиях по выпуску керамических красок, электротехнического и художественного фарфора, на Дулевском красочном заводе «Электроизолятор», в производственном объединении «Гжель» и др. Научный вклад профессора, д.т.н. Масленниковой Г.Н. в керамические производства неоценим.

Технические советы на производственном объединении «Гжель» с участием д.т.н., профессора Масленниковой Г.Н. всегда имели научный характер, проходили очень оживленно. Рассматривая проблемы повышения качества выпускаемой продукции, Галина Николаевна всегда обращала внимание производственников на проведение глубоких исследований как традиционными, так и нетрадиционными методами в различных областях технологического процесса - переработки сырья, картирования печи, технологического контроля и др.

Обширные и своевременные консультации, проведенные Галиной Николаевной, позволяли не только решать сложные технологические задачи на заводе, но и поднимали уровень квалификации технического персонала.

Идея Масленниковой Г.Н. - профессора, д.т.н., заслуженного деятеля науки и техники РФ по созданию керамического научного центра в «Гжели», где сосредоточены многочисленные керамические предприятия различного характера (электротехнический и технический фарфор, майолика, художественный и бытовой фарфор, фарфор народно-художественного промысла и карьер глины), и сегодня очень актуальна.

Светлая память великому ученому, большому учителю и другу.

*Русович-Югай Л.Х., к.т.н., доцент, Лауреат Гос. Премии  
СССР, Гжельский государственный художественно-  
промышленный институт (ГГХПИ).*

## გოგი ჭირაქაძე



გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, გვოლოგის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, „საპატიო მასწავლებლის“ წოდების მფლობელი და ლირსების ორდენოსანი პროფესორი გოგი (გოგი) ჭირაქაძე ქართველ ქიმიკოსთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მართალია ხანმოკლე იყო მისი შემოქმედებითი გზა, მაგრამ შეძლო მნიშვნელოვანი კვალი და ტოპოგებინა და თავისი სიტყვა ეთქვა ორგანული ქიმიისა და რადიაციული ქიმიის განვითარების ისტორიაში.

იმპულსური რადიოლიზის მეთოდით მან პირველმა შეისწავლა რადიოლიზის პროდუქტების მოკლე სიცოცხლისუნარიანი ნაწილაკების ბუნება და კინეტიკა. გამოიკვლია აგრეთვე რადიოლიზის მოლეკულური პროდუქტების ბუნება და თვისებები. მისი შედეგების საფუძველზე დაადგინა სულფიდრილური ნაერთების რადიაციული თხევად ფაზური დაფანგვის რეაქციის მექანიზმი. გოგი ჭირაქაძემ შეიმუშავა იონიზებული გამოსხივებისაგან ქიმიური დაცვის მეთოდი და ალიფატური, ციკლური დისულფიდებისა და სულფიდების, ალკანსულფომჟავების, თიოციანმჟავას სინთეზის პრეპარატული მეთოდები, რომლებიც ხასიათდება მაღალი გამოსავლიანობითა და დიდი სისუფთავით; აღნიშნულ თემატიკაზე გოგი ჭირაქაძემ დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ასევე მნიშვნელოვანი შედეგები აქვს მიღებული ელემენტორგანული ნაერთებისა და საღებრების, ძირითადად აზოსაღებრების სფეროში. წარმატებით განახორციელა ახალი სილიციუმშემცველი აზოსაღებრების სინთეზი, მისი ხელმძღვანელობით შემუშავდა აზოსაღებრების სინთეზის სრულიად ახალი მეთოდოლოგია. სინთეზირებულ იქნა რამდენიმე ათეული, ახალი, სპეციალური ოპტიკური თვისებების მქონე საღებრები. პროფესორი გოგი ჭირაქაძე იყო 200-ზე მეტი შრომის, მათ შორის 12 სახელმძღვანელოს, 15 მეთოდური მითითების, 2 მონოგრაფიის, 6 სააგზორო მოწმობის, 2 პატენტის ავტორი. მისი სამეცნიერო შრომები ორგანული, რადიაციული ქიმიის, პედაგოგიკის დარგში ცნობილია როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

მრავალმხრივ სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად იგი აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა. როგორც პედაგოგმა განუმეორებელი კვალი დატოვა. პედაგოგიურ მოდვა-წეობას ეწეოდა თავდაპირველად სულხან-ხაბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში, შემდგომ მოდვაწება გააგრძელა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (1981 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თრგანული ქიმიის კათედრის გამგედ). პარალელურად მუშაობდა პირველ საშუალო სკოლაში ქიმიის მასწავლებლად. კითხულობდა ლექციებს აბიტურიენტებისათვის საქართველოს ტელევიზიით, რეგულარულად კითხულობდა ლექ-

ციებს პედაგოგებისათვის. მასწავლებელთა მასწავლებელი – ასე უწოდებდნენ მას, რაც მის განუმეორებელ პედაგოგიურ ნიჭს ხაზს უსგამდა. მისი ყოველი ლექცია, ყოველი გაპვეთილი ხელოვნების ნიმუში იყო. შინაარსიანი, ემოციური, ასოციაციებით დატვირთული, არტისტული ბუნებით, ლამაზად და მარტივად გადმოცემული ქიმიის საკითხები, პედაგოგიკის შედევრი იყო... საქმისადმი სიყვარული, ახალგაზრდული შემართება, პედაგოგიური ალლო უდიდეს როლს ასრულებდა სტუდენტთა და მოსწავლეთა შორის დიდი სიყვარულისა და ავტორიტეტის მოპოვებაში.

ის იყო საოცრად დიდი პიროვნება, განათლებული, ნამდვილი ინტელიგენტი, გულწრფელი, სანდო; გულით განიცდიდა ყველაფერს, ყველას გულშემატკივარი, გულწრფელად იზიარებდა გარშემომყოფთა სატკივარსა და გასაჭირს. მიზანდასახული, პირდაპირი, ყველთვის გულმართალი იყო. ყველას ხიბლავდა მისი მაღალი ინტელექტი, დიდი შინაგანი უშუალობა და საოცარი შემოქმედებითი ცეცხლი. მისი ჰუმანურობა, კეთილშობილება პარმონიულად იყო შეხამებული მის სამართლიან, მკაცრ მომთხოვნელობასა და პრინციპულობასთან, რაც განაპირობებდა გოგი ჭირაქაძის პიროვნების ორიგინალობას.

არისტოკრატიული გარეგნობისა და სულის ადამიანი ქართული კულტურის დიდი გულშემატკივარი და უბადლო შემფასებელი იყო. მუსიკის თავდავიწყებულმა სიყვარულმა იგი კლასიკური მუსიკის უადრესად დიდ დამფასებლად და მცოდნედ აქცია.

მის მიერ სახელოვნად გავლილი ცხოვრების გზა, მაღალი პროფესიული ავტორიტეტი და საყოველთაო საზოგადოებრივი აღიარება ქვეყნისა და ხალხისათვის გაწეული თავდადებული ლვაწლის ნათელი მაგალითია. როგორც მეცნიერმა და ახალგაზრდობის აღმზრდელმა ლირსეული ადგილი დაიკავა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. დმურთმა ნათელში ამყოფოს მისი სული, ვალმოხდილი მშობელი ქვეყნისა და ერის წინაშე.

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი,  
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი*

# მეცნიერება და ტექნოლოგია

უაკ 523.684

ბუნებრივი მინები

ი. ბერძენიშვილი

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 69

E-mail: i\_berdzenishvili@gtu.ge

**რეზიუმე:** განხილულია დედამიწაზე ნაპოვნი არაორგანული ბუნებრივი მინების – ტექტიტების, ობსიდიანების, ლეშატელიერიტის, მთვარის მინების წარმოშობა, შედგენილობა და თვისებები. ნაჩვენებია, რომ მინის, როგორც მასალის შექმნა ბუნების მიბამება და განმეორებაა.

**საკვანძო სიტყვები:** ბუნებრივი მინები; ტექტიტები, ობსიდიანები, ლეშატელიერიტი, მთვარის მინები.

## 1. შესავალი

ბუნებრივი მინები (ქარვა, ვულკანური წარმოშობის მინა) ადამიანისთვის უძველესი დროიდან არის ცნობილი. დედამიწაზე ბუნებრივი მინები არსებობდა პირველყოფილი ადამიანის გამოჩენამდე ანუ გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ადამიანი აითვისებდა მინის ხელოვნურად წარმოებას და მისგან მრავალი ნაკეთობის დამზადებას. მინის წარმოება დაიწყეს ძვ. ა. IV ათასწლეულში (ძვ. ეგვიპტე, წინა აზია) [1-3].

პირველად ბუნებრივი და ტექნიკური მინების მსგავსებაზე 1752 წელს მ. ლომონოსოვმა მიუთითა ცნობილ „წერილში“ მინის სარგებლის შესახებ“. მასევე დიდი წელილი მიუძღვის ფერადი მინის წარმოების განვითარებაში.

## 2. ძირითადი ნაწილი

დედამიწაზე ნაპოვნი არაორგანული ბუნებრივი მინების ჯგუფს განეკუთვნება [1, 2, 4]:

- ტექტიტები,
- ობსიდიანები,
- ლეშატელიერიტი,
- მთვარის მინები.

მუზეუმებში საოცარ ექსპონატებს შორის მნახველებს თვალში ხვდება საქმაოდ უცნაური

მინისებრი სხეულები – გარეგნულად ეს არის მწვანე, ყავისფერი, ზოგჯერ შავი ან მოყვითალო ფერის მინის კენჭები და ნაჭრები (გამჭვირვალე და გაუმჯვირი).

მე-20 საუკუნის დასაწყისში ამ უცნაურ სხეულებს ტექტიტები უწოდეს, ბერძნულიდან ტექტოს ნიშნავს გამდნარს.

ტექტიტები სხვადასხვა ზომის და ფორმის გახვდება – კონუსური, დისკოსებრი, ფირფიტოვანი, ასევე თევზის, პანტელის, ბოლქვის ან წვეთისებრი ფორმის; აქვს შემომლდებალი ზედაპირი (სურ. 1) [1, 2, 4-7].

საყველთაოდ აღიარებული პიპოტეზა ტექტიტების წარმოშობის შესახებ არ არსებობს. ზოგიერთი პიპოტეზით ისინი მეტეორიტებადაა მინეული. არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ტექტიტები წარმოქმნილია დედამიწასთან ასტეროიდების, მეტეორიტების ან კომეტების შეჯახების შედეგად და გალლობილი მიწიერი მთის ქანების ნატეხებს შეადგენს. მეცნიერები ასევე არ გამორიცხავენ, რომ ტექტიტები მთვარის ვულკანური კრატერების ლაგის ნამსხვრევებია [2, 4-7].

ეს იდუმალი წარმოშობის ქვები აღმოჩენილია ყველა კონტინენტზე, მათ შორის ანტარქტიდაზეც. მოპოვების ადგილის მიხედვით, არის ტექტიტების სხვადასხვა სახეობა: მოლდავიტები, ინდომინიტები, აგსტრალიტები, ფილიპინიტები, იავანიტები, ჯორჯიატები, ტიბეტის ტექტიტები და სხვა [2, 4, 5].

პირველ ცხრილში გთავაზობთ ბუნებრივი მინების ქიმიურ შედგენილობას [1, 2, 4, 8-11]. სხვა ბუნებრივ მინებთან შედარებით ტექტიტებში წყლის შემცველობა ნაკლებია და 0,02 % შეადგენს.

ადსანიშნავია, რომ ბუნებრივი მინების შედებილობაში შედის იგივე კომპონენტები, რაც თანამედროვე სამრეწველო მინებში.




სურ. 1. ტექტიოტები

### ბუნებრივი მინების ქიმიური შედგენილობა

ოქსიდები	ოქსიდების შემცველობა, მას. %			
	ტექტიოტები	ობსიდანები	მთვარის მინები	ლეშატელიერიტი
SiO <sub>2</sub>	69,94 – 80,64	73,34 – 76,78	33,4 – 48,8	99
Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	10,01 – 13,68	12,09 – 14,11	4,6 – 9,6	-
Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	0 – 1,23	0,47 – 1,74	-	-
FeO	2,22 – 5,3	0,6 – 1,27	16,5 – 24,7	-
TiO <sub>2</sub>	0,64 – 1,1	0 – 0,9	0,26 – 16,4	-
CaO	1,98 – 3,52	0,38 – 1,41	6,27 – 9,4	-
MgO	1,6 – 3,33	0,03 – 0,36	12,1 – 19,9	-
BaO	-	0 – 0,31	-	-
MnO	0,1 – 0,28	0 – 0,33	0 – 0,3	-
Na <sub>2</sub> O	0,65 – 1,8	3,79 – 4,96	0 – 0,49	-
K <sub>2</sub> O	2,02 – 3,16	1,26 – 4,93	0 – 0,29	-
Li <sub>2</sub> O	-	0 – 0,06	-	-
P <sub>2</sub> O <sub>5</sub>	-	0 – 0,43	-	-
Cr <sub>2</sub> O <sub>3</sub>	-	-	0,4 – 0,92	-
SO <sub>3</sub>	-	0 – 0,29	-	-
ZrO <sub>2</sub>	-	0 – 0,01	-	-

ობსიდიანები მჟავა შედგენილობის ვულკანური მინებია ( $\text{SiO}_2 > 70$  მას.%), სხვადასხვაფერი, პგავს მურა-წითელიდან შავამდე შეფერილ ჩვეულებრივ მინებს (სურ. 2). აქვს ნიჟარისებრი, ბასრი მონატეხი. ტექტიოტებისაგან განსხვავებით, ოსიდიანები ნახევრად გამჭვირვალეა,

სიმაგრე მინერალოგიური სკალით – 5, შეიცავს 0,5%-მდე წყალს. ამ მინისებრი ვულკანური ქანის სტრუქტურულ-ტექსტური თავისებურებაა მასში მაგნეტიტის, პიროქსენის, პლაგიოკლაზის, რკინის და მაგნიუმის მეტასილიკატების წერტილოვანი ჩანართები [1, 2, 8–10].



სურ. 2. ობსიდიანები

პლინიუს უფროსის თანახმად (77 ძვ. ა.), ობსიდიანი აღმოაჩინა რომაელმა ობსიდიუსში (Obsidius). აქედან მომდინარეობს ობსიდიანის ქვის სახელწოდება [10]. ქვისა და ბრინჯაოს ხანაში ობსიდიანის ანატკენებისაგან ამზადებდნენ იარაღს, ისრის პირებს, საფხევებს და სხვ. ობსიდიანები დიდი რაოდენობითად საქართველოს, სომხეთის, ირანის და თურქეთის ტერიტორიაზე.

ლეშატელიერიტი – ბუნებრივი კვარცის მინა [1–3]. პირველად აღწერა კ. სევერიგმა 1817 წელს მეცნიერებათა აკადემიის ტექნოლოგიურ ჟურნალში (პეტერბურგი). ის იყო ქვიშიან ბორცვებში ნაპოვნი 10 სმ-მდე სიგრძის და 4 მმ დიამეტრის მინის მილი. გეოლოგებმა მას ფულგურიტი უწოდეს (ლათინურად fulgor – მეხი). უფერო, ზოგჯერ თეთრი, ნაცრისფერი, ყვითელი ან მოყავისფრო (სურ. 3).



სურ. 3. ბუნებრივი კვარცის მინები

ბუნებრივი კვარცის მინა წარმოიშობა ქვიშის ლლობის შედეგად მეხის დაცემისას. ზოგჯერ

გულკანური გზით, ქანების სწრაფი გაცივების შედეგად.

მთვარის მინები აღმოჩენილია მთვარის გრუნტის ნიმუშებში, რომლებიც პირველად დედამიწაზე ჩამოიტანა ხომალდ აპოლონ 11-მა (1969 წ.) და ავტომატურმა სადგურებმა – ლუნობოდ-1 და ლუნობოდ-2 (1970–1971 წწ. და 1973 წ.).

შორეული მთვარის ქანების ანალიზის შედეგად დადგინდა მათში მინის ბურთულების, გუნდების და მინის ცილინდრული სხეულების არსებობა. გუნდებს და ფიგურებს მრავალგვარი შეფერილობა ჰქონდა – მწვანე, ნაცრისფერი, ლურჯი, შავი, მონაცრისფრო-შავი, ყვითელი, და ქარვის ფერი და სხვა [6, 12].

მთვარის მინებში, ტექტიტებისა და ობსიდიანებისგან განსხვავებით, მცირე კაუმიშის რაოდენობა 50 მას.%-ით აღმატება. მთვარეზე მაგმატური და ვულკანური მინები ლავის შადრევნების ამოფრქვევის შედეგად წარმოიშობა.

### 3. დასკვნა

დღეს უკვე შეიძლება თქმა, რომ მინის, როგორც მასალის შექმნა ბუნების მიბატვა და განმეორებაა. ლავა და მაგმა მსგავსი მასალის ხელვნურად შესაქმნელად თითქოსდა ბუნებით ნაკარნახევი მაგალითებია. გამდნარი ქანების გაცივებით წარმოქმნილი ბუნებრივი მინა ამორფული მასალაა.

### ლიტერატურა

1. Фельц А. Аморфные и стеклообразные неорганические твердые тела. М.: Мир, 1986.
2. Ашимхина Н.А. Природные стекла – индикаторы геологических процессов. – М.: Наука, 1987. – 157 с.
3. Безбородов М.А. Синтез и строение силикатных стекол. – Минск: Наука и техника, 1968. – 449 с.
4. Отмаков В.И., Варламова Н.В., Манаков А.Н., Лапова Т.В. Физико-химические исследования тектитов в интересах космического мониторинга // Известия Томского политехнического университета, 2006, т. 309, № 5, с. 40-44.
5. Дмитриев Е.В. Появление тектитов на Земле // Природа. 1988, № 4, с. 34–36.
6. Железняков А.А. Энциклопедия космонавтики. – М.: Мир, 2005. – 350 с.
7. Изох Э.П., Ле Дык Ан. Тектиты Вьетнама. Гипотеза кометной транспортировки // Метеоритика, 1983, вып. 42, с. 158–169.
8. Nadin, E.: The secret lives of minerals. Engineering & Science, 2007, No. 1, p. 10-20.
9. <http://en.wikipedia.org/wiki/Obsidian>.
10. <http://www.aggman.com/carved-in-stone-12/>
11. Planetary science: The early Moon was rich in water. Nature 454, 10 July 2008, p. 170-172
12. [http://epizodsspace.no-ip.org/bibl/n\\_i\\_j/1973/5/5-stekshar.html](http://epizodsspace.no-ip.org/bibl/n_i_j/1973/5/5-stekshar.html). С. Толанский. Стеклянные шарики с луны.

---

## UDC 523.684 NATURAL GLASSES

I. Berdzenishvili

**Resume:** The origin, compositions and properties of inorganic natural glasses - tektites, obsidians, leshatelerita and lunar glasses founded on Earth have been considered. It is shown, that the invention of glass as a material is an imitation of nature.

**Key words:** natural glasses; tektites; obsidians; leshatelerita; lunar glasses.

---

## УДК 523.684 ПРИРОДНЫЕ СТЕКЛА

Бердзенишвили И.Г.

**Резюме:** Рассмотрены происхождение, составы и свойства найденных на Земле неорганических природных стекол – тектитов, обсидианов, лешатлерита и лунных стекол. Показано, что изобретение стекла, как материала, является подражанием природе.

**Ключевые слова:** природные стекла; тектиты; обсидианы; лешатлерит; лунные стекла.

---

## გ. გაფრინდაშვილი

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 69

E-mail: kekemana@rambler.ru

**რეზიუმე:** განხილულია ელექტროიზოლაციონური ტექნიკური მინისებრის ფაზის დადებითი და უარყოფითი გავლენა ელექტრონულ თვისებებზე. ნაწვენებია იზოლაციურებში გამოყენებული ადგილობრივი ნედლეულები და სინთეზის დროს მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესები.

**საკვანძო სიტყვები:** დიელექტრიკი; რენტგენული ანალიზი; თერმოგრაფიული ანალიზი; შთანთქმის იტ-სპექტრი; შეცხობა; მულიტი; ენდოთერმული; ეგზოთერმული; ნეიტრალიზაციის ეფექტი.

„ფაიფურის ელექტრონულ თვისებებზე დიდ გავლენას მინისებრის ფაზა ახდენს“.

ავგუსტინიკი

### 1. შესავალი

ენერგეტიკა, რომ ქვეყნის ძლიერებისა და განვითარების უპირველესი დარგია საყოველთაოდ ცნობილი ჰექტარიტება. შეუძლებელია მძლავრი ენერგეტიკული ბაზის გარეშე, გარდა ტრადიციული მოხმარებისა (ელმავალმშენებლობა, ელექტროგადამცემი საზების იზოლაციურები, ელექტროექვედაგურები და მრავალი სხვა), განვითარდეს მცნიერების ისეთი პრიორიტეტული მიმართულებები, როგორიცაა რადიოელექტრონიკა, ელექტრომანქანათმშენებლობა, ავტომატიზაციის საშუალებები და მრავალი სხვა [1].

მაგრამ ენერგეტიკის განვითარება შეუძლებელია ელექტროიზოლაციურების (დიელექტრიკები) გამოყენების გარეშე. სამწუხაროდ, ამ მასალების სერიოზული წარმოება საქართველოში დღემდე არ არსებობს, არადა საბედნიეროდ ჩვენს ქვეყანაში გვაქვს ბუნებრივი ნედლეულების მნიშვნელოვანი მარაგი სხვადასხვა დანიშნულების კერამიკული იზოლაციურების საწარმოებლად. ასეთებია ჩვენ მიერ 2007–2013 წლებში


მოძიებული და შესწავლილი ტყიბულის რაიონის ჯვარისა-გურნის არგილიტები და კაოლინები, ოზურგეთის მთისპირისა და ვანის ქედის კაოლინიზებული ტრაქიტები, გუდაურ-სტეფანწმინდის კვარციტები, ძირულის თალკი და პეგმატიტები, დედოფლისწყაროს კირქვები, ჭიათურის მარგანეცი და ა.შ. [2]. აქვე აღვნიშნავთ, რომ მსოფლიო პრაქტიკამ ფაიფურის ელექტროიზოლაციურები და კერამიკული კომპოზიციური ნაერობები აღიარა კველაზე ეფექტურ მასალად მაღალვოლტიანი და სპეციალულების იზოლაციურების კლასში [3].

### 2. ძირითადი ნაწილი

ფიზიკურ-ქიმიური პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს დადგენილი შედგენილობის ფაიფურის შეცხობით ( $1380^{\circ}\text{C}$ ) გამოკვლეული იქნა რენტგენული კველური, კომპლექსური თერმოგრაფიული და ინფრაწითელი სპექტროსკოპული ანალიზით.

კომპლექსური თერმოგრაფიული (ნახ. 1) გამოკვლევით დიფერენციულ მრუდზე გამოისახა სამი თერმული ეფექტი. ენდოთერმული ეფექტი ტემპერატურულ ინტერვალში  $470\text{--}690^{\circ}\text{C}$  პიკით  $595^{\circ}\text{C}$ , რაც დაკავშირებულია კაოლინიტის დეპიდრატაციასთან; ეფექტი მიმდინარეობს მასის მნიშვნელოვანი შემცირებით – 6,56%, ხოლო ეფექტის ბოლოს 7,9%. გარდა ამისა, შეიმჩნევა ნიმუშის მცირე გაფართოება ( $0,39\%$ )  $470^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე, დაკავშირებული მ კვარცის ნაწილობრივი პოლიმორფული გარდაქმნით ა კვარცში.

ენდოთერმული ეფექტი, რომელიც დაკავშირებულია კვარცის პოლიმორფულ გარდაქმნასთან, შთანთქმება უფრო ძლიერი ეფექტით, რაც გამოწვეულია კაოლინიტის დაშლით. დანაკარგების ცვლილების მრუდი გახურებით, ენდოთერმული ეფექტის შემდეგ, თანდათან გადადის პორიზონტალურ მდგრადერებაში და შემდგომი დანაკარგები თითქმის არ აღინიშნება.




ნახ. 1. ელექტროტემპირიკური ფაიფურის  
კომპლექსური თერმოგრამა

ეგზოთერმული ეფექტი, რომელიც მიმდინარეობს  $960\text{--}1030^{\circ}\text{C}$  ტემპერატურულ ინტერვალში გვიჩვენებს პირველადი მულიტის და თხევადი ფაზის წარმოქმნის დასაწყისს, ხოლო ფაიფურის გამკვრივება იწყება ეგზოთერმული ეფექტის მაქსიმუმზე ( $1000^{\circ}\text{C}$ ), რასაც ეთანადება  $3,5\%$  ჩაჯდომის სიდიდე, ტემპერატურის გაზრდით  $1250^{\circ}\text{C}$  შეიმჩნევა ჩაჯდომის შემდგომი ზრდა, რაც  $14,2\%$  შეადგენს. ამავე დროს ჩნდება მეორე ეგზოთერმული ეფექტი, დაპავშირებული აღ-


რე წარმოქმნილი პირველადი მულიტის გადაკრისტალებით მეორეულ მულიტში.

ფაიფურის მასის (გამოწვა  $1380^{\circ}\text{C}$ ) რენტგენოგრამაზე (ნახ. 2) აღნიშნულია მკვეთრად გამოსახული მულიტის სიბრტყეთა შორის მანძილი  $d=5,34\text{\AA}$ ;  $2,20\text{\AA}$  და სხვა. კვარცის  $d=4,27\text{\AA}$ ;  $3,34\text{\AA}$  და სხვა.

შთანთქმის იქ-სპექტრის (ნახ. 3) გამოკვლევით ნაჩვენებია მულიტის და კვარცის არსებობა:  $1185\text{~s}^{-1}$  (მულიტი);  $700\text{~s}^{-1}$ ,  $1085\text{~s}^{-1}$  (კვარცი).



ნახ. 2. ელექტროტემპირიკური ფაიფურის  
რენტგენოგრამა



ნახ. 3. ელექტროტექნიკური ფაიფურის შთანთქმის იტ-სპექტრი

ფაიფურის დამამთავრებელ სტადიაზე გამოწვისას მიმდინარეობს მულიტარმოქმნის ინტენსიური პროცესი, კვარცის გარშემო იზრდება მინის რაოდენობა (კაუმიწა-მინდვრის შპატიანი მინა). ამ სტადიაზე მულიტიზაციის დამახასიათებელი თავისებურება მდგომარეობს მეორეული ნემისებრი მულიტის მნიშვნელოვანი რაოდენობით წარმოქმნაში, რომლითაც გამსჭვალულია მინისებრი ფაზა. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ორმაგი კონტაქტების პროცესებს: უბნებში მინდვრის შპატის თიხის ნარჩენებთან კონტაქტისას ხდება მინდვრის შპატიანი მინის მულიტიზაცია, სხვა შემთხვევაში (კვარც-მინდვრის შპატის კონტაქტი) მინდვრის შპატიან მინას არ გააჩნია მულიტის ჩანართები.

დადგენილია, რომ ფაიფურის მექანიკური სიმტკიცის გაზრდა პირდაპირ კავშირშია კვარც-მინდვრის შპატიანი მინის რაოდენობის ზრდასთან, მისი მაღალი ხარისხის დისპერსიულობით.

დაყოვნების ხანგრძლივობა განაპირობებს მინისებრი ფაზის და მულიტის განვითარებას, ასევე კეცში ფორების მომრგვალებას. ადსანიშნავია, რომ მინისებრი ფაზის შედგენილობა არაერთგვაროვანია: ის მეტა ხასიათისაა გახსნილი კვარცის მარცვლებთან და უუძე – გამდნარი მინდვრის შპატის მარცვლების ფარგლებში. რაც მთავარია, მინისებრი ფაზით წარმოქმნილი ზედაპირული დაჭიმულობა ერთმანეთთან აახლოებს ფაიფურის კეცში არსებულ მეტ ნაწილაკებს და ხელს უწყობს ნაკეთობის მონოლითურობას [4,5].

ზოგადად ფაიფურის ელგამტარობა, რომელიც იონური ხასიათისაა, ემყარება მისი შემადგენელი ცალკეული ფაზების ელგამტარობას. იონები, რომლებიც შედის კრისტალურ მესერში, მინისებრ ფაზაში მოუწესრიგებელ მდგომარეობაში ხასიათდება განსაკუთრებული აქტიური მოძრაობით; მათი ინტენსიურობა მთ უფრო მცირეა, რაც

უფრო მტკიცეა შიგაკრისტალური კავშირები. ის იონები, რომლებიც გავრცელებულია კრისტალთშორის კვანძებში და კრისტალური მესრის დეფექტურ სტრუქტურაში უფრო მოძრავია. განსაკუთრებით ხაზგასასმელია მინისებრი ფაზის იონები, ვინაიდან ისინი გაცილებით მოძრავი და აქტიურია, ვიდრე კრისტალურ ფაზებში არსებული იონები. ამიტომ, გადაწყვეტით შეგვიძლია ვოქათ, რომ სწორედ მინისებრი ფაზის იონებია ელგამტარობის ძირითადი წყარო ფაიფურის ელექტროიზოლაციორებში. განსაკუთრებით აქტიური მოძრაობით ხასიათდება ტუტე ლითონების იონები, როგორიცა მცირე იონური რადიუსის მქონე  $\text{Na}^+$  და  $\text{Li}^+$ , მათი მოძრაობის სიჩქარე იზრდება ტემპერატურის გაზრდით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მინის ელგამტარობა მინაში ნატრიუმის ოქსიდის შემცველობის პირდაპირპორციულია.

აღნიშვნული მიზეზების გამო, ნებისმიერი შედგენილობის ელექტროსაიზოლაციო მასალებში ცდილობენ მინიმუმადე დაიყვანონ ტუტე ოქსიდების შემცველობა. იმ შემთხვევებში, როცა მინისებრი ფაზის არსებობა კერამიკულ დიელექტრიკებში გარდაუვალია და მისი რაოდენობა მნიშვნელოვანია ( $>30\%$ ), მაშინ ფაიფურის შედგენილობაში შეჭყავთ ტუტემიწა მეტალების იონები, რომლებიც დიდი იონური რადიუსის მქონეა და მუხტი, რომლის დროსაც აღნიშვნული იონები იწვევს ტუტე ლითონების იონების მოძრაობის დამუხრუჭებას, რაც საბოლოოდ მთელი სისტემის ელგამტარობას მკვეთრად ამცირებს (ნეიტრალური ეფექტი) [6, 7].

ამრიგად, მინისებრი ფაზა ფაიფურის ელექტროიზოლაციორებში, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ნაკეთობის შეცხობის პროცესს, მექანიკური თვისებების გაუმჯობესებას, მეორე მხრივ, უარყოფითად მოქმედებს დიელექტრიკულ პარამეტრებზე და ელექტროგამტარობის მთავარი მიზეზია. ხა-

ტოგნად, ორმ ვთქვათ, მინისებრი ფაზა ფაიფურში გვაგონებს მითოლოგიურ ორსახოვან იანუსს.

ერთ-ერთ ყოვლისშემძლე ბუნებრივ ძალად ძველი რომაული მითოლოგიის მიხედვით წარმოსახულია იანუსი (წლის პირველი თვის სახელწოდება იანვარი იანუსთანაა დაკავშირებული), რომელსაც ორი სახე ჰქონდა – ერთი იმზირებოდა დღის სინათლისკენ, ხოლო მეორე – საწინააღმდეგო მიმართულებით, დამის დასაწყისისკენ. დღის და სადამოს იანუსი აღებს ზეცის კარიბჭეს და ასე მეორდება დღე-დამის პერიოდული მონაცვლეობა.

როგორც მრავალი ისტორიული მითოლოგია, ასევე იანუსის შესახებ თქმულებაც, მიუხედავად მოქმედების ფანტასტიკურობისა, სიკეთისა და სიბრძნის ელემენტებს შეიცავს. მაგრამ, მთავარი, რომელსაც აქ გვინდა ხაზი გავუსვათ ის არის, რომ მითოლოგიური იანუსის ორსახოვნება სრულებითაც არ იყო დაკავშირებული ბოროტებასა და კაცომოძულებობასთან, პირიქით იანუსის ორი სახე, ორი პირი მხოლოდ მოხერხებულობის, ყოვლისშემძლებისა და სიკეთის სიმბოლოს გამოხატვით. მაგრამ მომდევნო ისტორიულ ეპოქებში იანუსის ორსახოვნება მითოლოგიური პირისაგან სრულიად განსხვავებულ საპირისპირო სემანტიკურ შინაარს იდენს. ორპირობა გაიძვერა ადამიანის სიმბოლოდ იქცა, „ორპიროვანი იანუსი” რეალურ ცხოვრებაში ამპარტავნობის, ვერაგობის, ეგოიზმის, სიცრუის, თვალთმაქცობის, პირფერობის და ყოველგვარი სისაძაგლის გამომხატველი ხედება.

მართლაც, ორპირი ადამიანი, ერთი მხრივ, ერთგულებას გეფიცება, პატივისცემას, სიყვარულსა და მეგობრობას გიმტკიცებს, თავი ისე მოაქვს, თითქოს პრინციპული და სიკეთისმთებელი ადამიანია, სინამდვილეში კი სამარეს გითხოის, მომენტს უცდის, როდის ჩაგცეს მახვილი. ერთი პირით საქმეს შეგპირდება, ხოლო მეორეთი გატყუებს, საწინააღმდეგოს აკეთებს. მაშასადამე, ორპირი ადამიანი შენიდბულად მოქმედებს, თვალთმაქცი და დაუნდობელია. ასეთი ადამიანი „დიდოსტატურად” აშენებს „პოტიომტინის სოფელს”, თვითგანდიდებითაა დააგადებული, ეს ავადმყოფობა ქედმაღლობას, შურს, სიცრუეს და უმაღურობას\* წარმოშობს.

კაცომობის პროგრესული ძალები, მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები დაუნდობლად ამხელდნენ და უკომპრომისო ბრძოლას უცხადებდნენ თრპირებსა და გამცემებს, მაღლა სწევდნენ ადამიანის დირსებასა და

დანიშნულებას. მითოლოგიურ პოეზიაში, ზეპირ-სიტყვიერებაში, ზღაპრებში, ცალკეულ თქმულებებსა და საგმირო ეპოეში ჩაგრულების მოსარჩლეობა უმაღლეს ზნეობრივ იდეალად არის გამოცხადებული, ხოლო ორპირი და მოღალატე მიწასთან არის გასწორებული. უძველესი დროის ძეგლები „ამირანიანი”, „ყარამანიანი”, „ილიადა”, „ოდისეა” და სხვა აღსავსეა ხალხის სიკეთისათვის თავდადებულ მებრძოლთა სახელებით, ამასთან კეთილ და ბოროტ ძალთა ჭიდილში თავს იჩენს ხოლმე თრპირობა, გამცემლობა, მაგრამ სიკეთე ყოველთვის ხდება ბოროტებას.

შოთა რუსთაველის „გეფხისტყაოსანში” უმაღლეს დირებულებად აღიარებულია მეგობრობა, სიყვარული, პუმანიზმი, მოყვასისადმი გმირული თავდადება, ერთგულება, სიკეთისათვის ბრძოლა. უკვდაგი პოემის ერთ-ერთი მთავარი ლაიტმოტივია თრპირობის, სიცრუის, გამცემლობის მხილება, სიმართლისა და ერთგულების იდეა:

„ვიცი ბოლოდ არ დამიგმობ”

ამა ჩემსა განზრახეულსა,

კაცი ბრძენი ვერ გასწირავს

მოყვარესა მოყვარულსა;

მე სიტყვასა ერთსა გკადრებ

პლატონისგან სწავლა-თქმულსა;

სიცრუე და თრპირობა

ავნებს ხორცისა, მერე სულსა”.

მაღალი ზნეობრივი თვისებების წინა პლანზე წამოწევა და მორალურად დაცემული ადამიანების გაკიცხვა ყოველთვის იყო ქართველი და მსოფლიო კლასიკური მწერლობის მთავარი მოტივი. გავიხსენოთ „პამლეტი”, „ოტელო”, „მეფე ლიორი”, რომელიც გნებავთ შექსპირის ნაწარმოები, როგორი ოსტატობით არის მასში მხილებული გაიძვერა, ორპირი, ეგოისტი ადამიანის სახე.

საბა ორბელიანი ორპირს უწოდებდა ორენა ადამიანს, რომელიც სიტყვის გამტეხია, თვითგანდიდების და ქედმაღლობის უკურნებული სუნითა დაავადებული. ორპირობა ფართოდ გაკრცელდა ფეოდალურ სამთავროებად დაქუცმაცებულ საქართველოში. დავით გურამიშვილი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დაცემის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მიიჩნევდა ფეოდალურ შინააშლილობასა და ძმათა შორის სისხლისმდგრელ ომებს, რომლებიც შინაგანი გამცემლობით, შურითა და ურთიერთგაუტანლობით იყო გამოწვეული:

„შეიქმნა დიდი მტერობა,

თქმა ერთმანეთის ძვირისა,

ამპარტაქნობა და შური,

ურცხვად გატეხა პირისა”.

ისტორიული ხასიათის მოთხოვნაში „ბაშიაშუკი” სულმნათმა აკაგიმ კეთილ და ბოროტ ძალთა ბრძოლის მმაფრი მომენტები დაგვიხატა,

\* ადამიანს დალატს ვაპატიებ, უმაღურობას არა, ნაპოლეონ ბონაპარტი.

სამარცხევინო ბოძე გააპრა გაიძვერა ორპირი ადამიანები – სვიმონ მაყაშვილი, ჯანდიერი და სხვები. „ჯანდიერი ისეთი კაცოაგანი იყო, რომელიც აქეთაც არის და იქითაც: დროს შეჰურებს! ხან წაღმა ხნავს და ხან უკუდმა ფარცხავს“.

ჩემეული განსჯისა და შედარების ავტორი ანობა მეცნიერულ კვლევებსა და ზოგადსა-კაცობრიო ზნეობებს შორის მკითხველისთვის მიმინდვია!

### 3. დასკვნა

ფაიფურის ელექტროზონლატორების წარმოება ეფუძნება შეცხობას თხევადი მინისებრი ფაზის მონაწილეობით (გამოწვის ტემპერატურა  $1350\text{--}1450^{\circ}\text{C}$ ), რომლის რაოდენობა იზოლატორში შეიძლება იცვლებოდეს 40–60%, თხევადი ფაზის მონაწილეობით ხდება ნაკეთობის გამკვრივება, მექანიური თვისებების მინიჭება, შეცხობის პროცესის გამარტივება და სხვა. მაგრამ თხევად მინისებრ ფაზაში არსებული ტენი ლითონის იონები, განსაკუთრებით  $\text{Li}^{+}$  და  $\text{Na}^{+}$  არის დენტის გამტარობის ძირითადი წყარო, რაც აუარესებს ფაიფურის ელექტროზონლატორის თვისებებს. ამიტომ, ფაიფურის კაზის შეღენილობაში შეჰყავთ

დიდი მუხტისა და იონური რადიუსის ტუბები-წათა ელემენტები, რომლებიც ამუხრუჭებს დენტამტარი იონების გადადგილებას.

### ლიტერატურა

1. Казарновский Д.М., Тареев Б.М. Испытание электроизоляционных материалов. Л.: „Энергия“, 1969, с.4-7.
2. Гаприндашвили Г.Г. Перспективы применения силикатных горных пород в керамике // Стекло и керамика, №7, 1979, с.18-20.
3. Справочник по электротехническим материалам. Л.: Энергоатомиздат, 1988, с.7-25.
4. Никулин Н.В., Кортнев В.В. Производство электрокерамических изделий. М.: Высшая школа, 1965. - 250 с.
5. Масленникова Г.Н., Харитонов Ф.Я., Костюков Н.С. Технология электрокерамики. М.: Энергия, 1974. - 220 с.
6. Балкевич В.Л. Техническая керамика. М.: Стройиздат, 1981, с.15-25.
7. Августиник А.И. Керамика. Л.: Стройиздат, 1974, с.496-516.

UDC 666.95

THE ROLE OF THE VITREOUS PHASE IN PORCELAIN DIELEKTRIC AND A TWO FACED JANUS

G. Gaprindashvili

**Resume:** Vitreous phase in electrical porcelain promotes densification and improve the mechanical properties of the insulator, but decreases the dielectric parameters of products

**Key words:** dielektrik; X-ray analysis; thermography; infra-red absorption spectrum; baking; mullite; endothermic; exothermic; neitralizatsy effect.

УДК 666.95

РОЛЬ СТЕКЛОВИДНОЙ ФАЗЫ В ФАРФОРОВЫХ ДИЭЛЕКТРИКАХ И ДВУЛИКИЙ ЯНУС

Гаприндашвили Г. Г.

**Резюме:** Стекловидная жидккая фаза в электротехническом фарфоре способствует уплотнению и повышению механических свойств изолятора, но ухудшает диэлектрические параметры изделий.

**Ключевые слова:** диэлектрик; рентгенофазовый анализ; термография; ИК-спектр поглощения; спекание; муллит; эндотермический; экзотермический; эффект нейтрализации.

შაპ 666.76

## SiC-BN კომპოზიტის მიღება

ზ. კოვსირიძე\*, ნ. ნიუარაძე, გ. ქინქლაძე

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 69

E-mail: Kowsiri@gtu.ge

**რეზიუმე:** მოცემულია SiC-BN კომპოზიტის მიღებისას მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესები და ფიზიკურ-ტექნიკური თვისებები.

მიღებული კომპოზიტის კვლევა ჩატარებულია რენტგენოსტრუქტურული ანალიზით. ელექტრონულ-მიკროსკოპული ანალიზის მეთოდებით შესწავლილია საწყისი, წყალ- და მჟავა-გამძლეობის შემდეგ მიღებული ნიმუშები.

დადგენილია შემკვრელის სახეობა და ფაზური შედგენილობა, მედეგობა აგრესიული მეთოდების მიმართ.

**საკვანძო სიტყვები:** სილიციუმის კარბიდი; ბორის ნიტრიდი; კომპოზიტი; მაღალცეცხლგამძლე; ოქსინიტრიდი.

### 1. შესავალი

კარბორუნდი სიC სილიციუმის ნაერთია, რომელიც სისალით ალმასს და ბორის კარბიდს ჩამოუვარდება. ძნელად დნობადია, მედეგია სხვადასხვა ქიმიური რეაგენტების მიმართ. სილიციუმის კარბიდი გამოირჩევა მაღალი თბოგამტარობით, უარყოფითი ტექნიკურული კოფიციენტით, მდგრადობით წყალბადის გარემოში მაღალ ტემპერატურაზე.

BN არსებობს სამი მოდიფიკაციის სახით – ჰექსაგონური, კუბური და ჰექსაგონურ-მეტრიკად

შეკრული. ყველაზე კარგად შესწავლილია ჰექსაგონური ბორის ნიტრიდის თვისებები.

სილიციუმის კარბიდის მატრიცით მიღებულია კომპოზიტი რეაქციული შეცხობის მეთოდით სილიციუმის კარბიდის, სილიციუმის და ცეცხლგამძლე თიხის ნარევის გამოწვით ტექნიკური აზოტის არეში.

შესწავლილია აღნიშნულ ნარევზე  $Al_2O_3$ -ის ნანოფენილის დამატებით,  $SiC - Al_2O_3$  და  $Al_2O_3 - Si$  თანაფარდობათა ცვლილებით მიღებული კომპოზიტის ფაზური შედგენილობა და ძირითადი თვისებები.

### 2. ძირითადი ნაწილი

სამუშაოს მიზანია სილიციუმის კარბიდზე ბორის ნიტრიდის დამატებით მაღალცეცხლგამძლე კომპოზიტის მიღება და შესწავლა. ექსპერიმენტისთვის შეირჩა სილიციუმის კარბიდი (გოსტი 26327), კრისტალური სილიციუმი, მარკა kр-1 (გოსტი 2169-69), ჩასოვ-იარის (უკრაინა) საბადოს ცეცხლგამძლე თიხა, მარკა P-1, ბორის ნიტრიდი. 1-ელ ცხრილში მოცემულია ნარევების მატერიალური შედგენილობა. როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველა ნარევზი უცვლელია სილიციუმის კარბიდისა და ცეცხლგამძლე თიხის რაოდენობისას 23 – 35 მას. % ზღვრებში, ხოლო სილიციუმის რაოდენობა 15-დან 27 მას. %-მდე ყველა ნარევზე 100%-ის ზემოთ დამატებულია  $MgO$  1,0 მას.% და  $Y_2O_3$  1,5 მას.%.

ცხრილი 1

### კაზმის მატერიალური შედგენილობა

ნიმუშის ინდექსი	მატერიალური შედგენილობა, მას.-%					
	SiC	Si	BN	ჩასოვ-იარის თიხა	$MgO$ 100%-ის ზემოთ	$Y_2O_3$ 100%-ის ზემოთ
KN5	40	15	35	10	1,0	1,5
KN6	40	19	31	10	1,0	1,5
KN7	40	23	27	10	1,0	1,5
KN8	40	27	23	10	1,0	1,5

აღებული კომპონენტებისაგან, 1-ლი ცხრილის ნიმუშით, შევადგინეთ ნარევები და ნახევრად მშრალი მეთოდით დავაყალიბეთ ცილინდრული ფორმის ნიმუშები 20 მმა წნევით, რომელიც

გაშრობის შემდეგ ღუმელში გამოიწვა ტექნიკური აზოტის გარემოში  $1420^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე. გამომწვარი ნიმუშების ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია მე-2 ცხრილში.


## ცხრილი 2

### ნიმუშების ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლები

ნიმუშის ინდექსი	სიმტკიცის ზღვარი კუმუნისას, $\sigma$ , მმა	ლია ფორია- ნობა, $\Pi, \%$	მოჩვენებითი სიმკვრივე, $\rho$ , $\text{გ/სმ}^3$	თერმული მედგრობა ( $850^{\circ}\text{C}$ - წყალი), თბოცლა	ცეცხლის მდლენება, $^{\circ}\text{C}$
5	29,0	26,1	1,77	25 ბზარი არ შეინიშნება	1700
6	24,0	22,8	1,97	25 „	1700
7	50,0	14,0	2,28	> 25 „	> 1770
8	28,0	23,3	1,89	25 „	1700

BN-ის შემცველი ნიმუშების (KN5 – KN8) სიმტკიცის ზღვარი კუმუნისას საკმაოდ დაბალია. უკეთეს შემთხვევაში KN7 შედგენილობის ნიმუშებისათვის აღწევს 50 მმა-ს (ცხრილი 2). ამ ნიმუშებში BN-ის შემცველობა 27 მას.%-იან სილიციუმის – 23 მას.%. სილიციუმის რაოდენობის შემდგომი ზრდით კომპოზიტის თვისებები უარესდება. მიღებული კომპოზიტების ფაზური შედგენილობის დასადგენად ჩავატარეთ რენტგენოსტრუქტურული ანალიზი (დანადგარი DROH-3).

BN-ის დამატებით მიღებული კომპოზიტის რენტგენოგრამები წარმოდგენილია 1-ელ ნახ-ზე. მათი განხილვისას ჩანს, რომ ოთხივე ნიმუშის (KN5 – KN8) ძირითადი ფაზებია: SiC, BN, Si და  $\text{Si}_2\text{ON}_2$ . ნარევებში SiC-ის რაოდენობა უცვლესია და რენტგენოგრამებზეც ყველგან ერთნაირი ინტენსიურობითაა წარმოდგენილი. ნარევში სილიციუმის რაოდენობა თანდათან იზრდება. KN5-ში Si კვალის სახითაა. ეს ნიშნავს, რომ იგი ძირითადად დაიხარჯა ოქსინიტრიდის წარმოქმნაზე, KN6 – KN8 ნიმუშების რენტგენოგრამებზე სილიციუმის ინტენსიურობა თანდათან იზრდება. სილიციუმის ოქსინიტრიდი ყველა ნიმუშში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა, მაგრამ KN7-ში დამახასიათებელი პიკების ინტენსიურობა მაქსიმალურია -  $d_{hkl}$  5,10; 4.67; 4.47; 3.35; 2.43; 2.29; 2.295; 1.86  $\text{\AA}$ .




ნახ. 1.  $1420^{\circ}\text{C}$ -ზე აზოტის გარემოში გამომწვარი ნიმუშების დიფრაქტოგრამები:  
1. KN5; 2. KN6; 3. KN7; 4. KN8

SiC-BN-ის არც ერთი შედგენილობის ნიმუში არ შეიცავს მულიტს. ყველა რენტგენოგრამაზე, გარდა KN7-ისა, წარმოდგენილია რენტგენოამორფული ფაზა.


რენტგენოსტრუქტურული ანალიზის შედეგებით ჩანს, რომ KN7-ში სილიციუმის ოქსინიტრიდი ყველაზე მეტი რაოდენობით წარმოიქმნა, სხვა ნიმუშებთან შედარებით (KN5, KN6, KN8) და ამ კომპონიტის ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებებიც ოპტიმალურია (ცხრილი 2).

შევისწავლეთ მიღებული კომპოზიტების მდგრადობა აგრესიული მედიების მიმართ.


ჩატარდა ელექტრონულ-მიკროსკოპული მეთოდით კვლევა KN5 და KN6 კომპოზიტებზე როგორც საწყისი, ასევე ქიმიური მდგრადობის (წყალ-მჟავაგამძლეობა) შესწავლის შემდეგ. შედეგები წარმოდგენილია სურათებზე (1–12).




სურ. 1. KN5-1000X  
ა) საწყისი ნიმუში




სურ. 3. KN5-1000X  
გ) ნიმუში მჟავამედეგობაზე გამოცდის შემდეგ  
(კონცენტრებული  $H_2SO_4$ ,  $\rho=1.84$ )




სურ. 4. KN5-3000X  
ა) საწყისი ნიმუში




სურ. 2. KN5-1000X  
ბ) ნიმუში წყალმედეგობაზე გამოცდის შემდეგ




სურ. 5. KN5-3000X  
ბ) ნიმუში წყალმედეგობაზე გამოცდის შემდეგ




სურ. 6. KN5-3000X  
ა) ნიმუში მეტამედეგობაზე გამოცდის შემდეგ  
(კონცენტრირებული  $H_2SO_4$ ,  $\rho=1.84$ )




სურ. 9. KN6-1000X  
ა) ნიმუში მეტამედეგობაზე გამოცდის შემდეგ  
(კონცენტრირებული  $H_2SO_4$ ,  $\rho=1.84$ )




სურ. 7 KN6-1000X  
ა) საწყისი ნიმუში




სურ. 10. KN6-3000X  
ა) საწყისი ნიმუში



სურ. 8. KN6-1000X  
ბ) ნიმუში წყალმედეგობაზე გამოცდის შემდეგ



სურ. 11. KN6-3000X  
ბ) ნიმუში წყალმედეგობაზე გამოცდის შემდეგ



სურ.12. KN6-3000X

გ) ნიმუში მჟავამედვგობაზე გამოცდის შემდეგ  
(კონცენტრულებული  $H_2SO_4$ ,  $\rho=1.84$ )

ელექტრონული მიკროსკოპის სურათების მიედვით საწყისი ნიმუშების ზედაპირი არ ხასიათდება მკვეთრად ჩამოყალიბებული კრისტალური სტრუქტურით. წყალში და განსაკუთრებით გოგირდებაში დამუშავების შემდეგ სურათი იცვლება. საწყის ნიმუშებთან შედარებით (სურ. 1, ა) თანდათანობით ჩნდება უფრო მეტად გამოკვეთილი კრისტალები, რომელთა ფორმა და სიმკვრივე ძლიერდება წყალში დამუშავებულიდან (სურ. 2, ბ) მჟავასკენ (სურ. 3, გ). ეს სურათი უფრო ნათელია გადიდების შემთხვევაში (X3000; სურ. 4).

ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ კომპოზიტების საწყისი ნიმუშების ზედაპირი დაფარულია თხელი მინისებრი აფსეით ( $0.1\text{--}0.2$  მკმ), რომლებიც განიცდის აგრესიული არეების ზემოქმედებას გაცილებით ძლიერად, ვიდრე კრისტალური ნაწილი. შედეგად მიკროსკოპულ სურათებზე ხდება გაშიშვლებული კრისტალების დაფიქსირება მინისებრი აფსეებს გამოტუტვის გამო, რომელიც, მცირე სიღიდის გამო, არ აისახება მასის დანაკარგებში.

### 3. დასკვნა

ამრიგად, მიღება  $SiC\text{-}BN$  კომპოზიტი კომპლექსური შემკვრელით, რომლის ძირითადი კომპონენტებია: სილიციუმის ოქსინიტიდი და ალუმინისილიკატური ფაზა.

ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მიღებულია  $SiC\text{-}BN$  კომპოზიტები, დადგენილია შემკვრელის სახეობა და ფაზური შედგენილობა.

$KN5 - KN8$  ნიმუშებში წარმოქმნება სილიციუმის ოქსინიტიდი, რომელიც  $KN7$ -ში არის მაქსიმალური რაოდენობით, რაც განაპირობებს იმას, რომ მისი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები თპტიმალურია დანარჩენიან შედარებით ( $KN5, KN6, KN8$ ).

$SiC\text{-}BN$  კომპოზიტი გამოირჩევა მაღალი ქმიური და თერმული მედეგობით, რის გამოც გამოიყენება თერმოწყვილების დამცავი გარსაცმების დასამზადებლად მაღალ ტემპერატურაზე, აგრესიულ მედიებში სამუშაოდ: ძირფასი ლითონების ბაზაზე დამზადებული თერმოწყვილების მიმართ წაყენებულია მაღალი მოთხოვნები მათ დასაცავად აგრესიულ მედიებში.

### ლიტერატურა

1. Казаков В.К. Неорганические материалы // Изв. АН СССР 1967, т. 3.
2. Teokear L., Andranesku E., Dimitresku L. Synthesis routes of silicon nitrid and sialon. Mechanism of reaction. Mater.const., 1991, b. 21.
3. Стекло, керамика, оgneупоры // Экспресс - информация. 1971, N 30.
4. Hardie D., Jack K.H. Nature, 1957, v.180
5. Rudlesden S., Popper P. Acta Cryst, 1958, v.11
6. Кутателадзе К. С., Зедгенидзе Е. Н., Нижарадзе Н. С. Вассерман Э. М. Цветные металлы, 1970, №7, с. 5-7.
7. Кутателадзе К.С., Зедгинидзе Е.Н., Нижарадзе Н.С., Вассерман Э.М. Цветные металлы, 1970, №7, с. 5-7.
8. Schutzenberger P., Colson A. «Compt. Remci», 1881, v. 92, p.1508-1511.
9. Moissan H.. Compt rend, 1893, v 117, p. 423-425.
10. Acheson G. Clem News, 1893, v.69, p.179.
11. Klendz N., Strauss E.L., Kowachek K.L. Amer.Ceram., Soc, 1966, v.49, N7, 369-372.
12. Андриевский Р.А., Спивак И.И. Нитрид кремния и материалы на его основе. М.: Металлургия, 1984.- 136 с.
13. Самсонов Г.В., Кулик О.П., Полищук В.С. Получение и методы анализа нитридов. Киев: Наукова думка , 1978.- 317 с.
14. Андриевский Р.А., Спивак И.И. Нитрид кремния и материалы на его основе. М.: Металлургия, 1984.- 136 с.
15. 15.Gugel E., Ettmayer P., Smidt A., Ber. Deutsch. Keram.Ges., 1968, b.45.
16. 16. Гузман И.Я., Тумакова Е.И. Об образовании связки в процессе обжига оgneупоров на основе карбида кремния // Оgneупоры, 1965, № 5.
17. Воронин Н.И., Красоткина Н.И., Фрайфельд М.С. Обжиг карбидкремниевых оgneупоров в среде азота // Оgneупоры, 1967, 12, с. 41-47.
18. Гузман И.Я. Фрайфельд М.С., Карклит А.К. Значения технологических факторов при производстве и службы изделий из карбида кремния // Оgneупоры, 1975, № 7, с. 23-29.
19. Новиков В.А., Аббакумов В.Г., Мирошниченко Л.В., Романов С.И. Влияние температуры на процесс

- азотирования кремния // Огнеупоры № 1, М., 1993, с. 14-17.
20. Воронин Н.И., Красоткина Н.И., Смирнова В.А., Карборундовые огнеупоры на нитридной связке // Огнеупоры № 7, М., 1960, с. 329-334.
21. Воронин Н.И., Красоткина Н.И., Ставодко А.П., Мильшенко Р.С. Опытно-промышленная партия
- карборундовых огнеупоров на связке из нитрида кремния // Огнеупоры № 4. М., 1961, с. 157-163.
22. Самсонов Г.В., Кулик О.П., Полищук В.С. Получение и методы анализа нитридов. Киев: Наукова думка , 1978.- 317 с.

---

**УДК 666.76**

**OBTAINING OF COMPOSITE IN SiC-BN SYSTEM**

**Z. Kowziridze, N. Nijaradze, V. Qinqladze**

**Resume:** There have been studied the physical-chemical processes of composite *SiC – BN* at the temperature of 1000 – 1400° C .

The research about the compounded composite was conducted by X-ray diffraction.

There have been studied with the way of electronic analyses of microscope to start with of water and acidresist samples.

Established the binder art and phase composition, stability towards aggressive media.

**Key words:** silicium carbide; boron nitride; composite; refractory silicon oxynitride.

---

**УДК 666.76**

**ПОЛУЧЕНИЕ КОМПОЗИТА НА ОСНОВЕ SiC-BN**

**Ковзирдзе З.Д., Нижарадзе Н.С., Кинкладзе В.Л.**

**Резюме:** Изучены физико-химические процессы, происходящие при получении композита на основе SiC-BN, и физико-технические свойства. Установлены тип связующего и фазовый состав, коррозионная стойкость против агрессивных сред.

Проведено исследование полученного композита рентгеноструктурным анализом.

Электронно-микроскопическим методом анализа изучены образцы до и после испытания на водо- и кислотостойкость.

**Ключевые слова:** карбид кремния; композиты; нитрид бора; высокоогнеупорный; оксинитрид.

---

## შაპ 54

ნიტროალუმინოერმული პროცესებით სიალონების მიღება

ზ. კოგზირიძე\*, 6. ნიქარაძე, გ. ტაბატაძე, თ. ჭეიშვილი, ზ. მესტვირიშვილი, მ. მშვილდაძე, ე. ნიკოლეიშვილი, 6. დარახველიძე  
ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 69

E-mail: kowsiri@gtu.ge

**რეზიუმე:** შესწავლით ნიტროალუმინოერმული მეთოდით სიალონების მიღებისას მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესები 800–1500°C ტემპერატურულ ინტერვალში. შერჩეულია კაზ-მის შედგნილობები და გამოწვის რეჟიმი. მიღებულია კომპოზიტები  $\text{SiC-SiAlON}$  და  $\text{Al2O3-SiAlON}$  სისტემაში. დადგენილია, რომ კაოლინ-ალუმინის პუდრის ნარევის 1500°C-ზე გამოწვისას მიღება X სიალონი, ხოლო  $\text{SiC}$ , ალუმინის პუდრის, სილიციუმის და  $\alpha - \text{Al}_2\text{O}_3$ , ალუმინის პუდრ-სილიკოზის ნარევის 1500°C-ზე გამოწვით წარმოქმნება ს სიალონი. შესწავლით მასალათა კოროზიული თვისებები. კვლევა ჩატარებულია რენტგენოსტრუქტურული და მიკროსკოპული ანალიზის მეთოდებით.

**საკვანძო სიტყვები:** კომპოზიტი; სილიციუმის კარბიდი; კორუნდი; სილიციუმის ნიტრიდი; ალუმინის ნიტრიდი; მულიტი; სიალონი.

## 1. შესავალი

მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარება მოითხოვს წარმოების სხვადასხვა დარგის სრულყოფას, რაც თავისთავად დაკავშირებულია ახალი, პეტერომოდულური თვისებების მქონე მასალების შექმნის აუცილებლობასთან.

პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, მასალათმცვლეობაში დადგენილია კარბიდების, ბორიდების, ნიტრიდების, სილიციდების უპირატესობა სხვა სახის მასალებთან შედარებით, რადგან ძნელლდობადი მასალები გამოიჩვევა ისეთი თვისებებით, როგორიცაა: მაღალი ცეცხლგამძლეობა, კოროზიული მედეგობა აგრესიული მედიების მიმართ, მაღალი მექანიკური მახასიათებლები, სპეციფიკური ელექტრო- და თბოფიზიკური თვისებები და სხვა [1-6].

უჯანგბადო ძნელლდობად მასალებს შორის არის მასალები სილიციუმის კარბიდისა და სილიციუმის ნიტრიდის ბაზაზე, რომელიც, უნი-

კალური ფიზიკურ-ტექნიკური და ქიმიური თვისებების გამო, გამოიყენება თანამედროვე ტექნიკაში: მანქანათმეტებლობაში, ქიმიურ, ატომურ ენერგეტიკაში, ნავთობგადამამუშავებელ წარმოებაში [7-14].

უკანასკნელ წლებში მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა კერამიკის ისეთი სახეობის მიღებისათვის, რომელშიც შეხამებული იქნება უჯანგბადო და უანგბადიანი ნაერთების თვისებები. ასეთ მასალები სიალონებია [15-18].

ჩვენი სამუშაოს მიზანია რეაქციული შეცხობის მეთოდით სიალონშემცველი კომპოზიტების მიღება სილიციუმის კარბიდისა და კორუნდის ბაზაზე. ეს მეთოდი სასურველი ფაზური შედგნილობის მასალის მიღების საშუალებას იძლევა და მათ ცხლად დაწესებილი ნაკეთობების თვისებები აქვს. რეაქციული შეცხობის მეთოდით სიალონების მიღებისას შეცხობის ტემპერატურა მნიშვნელოვნად მცირდება, აქტიური მასალების გამოყენების დროს.

ჩვენს შემთხვევაში ამოცანა მდგომარეობდა ისეთი მასალების შერჩევაში, რომლებიც რეაქციული შეცხობის მეთოდით ახლად წარმოქმნილი კომპონენტების გამოყენების საშუალებას მოგვცემდა, რადგან სიალონების მეტი სხვა მასალებისას  $\alpha-\text{Al}_2\text{O}_3$  და  $\text{AlN}$ -ის ჩანერგვა  $\beta-\text{Si}_3\text{N}_4$ -ში განსაკუთრებით მარტივდება, როდესაც მისი კრისტალური მესერი ჯერ კიდევ წარმოქმნის პროცესშია. ამისათვის შევარჩიეთ ალუმინისილიკატური ნედლეული – კაოლინი, ალუმინის პუდრი და ელემენტარული სილიციუმი.

## 2. ძირითადი ნაწილი

საწყისი მასლების სახით გამოვიყენეთ: კაოლინი, ალუმინის პუდრი, სილიციუმი, სილიციუმის კარბიდი, ალუმინის თქსიდი, ხოლო დანამატების სახით: მაგნიუმისა და იტრიუმის თქსიდები, პერლიტი და ცეცხლგამძლე თიხა. ნარევების შედგნილობა წარმოდგენილია 1-ელცხოილში.

## ნარევების შედგენილობები

კომპოზიტის ინდექსი	საწყისი კომპონენტის შემცველობა, მას. %								
	კაოლინი პროსიანია (უკრაინა)	Al	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	SiC	Si	პერლიტი არაგაცის (სომხეთი)	Y <sub>2</sub> O <sub>3</sub>	MgO	პოლოგის თიხა (უგრაინა)
SN-1	80,00	20,00							
SN-2	20,00	10,00		70,00					
SN-3	20,00	10,00	70,00						
SN-6	18,52	18,52	18,52	18,52	20,37	2,78	1,85	0,92	
SN-7	13,89	23,15		27,78	25,00	2,78	1,85	0,92	4,63
SN-8	13,89	23,15	27,78		25,00	2,78	1,85	0,92	4,63

ცილინდრული ფორმის (d-15მმ) ნიმუშები დამზადდა ნახევრად მშრალი მეთოდით, დაყალიბების წევა იყო 20 მპა. შრობის შემდეგ გამოიწვა ღუმელში, ბოლო ტემპერატურაზე ერთსაათიანი დაყოვნებით. ნიმუშების გამოსაწვავი დანადგარი შედგება ღუმლისაგან სილიციუმის კარბიდის გამახურებლებით (მარკა TK 30/200).

ნიმუშების გამოსაწვავი დანადგარი (სურ. 1) შედგება ღუმლისაგან 1 სილიციუმის კარბიდის გამახურებლებით (მარკა TK 30/200). აზოტი ღუმელს მიეწოდება ბალონიდან 2 რეზინის მილის საშუალებით, რომელზეც ონგანია 3 მოთავსებული. ღუმლის შესასვლელში დრექსელის 4 გავლით რეგულირდება ბალონიდან გამოსული აზოტის სიჩქარე, რის შემდეგაც აზოტი შედის ცეცხლგამძლე კორუნდის მილში 5, რომელიც ორივე მხრიდან ჰერმეტულად არის დახურული. მილს ერთი ბოლოდან მიეწოდება აზოტი, ხოლო მეორე ბოლოდან გამოსასვლელზე ჩართულია წყლიანი დრექსელი 6. იგი ღუმელში წევას ისე არეგულირებს, რომ მილიდან გამომავალი აზოტის სიჩქარე იყოს სარეაქციო მილში შესული აზოტის სიჩქარეზე ნაკლები, საიდანაც აზოტი ატმოსფეროში გადის. ღუმლის ტემპერატურა რეგულირდება ტრანსფორმატორისა 7 და მასთან მიერთებული გოლტმეტრის 8 საშუალებით, ხოლო ტემპერატურა იზომება მოლიკლტმეტრის 9 და პლატინა-პლატინა როდიუმის ოერმოწყვილის 10 დახმარებით. ტემპერატურის აწევის სიჩქარეა 250°C საათში. წევა აზოტის ბალონში რეგულირდება რედუქ-

ტორის მეშვეობით, რომელიც დამაგრებულია აზოტის ბალონზე.




სურ. 1. აზოტირების პროცესის ჩასატარებელი დანადგარი

შევისწავლეთ 1500°C-ზე გამომწვარი ნიმუშების ფიზიკურ-ტექნიკური თვისებები (ცხრილი 2). როგორც ცხრილიდან ჩანს, მაღალი ფიზიკურ-ტექნიკური მაჩვენებლებით გამოირჩევა C<sub>7</sub>, შემდეგ C<sub>6</sub> და C<sub>8</sub>. დია ფორიანობა 15,2, 15,0 და 15,4 %-ს შეადგენს. კუმშვისას სიმტკიცის ზღვარი არის 258, 256 და 254 მპა. რაც იმაზე მეტყველებს, რომ 1500°C არ არის საკმარისი სრული გამკვრივებისათვის. მიუხედავად ამისა, ქიმიური მედეგობა წყლის და მჟავას (H<sub>2</sub>SO<sub>4</sub> p-1.84) მიმართ მაინც მაღალია. ნიმუშების ცეცხლგამძლეობა 1770°C უდრის.

## 1500°C-ზე გამომწვარი ნიმუშების ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლები

კომპოზიტის ინდექსი	დია ფორმიანობა w, %	სიმტკიცის ზღვარი კუმულატიური	სიმკვრივე, ρ, გ/სმ <sup>3</sup>	ქიმიური მედებობა, %
SN-1	16.2	230	2.28	წყალი მედებობა
SN-2	15.0	245	2.8	99,41
SN-3	16.0	240	3.2	99,36
SN-6	15.0	256	2.25	99,82
SN-7	15.2	258	2.31	99,79
SN-8	15.4	254	2.78	99,80
				99,30


სიალონების მიღებისას მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესების შესასწავლად ნიმუშები გამოიწვა 800–1500°C ტემპერატურული ინტერვალში და კვლევა ჩატარდა რენტგენოსტრუქტურული ანალიზით. რენტგენოგრამები წარმოდგენილია მე-2 სურათზე.




სურ. 2. SN-1 კომპოზიტის X-RAY (800–1100°C)

800–1500°C ტემპერატურაზე 100°C-ის ინტერვალით გამომწვარი SN-1 (ცხრ. 1) ნიმუშების რენტგენოსტრუქტურული ანალიზი ჩატარდა.

800°C-ის რენტგენოგრამაზე გამოკვეთილია ალუმინის, სილიციუმის და კვარცის დამახასიათებელი დიფრაქციული მაქსიმუმები,  $d_{hkl}$ : ალუმინი- 2,338; 2,025; 1,62; 1,432 Å. სილიციუმი- 3,53; 3,13; 2,45; 1,817 Å. კვარცი- 3,34; 4,25; 2,454; 1,817 Å. როგორც მოსალოდნებლი იყო, კაოლინიტის დაშლის შედეგად გამოიყო  $\text{SiO}_2$ , სილიციუმი კი წარმოქმნა ალუმინოჰიდრიტის პროცესის შედეგად შემდეგი რეაქციით:




900–1000°C ტემპერატურული ინტერვალში მკვეთრად შემცირებულია ალუმინისა და  $\text{SiO}_2$ -ის დამახასიათებელი პიკები, ჩნდება ახალი ფაზები ALN და ALON აზოტისა და ალუმინის ურთიერთქმედების შედეგად.  $d_{hkl}$  : ალუმინი- 2,34; 2,025; 1,438 Å. კვარცი- 3,34; 4,25; 2,454; 1,817 Å. ALN - 2,714 Å. ALON- 1,985; 1,397 Å. 1000°C  $d_{hkl}$  :  $\text{SiO}_2$  – 4,25; 3,34; 2,280; 2,546 Å. Si – 3,13 ; 3,53; 1,817 Å . ALN- 2,714; 2,437; 1,402 ; 1,397 Å . ALON- 2,383; 1,985; 1,385 Å.



სურ. 3. SN-1 კომპოზიტის X-RAY (1200–1500°C)


1100–1200°C ინტერვალში ქრება აღუმინის და იზორდება ALN და ALON-ის ინტენსიურობა. მკვეთრად შემცირებულია  $\text{SiO}_2$ . 1200°C-ზე არ არის Si-ისა და  $\text{SiO}_2$ -ის პიკები. განხნდა მულიტის დამახასიათებელი პიკები. 1100°C  $d_{\text{hkl}}$ : აღუმინი 2,38 Å;  $\text{SiO}_2$  – 4,25; 3,335; 1,824 Å. Si – 3,13 ; 1,824 Å. ALON- 1,983; 1,39 Å. ALN- 2,704; 2,48; 2,39 ; 1,56; 1,406; 1,411; 1,32 Å . მულიტი - 5,33; 3,44; 3,395 Å. 1200°C  $d_{\text{hkl}}$ : ALN-2,734; 2,700; 2,46; 2,383; 1,548; 1,435; 1,418; 1,334 Å . მულიტი - 5,45; 3,43; 3,395; 2,885; 2,546; 2,295; 2,208; 1,899; 1,990; 1,824; 1,705 ; 1,530 Å; ALON-1,993 Å.



სურ. 4. SN-2 კომპოზიტის  
X-RAY (800–1100°C)

1300–1400°C-ზე (სურ. 3) ძირითადი ფაზა მულიტია. კვალის სახით რჩება ALN და ALON და არ ჩანს  $\text{Si}_3\text{N}_4$ -ის დამახასიათებელი პიკი. იგივე სურათია 1500°C-ზე, რაც მიანიშნებს, რომ 1300°C-ზე წარმოიქმნა X სიალონი მულიტის სტრუქტურით [19,20]. 1300°C  $d_{\text{hkl}}$ : მულიტი - 5,38; 3,395; 2,89; 2,704; 2,555; 2,43; 2,29; 2,125; 1,84; 1,700; 1,600; 1,520; 1,44 Å; ALN-2,70 Å. კორუნდი-3,476; 2,09 Å; კრისტობალიტის კვალი – 4,09 Å; ALN- 1,98 Å; 1400°C  $d_{\text{hkl}}$ : მულიტი გადიდებული პიკებით. კორუნდი კვალის სახით -3,476; 2,09 Å; ALN -2,70 Å;  $\text{Si}_3\text{N}_4$ -6,88 Å. SN-2-ის შედგენილობის (ცხრილი


1) ნიმუშების რენტგენოგრამებზე 800–1500°C-მდე 1000°C-ის ინტერვალით გამომწვარ ნიმუშებში, კაზში შევანილი სილიციუმის კარბიდი რჩება უცვლელი ყველა ტემპერატურაზე. როგორც SN-1-ის ნიმუშებიდან ჩანს, აქაც 800–900°C-ზე (სურ. 4) არის აღუმინის, სილიციუმის და  $\text{SiO}_2$ -ის დამახასიათებელი დიფრაქციული მაქსიმუმები.




სურ. 5. SN-2 კომპოზიტის  
X-RAY (1200–1500°C)

1000–1100°C-ზე წარმოიქმნა ახალი ფაზები: ALN და ALON, ხოლო 1100°C-ზე მულიტი. ყველა დანარჩენ ტემპერატურაზე ფაზების წარმოქმნა მიმდინარეობს იგივე სქემით, როგორც SN-1-ის შემთხვევაში, მაგრამ შედარებით ნაკლები ინტენსიურობით, შედგენილობის შესაბამისად. ამრიგად, მიღებულია სილიციუმის კარბიდის კომპოზიტი X სიალონური შემკვრელით (სურ. 5).

SN-1 და SN-2-ის მსგავსად, ქიმიური პროცესები SN-3 შედგენილობის (ცხრილი 1) ნიმუშებში (სურ. 6–7) იგივე სქემით მიმდინარეობს.  $\alpha$ -  $\text{Al}_2\text{O}_3$  უცვლელი რჩება ბოლომდე და მიიღება კომპოზიტი კორუნდი X სიალონური შემკვრელით.




სურ. 6. SN-3 კომპოზიტის  
X-RAY (800–1100°C)




სურ. 7. SN-3 კომპოზიტის  
X-RAY (1200–1500°C)

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, SiC და  $\alpha\text{-AL}_2\text{O}_3$ -ის შემცველი სიალონური კომპოზიტის მისაღებად კაზმის შედგენილობაში დამატებით შექვანილია მეტალური სილიციუმი, შემცირებული რაოდენობით სილიციუმის კარბიდი და  $\alpha\text{-AL}_2\text{O}_3$  (ცხრილი 1, SN6, SN7, SN8). ცხრილში მოყვანილი სამი შედეგენილობის (SN-6, SN-7, SN-8) 1500°C-ზე გამომწვარი ნიმუშების რენტგენგრამები წარმოდგენილია სურათებით (8, 9, 10). SN-6 კომპოზიტი ძირითადად შედგება ვ სიალონისაგან [21-25]. მასში დაფიქსირდა კარბიდის და კორუნდის დამახასიათებელი დიფრაქციული მაქსიმუმები.




სურ. 8. SN-6 კომპოზიტის  
X-RAY (1500°C)

SN-7 რენტგენგრამაზე ძირითადი ფაზა ვ სიალონია. კომპოზიტი ვ სიალონთან ერთად შეიცავს სილიციუმის კარბიდს; უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავს X სიალონსაც.




სურ. 9. SN-7 კომპოზიტის  
X-RAY (1500°C)




**სურ. 10. SN-8 კომპოზიტის  
X-RAY (1500°C)**

SN-8 კომპოზიტი შედგება ვ სიალონისა და შეუვანილი  $\alpha\text{-AL}_2\text{O}_3$ -საგან.

მიკროსტრუქტურული ანალიზის (სურ. 10) შედეგები ადასტურებს რენტგენოსტრუქტურული კვლევის მონაცემებს. SN-1 კომპოზიტის მიკროსტრუქტურა ასევე ძირითადად წარმოდგენილია X სიალონის ფაზით, რომელშიც ჩაწინაკლულია  $\text{Si}_3\text{N}_4$  მარცვლები. SN-6 კომპოზიტის მატრიცას ვ სიალონი წარმოადგენს. მასში განაწილებულია სილიციუმის კარბიდისა და კორუნდის მარცვლები. SN-7 კომპოზიტის მატრიცა SN-6 მატრიცის ანალოგიურია, რომელშიც გამოკვეთილია სილიციუმის კარბიდის მარცვლები, რომელთა ზომა აღემატება ახალწარმოქმნილი სილიციუმის ნიტრიდის მარცვლების ზომას. SN-8 კომპოზიტი იგივე ვ სიალონისაგან შემდგარი მატრიცაა, რომელშიც არის  $\alpha\text{-AL}_2\text{O}_3$ -ის კრისტალები. ამ სურათზე ჩანს ფორები, რომლებიც ამ კომპოზიტში მეტი რაოდენობითაა.






სურ. 11. კომპოზიტების მიკროსტრუქტურები

### მასალათა ელექტროთვისებები

მასალათა ქიმიური და ფაზური შედგენილობები აისახება აგრეთვე მათ ელექტრომასასიათებლებზე. თუ შევადარებოთ ოთხი სხვადასხვა შედგენილობის მასალების შესწავლით მიღებულ შედეგებს, ვნახავთ მათ შორის არსებულ განსხვავებას. კაოლინის (80 მას.%) და ალუმინის პუდრის (20მას.%) საფუძველზე მიღებული მასალა (SN-1), რომელშიც წამყვან ფაზებად სიალონი და მულიტი დაფიქსირდა, შესწავლილ ნიმუშებს შორის ყველაზე მაღალი კუთრი ელექტროწინადობით (ფართო ტემპერატურულ ინტერვალში), გამტარების აქტივაციის ენერგიით ( $\Delta E$ ) და ელექტროწინადობის ტემპერატურული კოეფიციენტით ( $\Delta$ ) გამოირჩევა (სურ. 12, ცხრ. 3). შესატყვისი ელექტრომასასიათებლები დადგინდა 8 შედგენილობისათვის, რომლებშიც უკვე ოთხი ძირითადი ინგრედიენტია, ხოლო დამატებით კომპონენტად შევებანილია ალუმინის ოქსიდი, რამაც განსაზღვრა შეცხობილ ნიმუშში, სიალონთან ერთად,  $\alpha$ - $AL_2O_3$  კრისტალური ფაზის წარმოქმნა. ეს უკანასკნელი (ისევე, როგორც მულიტი SN1 შედგენილობაში) მაღალი კუთრი ელექტროწინადობით ( $\rho$ ),  $\Delta E$  და  $\Delta$  სიდიდეებით გამოირჩევა. აქედან, მოსალოდნელი იყო SN1 და SN8 ნიმუშების ელექტრომასასიათებლების მსგავსება, რაც კვლევით დადგინდა. სხვა ორი შედგენილობა (SN6 და SN7) იმით გამოირჩევა, რომ მათ მისაღებად შედგენილ SN6 კომპოზიციაში SiC არის 20 მას. % (კიდევ ერთი შემადგენლის შემცველობა ( $AL_2O_3$  იგივეა), ხოლო SN7 შედგენილობაში SiC რაოდენობა 30 მას%-ით არის გაზრდილი (მაგრამ არ არის  $AL_2O_3$ ). შედგენილობათა განსხვავებამ ელექტრო-

მასასიათებლების თავისებურება გამოიწვია. კერძოდ, შეიმჩნევა დამოკიდებულებათა მრუდების განლაგების (სურ. 12) და  $\Delta E$  სიდიდეთა (ცხრ. 3) სიახლოვე.



სურ. 12. SN1, SN6, SN7, SN8 სიალონების ელექტროწინადობათა ცვლილების გრაფიკები  
ტემპერატურაზე დამოკიდებულებით

აღნიშნულის ახსნა შეიძლება ამ ორი მასალის ფაზური შედგენილობიდან გამომდინარე, რადგან სიალონთან ერთად მათში წარმოდგენილია  $\alpha$ -SiC ნახევარგამტარული თვისებების მატარებელი.

**კომპოზიტების ელექტრომახასიათებლები  
(473–573 K ინტერვალში)**

ნიმუშის №	გამტარობის აქტივაციის ენერგია, ΔE, გვ	ელექტროწინაფობის ტემპერატურული კოეფიციენტი, Δ a. $10^{-2}$ , $\Omega$ m/K
SN-1	1,72	3,7
SN-6	1,29	2,7
SN-7	1,08	2,3
SN-8	1,51	3,3

### 3. დასკვნა

კაოლინ-ალუმინის პუდრის ნარევის გამოწვისას 800–1500°C-ის ინტერვალში დაფიქსირებულია და დადგენილი ალუმინისა და სილიციუმის ნიტრიდების და მათ ბაზაზე მულიტის სტრუქტურის მქონე X სიაღმონის წარმოქმნის ტემპერატურები. ხოლო SiC ალუმინის პუდრის, სილიციუმის და  $\alpha$ - $Al_2O_3$ , ალუმინის პუდრ-სილიციუმის ნარევის გამოწვისას მიღებულია  $SiC-SiAlON$  და  $Al_2O_3-SiAlON$  კომპოზიტები ვ სიაღმონურ მატრიცაზე. მიღებული შედეგები დადასტურებულია რენტგენოსტრუქტურული და მიკროსკოპული ანალიზებით.

### ლიტერატურა

1. Гузман И.Я., Тумакова Е.И., Федотов А.В. Сопоставительное исследование некоторых свойств материалов на основе композиций  $SiC+Si_3N_4$  и  $SiC-Si_2N_2$ // Огнеупоры, №3, М., 1970, с. 44-48.
2. Kilian M., Friedrich-Produktionsverfahren Anwendungseigenschaften und Einsatzmöglichkeiten von Nitridkeramik insbesondere von Siliciumnitrid. Vortragsverff. Haus Techn., Essen, 1987, № 519, p. 19-21.
3. Wang L., He C., Wu J. -Oxidation of sintered silicon-nitrid materials. Ceram. Mater and Comp. Engien. Proc. Jnt.Simp. Las Vegas. N27-30, 1988, Westerville (Ohio) 1989, p. 604-611.
4. Белий Я.И., Комда В.В., Сивистун В.М., Положай С.Г. К вопросу получения композиционных материалов на основе нитрида кремния // Моск. междунар. конф. по композитам. Тезисы докладов, ч. 2. М., 1990, с. 174.
5. Zheng G., Zhao J., Gao Z., Cao Q., - Cutting performance and wear mechanisms at Sialon-Si<sub>3</sub>N<sub>4</sub> graded nano-composite ceramic cutting tools/ The International Journal of advanced Manufacturing Technology, 2012 V.58 , I. 1-4. P. 19-28.
6. Riley F.L. Silicon nitride and related materials -J. Am.Ceram. Soc.-2000.- v.83.- №2. P.10-30.
7. Luthra K.L. -A Mixed Interface Reaction/Diffusion Control Method for Oxidation of Silicon Nitride, J. Electrochem.Soc.-1991.- v.138. -№10 p. 3001-3007.
8. Ogbuji L.U.J.T.- Role of  $Si_2N_2O$  in the Passive-Oxidation of Chemically-Vapor-Deposited  $Si_3N_4$ , -j.Am. Ceram. Soc.-1992, v.75-№11. P. 2995-3000.
9. Kawai C., Yamakawa A. - Effect of porosity and microstructure on the strenght of  $Si_3N_4$ : designd microstruqture for high strenght, high shock resistance and facile machining,- j.Am. Ceram. Soc. 1997. V. 80 №10 p. 2705-2708.
10. Cerenius Y.- Melting temperature measurements on – a- silicon nitride to a pressure of 37 Gpa. j.Am. Ceram. Soc. 1999. V.82 №2 p. 380-386
11. Чухолина Л.Н. Способ получения порошка сиалона. <http://bd.patent.su/2378000>, 2012.11.18.
12. [Http://www.ceramtec.com.ua/ceramic-materials/sialon](http://www.ceramtec.com.ua/ceramic-materials/sialon) . [20-28]- t.2 dan.
13. Боровинская И.П. Смирнов К.Л. Самораспространяющийся высокотемпературный синтез сиалоновой керамики // Наука производству. Москва, 1998, 8 (10), с. 39-45.
14. Боярина И.Л. Пучков А.Б. и др. Сиалоны-новый огнеупорный материал // Огнеупоры, N 12. Москва, 1981, с.24.
15. Van Landeghem H.P., Goune M., Redjamia A.- Investigation of a Ferrite/Silicon Nitride Composite Concept Ained at Automotive Applications steel research international, 2012. V.83. I 6. P. 590-593.
16. Rosenflanz A., I-Wei-Chen.- Phase Relationships ahd Stability of a-SiALON,-J.Am.Ceram. Soc. 1999. V.82. №4. P. 25-28.
17. P.L. Land, J.M. Wimmer, R.W Burns, N.S. – Compounds and properties of the system Si-AL-O-N. Choudhury/ J.Am. Ceram. Soc. V. 61 №1-2 1978. P.50-60.
18. Ekstrom T., Nygren M.- SiALON ceramics/ J.Am. Ceram. Soc. 1992. V.75 №2. P. 259-276.
19. Schmucker M., Schneider H.- Transformation of X-phase SiALON to Mullite.- J.A.m. Ceram.soc. 1999 v.82. №7 p. 1934-1936.
20. Anya C.C., Hendry A. Hardness - Indentation Fracture Toughness, and Compositional Formula of X-phase Sialon/ J. of Mat. Sci.-1994. V. 29. P. 527-533.
21. Ekstrom T., Olsson P.O. - Beta-Sialon Ceramics prepared at 1700 °C by Hot Isostatic Pressing/ J. of the Amer. Ceram. Soc. 1989. V.72. p. 1722-1724.
22. Ekstrom T., Kall P.O., Nygren M., Olsson P.O. - Dense Single-Phase Beta-Sialon Ceramics by Glass-Encapsulated Hot Isostatic Pressing. –J .of mat. Sci.- 1989. V.24. p. 1853-1862.
23. Kishi K., Umebayashi S., Tani E.- Influence of Microstructure on Strenght and Fracture Toughness of Beta-Sialon.- J. of Mat. Sci. 1990. V.25, p. 2780-2784.

24. Piekarczyk J., Lis J., Bialoskorski J.- Elastic Properties, Hardness, and Indentation Fracture Toughness of beta-Sialons/ Key Engineering Materials.- 1990. V. 89-91, p. 542-546.
25. X. Jiang, Y.K. Baek, S.M. Lee, S.J.L. Kang -Formation of an  $\alpha$ -SiALON layer on  $\beta$ -SiALON and its effect on Mechanical properties. - J.Am Ceram. Soc. 1998., v. 81. №7 p. 1907-1912.
- 

**УДК 54**

**OBTAINING OF SIALON-S WITH NITRO-ALUMOTHERMAL PROCESSES**

**Z.Kovziridze, N. Nizharadze, G.Tabatadze, T.Cheishvili, Z.Mestvirishvili, M.Mshvildadze,  
E.Nikoleishvili, N.Darakhvelidze**

Department of Chemical and Biological Technologies of Georgian Technical University 69, Kostava str, 0175, Tbilisi, Georgia

**Resume:** Composites were obtained with nitro-alumothermal processes with nitro-alumothermal processes in the SiC - SiAlON and Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> – SiAlON system. Physical-chemical processes going on at the obtaining of SiAlON within the range of 800-1500°C were studied. Charge compositions and sintering regime were selected. It was proved that X-SiAlON was obtained at the sintering of kaolin-aluminum powder at 1500 °C, while  $\beta$  –SiAlON was formed at the sintering of SiC-Aluminum powder, silicium and Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> – aluminum powder – silicium blend at 1500 °C . Corrosion properties of the materials were studied. Investigations were performed by the methods of X-Ray structural and microscopical analysis.

**Key words:** composite; silicium carbide; corundum; silicium nitride; aluminum nitride; mullite; SiAlON.

---

**УДК 54**

**ПОЛУЧЕНИЕ СИАЛОНОВ НИТРО-АЛЮМИНОТЕРМИЧЕСКИМ МЕТОДОМ**

**Ковзирдзе З.Д., Нижарадзе Н.С., Табатадзе Г.С., Чейшвили Т., Мествиришвили З.З.,  
Мшвилладзе М.Дж., Николеишвили Е.Т., Дарахвелидзе Н.Ю.**

Департамент химической и биологической технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175 Тбилиси, ул.М. Костава 69

**Резюме:** Изучены физико-химические процессы, протекающие при получении сиалонов в интервале температур 800-1500°С методом нитроалюмогидрии. Подобраны составы композитов и режимы их обжига. Получены композиты в системах SiC-SiAlON и Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-SiAlON.

Установлено, что при обжиге смеси каолин-алюминиевая пудра при 1500°С получается X-сиалонов, а при обжиге двух смесей - SiC-алюминиевая пудра, силиций Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-алюминиевая пудра и силиций, при 1500°С получается  $\beta$ -сиалонов. Изучены коррозионные свойства полученных материалов. Исследования проводились с применением рентгеноструктурного и микроскопического методов анализа.

**Ключевые слова:** композит; карбид силиция; корунд; нитрид алюминия; нитрид силиция; муллит; сиалонов.

---

**ზ. კოვზირიძე\*, ნ. ნიუარაძე, მ. ბალახაშვილი**

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 69

E-mail: kowziri @ gtu.ge

**რეზიუმე:** შესწავლითი დოლომიტ-სერპენტინიტური კლინკერი ტორკრეტ-მასის მისაღებად მეტალურგიული თბური აგრეგატების ამონაგისათვის, პლასტიფიკატორის სახით დამატებული ჩასოვიარის საბადოს თიხის (უკრაინა) რაოდენობის გავლენა კლინკერის ცეცხლგამძლეობაზე და მიღებულია ოპტიმალური შედგენილობის ტორკრეტ-მასა, განხილულია ტორკრეტ-ბეტონის ძირითადი თვისებები. დადგენილია დოლომიტ-სერპენტინიტური კლინკერის ვარგისობა ტორკრეტ-ბეტონის მისაღებად. მოცემულია ტორკრეტირების მეთოდის უპირატესობა ცეცხლგამძლე ამონაგის შესრულების სხვა მეთოდებთან შედარებით.

ნაჩვენებია კლინკერის ქიმიური და მინერალოგიური შედგენილობა და მისი ძირითადი ფიზიკურ-ტექნიკური თვისებები. კვლევა ჩატარებულია ქიმიური და რენტგენოსტრუქტურული ანალიზის მეთოდებით. შერჩეულია ტორკრეტ-მასის მისაღები ძირითადი კომპონენტები, თბური აგრეგატების ამონაგის ტორკრეტირებისათვის საჭირო აპარატურა და შედგენილია ტექნოლოგიური სქემა.

**საკვანძო სიტყვები:** დოლომიტ-სერპენტინიტური კლინკერი; ტორკრეტ-ბეტონი; მეტალურგიული თბური აგრეგატები; ამონაგი; ტორკრეტ-აპარატი; კომპრესორი; რესივერი.

## 1. შესავალი

ტორკრეტირება თბური აგრეგატების ამონაგის შესრულების მეთოდებს შორის ყველაზე პროგრესულია. ამ მეთოდის გამოყენება, ტორკრეტ-მასების ახალი შედგენილობების დამუშავება და მაღალი თბოფიზიკური თვისებების შემკვეთების გამოყენება ხელს შეუწყობს სამრეწველო ღუმლების, კერძოდ მეტალურგიული ღუმლების ამონაგის მუშაობის ხანმედეგობის გაზრდას. ტორკრეტ-ბეტონისაგან ამონაგის გაკეთება სრულდება როგორც თბური აგრეგატების ახალი მშენებლობის დროს, ასევე რე-

მონგისას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გამოყენება ცხელი რემონტის შემთხვევაში.

ტორკრეტირების საშუალებით ხდება აგურის წყობის ცალკეული დეფექტური ადგილების და სამრეწველო ღუმლების მთელი კონსტრუქციული ელემენტების აღდგენა. დაბეტონებისაგან განსხვავებით, ტორკრეტირება არ მოითხოვს ყალიბის გამოყენებას. იმის გამო, რომ ტორკრეტებებინი შეიცავს მცირე რაოდენობის სინესტეს, ამონაგი შერება ღუმლის ჩართვისას. ამით ჩარდება ამონაგის შესრულების პროცესი, იზრდება სიმტკიცე, მცირდება სათბობისა და ელექტროგენერიის ხარჯი [1-4].

ტორკრეტირების მეთოდის უპირატესობებია:

1. ამონაგის შესრულების დროის დაჩქარება, პროცესის მექანიზაცია.

2. რთული კონსტრუქციის თბური აგრეგატების ამონაგის შესრულების შესაძლებლობა.

3. შრომის წარმადობის გაზრდის შედეგად შრომითი დანახახარჯების შემცირება.

4. ამონაგის სიმტკიცის გაზრდა მექანიკური ხემოქმედების, დარტყმების, ცვეთის მიმართ.

5. დაზიანებული ამონაგის აღდგენის შესაძლებლობა.

6. ცხელ მდგომარეობაში რემონტის ჩატარების შესაძლებლობა.

7. დაბალი დირებულება ღუმელში აგურის ამონაგთან შედარებით.

ტორკრეტირების არსი მდგომარეობს განსაზღვრული შედგენილობის ტორკრეტ-ბეტონის ნარევის დაზანაში, ტორკრეტ-აპარატის დახმარებით, ღუმლის ამონაგის გასაკეთებლობა. ამ დროს შემრალი ტორკრეტ-ბეტონის ნარევი, შეკუმშული ჰაერის მოქმედებით, მილების საშუალებით მიეწოდება საქმეს და ხდება დატენიანება მისი საქმენიდან გამოშვების წინ.

ტორკრეტ-ბეტონის წნევით დატანის შედეგად წარმოქმნება ბეტონის გამკვრივებული ფენა, რომელიც თვისებებით ჩვეულებრივი ბეტონისაგან განსხვავდება, აქეს გადიდებული მექანიკური სიმტკიცე და სასიათდება კარგი შეჭიდულობით ზედაპირთან [5-8]. გამოყენება, როგორც ცეცხლგამძლე მასალა ცემენტის, ქი-

მიურ, მინის, ფერადი და შავი მეტალურგიის სფეროში, ე.ი. ისეთ დარგებში, რომლებიც დაკავშირებულია მაღალტემპერატურულ პროცესებთან. რაოდენობრივი და ხარისხობრივი ტორკების შედგენილობის შერჩევისას ითვალისწინებენ თბური აგრეგატის დანიშნულებას, ამონაგის მუშაობის პირობებს და მის კონსტრუქციულ ალემენტებს, კომპონენტების ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს, მათ მარცვლოვან შედგენილობას, ბეტონის დატანის მეთოდებს, მის უნარს წინააღმდეგობა გაუწიოს მაღალი ტემპერატურის მოქმედებას და ტემპერატურულ ცვლილებებს, წიდების, მეტალთა ოქსიდების მტვერისა და აირების ქიმიურ მოქმედებას, მეტალის ნაკადის დარტყმით მოქმედებას.

## 2. ძირითადი ნაწილი

სამუშაოს მიზანია დოლომიტ-სერპენტინიტური კლინკერის და დანამატების გამოყენებით ტორკები-ბეტონის ოპტიმალური შედგენილობის მიღება და ტორკები-ირებისათვის საჭირო აპარატურის შერჩევა.

ტორკები-ბეტონის ნარევის შემადგენელია მჭიდა მასალა, მსხვილი და წვრილი შემავსებელი, წმინდად დაფქული დანამატი – პლასტიფიკატორი, გამაგრების დამაჩქარებლები და წყალი. ყველა ჩამოთვლილი მოთხოვნების გათვალისწინებით ტორკები-მასის მოსამზადებლად ძირითადი კომპონენტის სახით გამოვიყენეთ ლაბორატორიაში ჩვენ მიღებული დოლომიტ-სერპენტინიტური კლინკერი, რომლის ქიმიური შედგენილობა წარმოდგენილია 1-ლ ცხრილში.

ცხრილი 1

### დოლომიტ-სერპენტინიტური კლინკერის ქიმიური შედგენილობა

ნედლეულის დასახელება	ოქსიდების შემცველობა, მას. %							
	SiO <sub>2</sub>	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	MgO	CaO	Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	სინესტე	ნ.დ.	ჯამი
დოლომიტ-სერპენტინიტური კლინკერი	17,89	1,11	39,16	39,05	2,77	-	-	100

კლინკერის შედგენილობისა და მისი წარმოქმნელი მთავარი ოქსიდების ქიმიური შედგენილობის მიხედვით (ცხრილი 1) შეიძლება კლინკერის მინერალოგიური შდგენილობის გამოთვლა. დოლომიტ-სერპენტინიტური კლინკერის მისაღებად, თანაფარდობით 4:1, დამზადდა ბრიკეტები და გამოიწვა სილიტის დუმელში 1350°C, 1400°C, 1450°C და 1500°C ტემპერატურებზე. კლინკერის მიღების პროცესში პირველად წარმოიქმნება C<sub>4</sub>AF (Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-ის მთლიანად შეკავშირებამდე), შემდეგ დარჩენილი Fe<sub>2</sub>O<sub>3</sub> წარმოქმნის

C<sub>2</sub>F-ს. Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-ის თითოეული პროცენტი იძლევა 4,77% C<sub>4</sub>AF-ს [9].

$$C_4AF=4,77 \text{ Al}_2\text{O}_3, C_4AF=4,77 \times 1,11 = 5,29\%$$

დარჩენილი Fe<sub>2</sub>O<sub>3</sub>-ისაგან მიიღება C<sub>2</sub>F:

$$C_2F=1,7(2,77-1,57 \times 1,11)=1,75\%.$$

შემდეგ დარჩენილი CaO წარმოქმნის C<sub>3</sub>S და C<sub>2</sub>S-ს:

$$3\text{CaO} + \text{SiO}_2 = 3\text{CaO} \cdot \text{SiO}_2; 2\text{CaO} + \text{SiO}_2 = 2\text{CaO} \cdot \text{SiO}_2; \\ C_3S=37,97\%, C_2S=15,83\%.$$

კლინკერის მინერალოგიური შედგენილობა მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

### კლინკერის მინერალოგიური შედგენილობა, მას. %

C <sub>3</sub> S	C <sub>2</sub> S	C <sub>4</sub> AF	C <sub>2</sub> F	MgO
37,97	15,83	5,29	1,75	39,16

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ კალციუმის სილიკატების შემცველობა აღწევს 53,8%, ხოლო პერიკლაზის – 39,16%-ს.

კლინკერის ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია მე-3 ცხრილში.

ცხრილიდან ჩანს, რომ 4:1 თანაფარდობით აღებული, ერთნაირ პირობებში გამომწვარი ნი-

მუშების წყალშთანთქმა, ფორიანობა, სიმკვრივე და სიმტკიცის ზღვარი კუმშვისას უკეთესი ფიზიკურ-ტექნიკური მაჩვენებლებით ხასიათდება. ოპტიმალურია აგრეთვე გამოწვის ტემპერატურა 1450°C და ბოლო ტემპერატურაზე 4სთ-იანი და-

ყოვნება. ამ პირობებში მიღებული ნიმუშები შემცხვარია და მაღალი ფიზიკურ-ტექნიკური მაჩვენებლებით ხასიათდება, რასაც ადასტურებს რენტგენოსტრუქტურული ანალიზი (ნახ. 1).


ცხრილი 3

### კლინკერის ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლები

კომპონენტების თანაფარდობა, მას. %		გამოწვ. ტემპ., °C	დაყოვნება, ბოლო ტემპ., სთ	ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლები			
დოლო- მიტი	სერაპე- ტინიტი			სიმტკიცის ზღვარი კუმშვისას, მკ მკა	წყალ- შთანთქმა, %	ფორია- ნობა, П%	სიმკვრივე, კგ/სმ <sup>3</sup>
4	1	1350	1	318	2,10	5,80	2,52
			4	296	1,98	5,10	2,74
		1400	1	355	1,30	3,63	3,45
			4	377	0,99	2,50	3,62
		1450	1	400	0,77	2,08	3,64
			4	480	0,70	1,85	3,69
		1500	1	492	0,70	1,85	3,76
			4	517	0,62	1,82	3,78

900°C-ზე გამომწვარ ნიმუშების რენტგენოგრამაზე (ნახ. 1) დაფიქსირებულია MgO-სთვის დამახასიათებელი დიფრაქტორული მაქსიმუმები  $d_{hkl} 2,109; 1,48 \text{ \AA}$ ,  $\text{CaO} - d_{hkl} 2,406; 1,705 \text{ \AA}$ ,  $\text{Ca(OH)}_2 - d_{hkl} 2,627; 2,47 \text{ \AA}$  და  $\text{CaCO}_3 - d_{hkl} 3,04; 1,80 \text{ \AA}$ . 1000°C-ზე გამომწვარი ნიმუშების რენტგენოგრამაზე იგივე სურათია, მხოლოდ ინტენსიურობით შემცირებულია  $\text{CaCO}_3$ -ისა და  $\text{Ca(OH)}_2$ -ის დამახასიათებელი პიკები, 1100°C-ზე არ არის  $\text{CaCO}_3$  და  $\text{CaO}$ . ეს უკანასკნელი წნდება კალციუმის სილიკატების სახით. 1200°C და 1300°C-ზე გამომწვარი ნიმუშები უკვე შეიცავს კრისტალური პერიკლაზისა და კალციუმის სილიკატების გარკვეულ რაოდენობას, მათ შორის ორგალციუმიან სილიკატსაც, რომლის რაოდენობა 1400°C და 1450°C-ზე თანდაონ მცირდება, რაც უთუოდ იმის შედეგია, რომ

ბელიტი ( $\text{Ca}_2\text{Si}$ ) და პირველადი მინერალები იხსნება თხევად ფაზაში, რომელიც ამ ტემპერატურებზე წნდება.  $\text{Ca}_2\text{Si}$  ურთიერთქმედებს თავისუფალ  $\text{CaO}$ -სთან, რომლის პიკები ქრება და ალიტი წარმოიქმნება. მისაღები პროდუქტის თვისებების თვალსაზრისით, ხელსაყრელია თავისუფალი  $\text{CaO}$ -ს შეკავშირება  $\text{C}_3\text{S}$  (ალიტი) სამკალციუმიან სილიკატად, რომელიც სტაბილურია  $>2000^\circ\text{C}$ -ზე. უფრო ძნელდობადი ორგალციუმიანი სილიკატი, რომლის დღობის ტემპერატურა 2100°C-ია, განიცდის ალოტროპიულ სახეცვლილებას, რასაც თან ახლავს მოცულობის ცვლილება. ამდენად, მცდა გარდაქმნა 670°C-ზე მიმდინარეობს 10% მოცულობის ცვლილებით, რაც იწვევს კლინკერის დაშლას ფხვნილის სახით.



ნახ. 1. კლინკერის რენტგენოგრამა, 1 - 900, 2 - 1000, 3-1100,  
4 - 1200, 5 - 1300, 6 - 1400, 7 - 1450°C

ექსპერიმენტის ჩასატარებლად კლინკერი ჯერ დავამსხვრიეთ ყბებიან მსხვრევანაში, შემდეგ გავატარეთ №7, 5 და 1მმ საცერში, რომ მიგვედო 5-7 მმ და 1-5 მმ ფრაქციები. №1 საცერში გასული ფხვნილი ტარდებოდა ვიბროწისქვილში წმინდად დაფქ'ელი კლინკერის მისაღებად. 5მმ-მდე ზომის შემავსებელი წვრილია, ფრაქცია 5-7მმ – მსხვილი. წმინდად დაფქ'ელი კლინკერი გამოიყენება, როგორც მჭიდა მასალა <0,063 მმ-ზე. ფრაქციათა ზომები და რაოდენობა შემდგებია (მას. %):

5-7მმ – 30%

1-5მმ – 35%

< 0,063 – 30%

შემავსებლის თვისებები მკვეთრად განსაზღვრავს ტორკრეტ-ბეტონის სიმტკიცეს და მასთან

დაკაგშირებულ თვისებებს: ფორიანობას, აირშეღწევადობას, წილამდგრადობას და ობოგამტარობას. მჭიდა მასალა ერთმანეთთან აერთებს შემავსებელს და მაგრდება ქიმიური ურთიერთქმედების და მაღალი ტემპერატურის მოქმედებით, შედეგად მიიღება მონოლითური ქვისმაგვარი მასა.

წმინდად დაფქ'ელი დანამატი, როგორც პლასტიფიკატორი, ემატება ტორკრეტ-მასას მის ნაწილაკებს შორის ხახუნის შესამცირებლად, ძრადობისა და სიმკერივის გასაზრდელად.

წმინდად დაფქ'ელი დანამატის სახით გამოვიყენეთ ჩასოვ-იარის საბადოს ცეცხლგამძლე თიხა, რომლის ქიმიური შედგენილობა მოცვემულია მე-4 ცხრილში.

#### ცხრილი 4

##### ჩასოვ-იარის საბადოს თიხის ქიმიური შედგენილობა (მას.%)


$\text{Al}_2\text{O}_3 + \text{TiO}_2$	$\text{SiO}_2$	$\text{Fe}_2\text{O}_3$	$\text{CaO}$	n.n.n.
34,18	59,84	1,43	0,53	9,20

ცეცხლგამძლე თიხა ასრულებს პლასტიფიკატორის და შემწებავ როლს დაბალ ტემპერატუ-

რაზე მაღალზე იგი შეცხვება და წარმოქმნის კერამიკულ შემკვრელს და ხელს უწყობს თერ-

მომდგრადობისა და წილამედეგობის ამაღლებას. ჩასოფ-იარის საბადოს თიხის შერჩევა განპირობებულია იმით, რომ იგი სხვა ცეცხლგამძლე თიხებისაგან განსხვავდება შეცხობის დაბალი ტემპერატურით ( $1050$ – $1100^{\circ}\text{C}$ ), რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს კერამიკული შემკვრელის სწრაფად წარმოქმნისათვის დატანილ

ტორკრეტ-მასასა და სარემონტო წყობის ზედაპირს შორის. იმის შესასწავლად, როგორ იმოქმედებდა დოლომიტ-სერაცენტინიტური კლინკერის ცეცხლგამძლეობაზე თიხის დამატება, შევაღინეთ კლინკერ-თიხის რამდენიმე ნარევი და შევისწავლეთ ცეცხლგამძლეობა. მე-2 ნახ-ზე მოცემულია კვლევის შედეგები.



ნახ. 2. დოლომიტ-სერაცენტინიტური კლინკერის  
ცეცხლგამძლეობის დამოკიდებულება ცეცხლგამძლე თიხის დანამატზე

მე-2 ნახ-ზე შეიძლება გამოვყოთ ორი უბანი 0–40% და 40–60% თიხის შემცველობით. 0–40% (I უბანი) თიხის შემცველობისას ტორკრეტ-მასის ცეცხლგამძლეობა შედარებით უმნიშვნელოდ შემცირდა. შეიძლება იმის გარაუდი, რომ დოლომიტ-სერაცენტინიტური კლინკერის ძირითადი კომპონენტი  $\text{MgO}$  იმოქმედებს თიხის  $\text{Al}_2\text{O}_3$ -თან შპინელის წარმოქმნით ან  $\text{MgO}$ -ს მოქმედებით  $\text{SiO}_2$ -თან მიიღება  $2\text{MgO} \cdot \text{SiO}_2$  ფორმულით, ან თიხისაგან – მულიტი  $3\text{Al}_2\text{O}_3 \cdot 2\text{SiO}_2$ , რომელთაგან ყველა ცეცხლგამძლეა. ასევე წარმოქმნება მცირე რაოდენობით თხევადი ფაზა, რის შედეგადაც უმნიშვნელოდ შემცირდება ცეცხლგამძლეობა. ჩატარებული ექსპერიმენტის ანალიზის მიხედვით დანამატად ავირჩიეთ 5–10%-მდე თიხა.

თბური აგრეგატების ამონაგის შესრულებისა და რემონტის ჩასატარებლად საჭიროა შეზღუდული დრო, რომელიც არ იძლევა ბეტონის გაჩერების საშუალებას მაქსიმალური სიმტკიცის მიღებამდე, 28 დღე-დამის განმავლობაში. ამი-

ტომ, ცეცხლგამძლე ტორკრეტ-ბეტონისაგან მოკლე ვადაში მოითხოვება გამაგრების და მაქსიმალური სიმტკიცის მიღების უნარი. ამ მიზნით ბეტონის ნარევში შეკვრის დამაჩარებლები. ჩვენ შემთხვევაში ტორკრეტ-მასის მშრალ ნარევს დაემატა 5%  $\text{MgCl}_2$  ფხვილის სახით. იგი ზრდის შეკვრისადმი აქტიურობას და ინარჩუნებს ცეცხლგამძლე თვისებებს მაღალცეცხლგამძლე  $\text{MgO}$ -ს წყალობით.

ტორკრეტ-მასის ნარევის მოსამზადებლად დოლომიტ-სერაცენტინიტური კლინკერის წმინდა ფრაქცია საჭირო თანაფარდობით ჩაიტვირთა ამრევში თიხასთან და  $\text{MgCl}_2$  ერთად და არევა გაგრძელდა 3 წუთი, დაემატა შემავსებელი – კიდევ 2 წუთი, დანესტრიანდა 8–12% წყლით და მეტალის ფორმებში დაფალიბდა 50X50 მმ ზომის ნიმუშები. სხვადასხვა ნარევისაგან მიღებული შედეგების მიხედვით შევარჩიეთ ტორკრეტ-მასის ოპტიმალური შედგენილობა, რომელიც წარმოდგენილია მე-5 ცხრილში.

## ტორკეტ-ბეტონის ოპტიმალური შედგენილობა, მას.%


მჭიდა მასალის დასახელება	შემავსებელი	შეკვრის დამაჩქარებელი	პლასტიფიკატორი	
დოლომიტ-სერპენტინიტური კლინკერი, $<0,063\text{mm}$	დოლომიტ- სერპენტინიტური კლინკერი	MgCl <sub>2</sub>	ცეცხლგამძლე თიხა	
	5-7მმ	1-5მმ		
25	30	30	5	10

ასეთი შედგენილობის ტორკეტ-მასის დაყალიბების შედეგად მიღებული ტორკეტ-ბეტონის თვისებები წარმოდგენილია მე-6 ცხრილში.

## ტორკეტ-ბეტონის თვისებები

ტორკეტ- ბეტონის გამოყენ. მაქს. ტემპ. $^{\circ}\text{C}$	ბეტონის სიმტკიცე კუმულაცია, $110^{\circ}\text{C}$ -ის შემდეგ, მპა	ცეცხლოვანი ჩაჯდომა, %	სიმტკიცის ზღვარი კუმულაციას $1400^{\circ}\text{C}$ -ზე, გამოწვის შემდეგ, მპა	თერმული მედგრობა ( $800^{\circ}\text{C}$ – წყალი), თბოცვლა
1600-1700	25	0,15-0,20	210	20

ექსპერიმენტის შედეგად მიღებული შედეგების გათვალისწინებით შევადგინეთ, თბური აგრეგატების ტორკეტირების მეთოდით, ამონაგის შესასრულებლად საჭირო ტექნოლოგიური სქემა, რომელიც წარმოდგენილია მე-3 ნახატზე და შევარჩინთ შესაბამისი აპარატურა.



ნახ. 3. ტექნოლოგიური სქემა თბური აგრეგატების ტორკეტირებისათვის.

1. ბუნკერი მსხვილი შემავსებლით,
2. ბუნკერი წვრილი შემავსებლით,
3. ბუნკერი მჭიდა მასალით,
4. ბუნკერი ცეცხლგამძლე თიხით,
5. ამრევი,
6. ტორკეტ-აპარატი,
7. კომპრესორი,
8. რესივერი,
9. საჭმელი,
10. ღუმელი

ბუნკერში მოთავსებული თითოეული კომპონენტი ამრევში ჩაიტვირთება საჭირო თანაფარდობით, დაბორატორიაში მიღებული ტორკრეტმასის ოპტიმალური შედგენილობის მიხედვით. ამრევში სპეციალურად მომზადებული კარგად არეული ტორკრეტ-ბეტონის მშრალი ნარევი გადაიტანება ტორკრეტ-აპარატში 6, კომპრესორიდან 7 შეკუმშული პაერი 2–3,5 კგ/სმ<sup>2</sup> წნევით მიემართება მატერიალური შლანგებით საქშებში. ერთდღოულად წყლის რეზერვუარიდან მიეწოდება წყალი, რომლის წნევა უნდა იყოს 1–1,5 კგ/სმ<sup>2</sup>-ზე მეტი, ვიდრე ტორკრეტ-აპარატში. საქშების გამოსახვლებში ხდება ნარევის დანესტიანება, დანესტიანებული ნარევი გამოვა რა საქშენიდან 100გ/წმ სიჩქარით, მიეჯახება დასაბეტონებელ ზედაპირს და მიეწეობა. შედეგად ზედაპირზე წარმოიქმნება ტორკრეტ-ბეტონის მკვრივი და მტკიცე ვენა.

### 3. დასკვნა

- შესწავლითია დოლომიტ-სერპენტინიტური კლინიკერი ტორკრეტ-მასის მისაღებად მეტალურგიული თბური დანადგარების ამონაგის ტორკრეტირებისათვის;
- დოლომიტ-სერპენტინიტური კლინიკერის ქიმიური და მინერალოგიური შედგენილობა;
- შერჩეულია ტორკრეტ-მასის მისაღები ძირითადი კომპონენტები: ჭიდავ მასალა, მსხვილი და წვრილი შემავსებლები, პლასტიფიკატორი და შეკვრის დამატებელები, ტორკრეტირებისათვის საჭირო აპარატურა და შედგენილია ტექნოლოგიური სქემა;
- მიღებულია მაღალი ფიზიკურ-ტექნიკური თვისებების ტორკრეტ-ბეტონი;

- დადგენილია დოლომიტ-სერპენტინიტური კლინიკერის ვარგისობა ტორკრეტ-ბეტონის მისაღებად.

### ლიტერატურა

1. Великин Б.А., Карклин А.К., Колпаков С.В. Футеровка сталеразливочных ковшей. М.: Металлургия, 1990. - 245 с..
2. Великин Б.А. Ремонт печей методом торкретирования. М.: ЦНИИЦветмет, 1988. - 276 с..
3. Сасса В.С. Футеровка индукционных электропечей. М.: Металлургия, 1989, 230 с..
4. Азимов Ф.И., Азимов Ю.И. Торкретирование и торкретные работы: Учебное пособие.- Казань: КФЭИ, 1999.- 64 с..
5. Песцов В.И. Современное состояние и перспективы развития производства сухих строительных смесей в России // Строительные материалы, №3, 1999.
6. Азимов Ф.И. Торкретные работы. М.: Стройиздат, 1979. 71с.
7. Куталов В.Г., Перепелицын В.А., Шешуков О.Ю., Гуляков В.С., Вусихин А.С., Кузнеццов Д.В., Костицын М.А. Повышение шлакоустойчивости периклазоуглеродистой торкрет-масс // Новые огнеупоры, Фолиум, Москва, -№3, 2012, стр. 68.
8. Кузнеццов Д.В., Костицын М.А., Конюхов Ю.В., Митрофанов А.В. Повышение эксплуатационных характеристик вибролитых огнеупоров с использованием кавитационных воздействий // Новые огнеупоры. Фолиум, №3, Москва, 2012, стр. 68.
9. Волженский А. В., Буров Ю. С., Колокольников В.С. Минеральные вяжущие вещества. Издательство литературы по строительству, 1966, с.400.

**UDC 666.946.6**

## APPLICATION OF DOLOMITE-SERPENTINITE CLINKER FOR GUNNING OF BEDDING

OF METALLURGICAL THERMAL AGGREGATES

Z. Kovziridze, N. Nizharadze, M. Balakhashvili

**Resume:** Dolomite-serpentenite clinker has been investigated to obtain gun-mixture for metallurgical thermal aggregates bedding. Chemical and mineralogical composition of clinker and its main physical and chemical characteristics were determined. Investigations were performed by chemical and X-ray diffraction methods.

Advantage of gunning method compared to other methods of execution of refractory bedding has been shown. The main components were selected to obtain gun-mixture. Effect of Chasov-Yari deposit clay (Ukraine) rate added as plasticizing agent on clinker refraction capacity was studied and optimal composition gun-mixture was obtained.

The main properties of gunite were studied. Suitability of dolomite-serpentenite clinker for obtaining gunite was proved. Apparatuses for gunning of thermal aggregates bedding were selected and technological scheme was developed.

**Key words:** dolomite-serpentinite clinker; gunite; metallurgical thermal aggregates; bedding; gunning apparatus; compressor; receiver.

---

**УДК 666.946.6**

**ПРИМЕНЕНИЕ ДОЛОМИТ-СЕРПЕНТИНИТОВОГО КЛИНКЕРА ДЛЯ ФУТЕРОВКИ МЕТАЛЛУРГИЧЕСКИХ ТЕПЛОВЫХ АГРЕГАТОВ МЕТОДОМ ТОРКРЕТИРОВАНИЯ**

**Ковзирдзе З. Д., Нижарадзе Н.С, Балахашвили М.И.**

**Резюме:** Проведено изучение доломит-серпентинитового клинкера с целью получения торкрет-масс для футеровки металлургических тепловых агрегатов.

Показано преимущество метода торкретирования при выполнении футеровки тепловых агрегатов по сравнению с другими методами. Приведены химический и минералогический составы клинкера и основные физико-технические свойства. Исследование проведено химическим и рентгеноструктурным анализом. Выбраны составляющие компоненты торкрет-масс. Изучено влияние добавляемой глины Часовоярского месторождения на огнеупорность клинкера и получена торкрет-масса оптимального состава.

Установлена пригодность доломит-серпентинитового клинкера для получения торкрет-бетона и приведены его свойства. Выбрана аппаратура для торкретирования тепловых агрегатов и составлена технологическая схема.

**Ключевые слова:** доломит-серпентинитовый клинкер; торкрет-бетон; металлургические тепловые агрегаты; футеровка; торкрет-аппарат; компрессор; ресивер.

---

## შაპ G03B

### 3D სტერეოსკოპული გადაღების განვითარების ზოგიერთი ასპექტი

გ. ლოლაძე, ზ. ლომიძე

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 69

E-mail: g.loladze@gtu.ge

---

**რეზიუმე:** სამუშაო ეძღვნება მსოფლიოში 3D სტერეოსკოპული განვითარების, სხვადასხვა მკვლევარის მიერ გადმოცემული აზრების შესწავლა-განვითარებას.

მოვანილია ადრეული წლებიდან დღემდე 3D სტერეოსკოპული გადაღების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ასახულია ჩვენ მიერ ახალი ხედვისა და მიღების საფუძვლებზე, თანამედროვე 3D სტერეოსკოპული აგრეგატის შექმნა, რომელიც საშუალებას იძლევა როგორც ახლო, ასევე შორ მანძილზე ადამიანმა აღიქვას არსებულ საგნებს შორის მანძილი, მისთვის ჩვეულებრივ დიაპაზონში, გადაღების შექმნების გარეშე მოიცავს ფიზიკური მახასიათებლების სივრცით აღქმის ფერწერას, ოპტიკურ პრინციპებს და ტექნიკურ საშუალებებს, აშენებს ხილული სივრცული გამოსახულებების ობიექტებს.

**საკვანძო სიტყვები:** 3D სტერეოსკოპი; კონკრეტულია; პარალაქსი.

---

## 1. შესავალი

როგორც ცნობილია, აღმწარმოებლობის სტერეოსკოპული გამოსახულებების თანამედროვე მეთოდები წარმოუდგენელია რასტრული ოპტიკური სისტემების გამოყენების გარეშე. მკვლევრებმა დიდი ყურადღება დაუთმეს სივრცით მხედველობით ფოტოს და შედარებით ნაკლებად ტექნიკურ დანიშნულებებს, რომლის საშუალებითაც ხდება ამ პირობების რეალიზაცია.

შევისწავლეთ ევროპასა და მსოფლიოში მიღებული პატენტები სტერეოსკოპიაში, როგორიცაა: EPO374253AL და ა.შ. ლიტერატურული და საპატენტო მიმოხილვის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ გაგვეუმჯობესებინა ახალი დანადგარის პარამეტრები გარკვეული გათვალების ხარჯზე, როგორიცაა: წონა, გაბარიტული ზომები, გადაღების დიაპაზონი რეალურ დროში, მომსახურების გააღვიდება და სხვა.

## 2. ძირითადი ნაწილი

Stereoscopy არის მეცნიერების ვიზუალური

ადქმა 3D განზომილების სივრცეში (ჩვენს გარშემო არსებული), თუმცა სიტყვა „ოპტიკაში“ იგულისხმება არა მხოლოდ მეცნიერება სინათლეზე და მისი კანონების გავრცელება, არამედ ტექნიკური მოწყობილობებიც, გამოყენებული სინათლის ნაკადების გარდაქმნაში. ამ მოწყობილობების გაანგარიშების თეორიები, ასევე სიტყვა “Stereoscopy”, როგორც წესი, გულისხმობს ფართო სპექტრს, რომლის არეალში გარკვეული საკითხები მოიცავს ფიზიკური მახასიათებლების სივრცით აღქმის ფერწერას, ოპტიკურ პრინციპებს და ტექნიკურ საშუალებებს, აშენებს ხილული სივრცული გამოსახულებების ობიექტებს.

ადამიანის სურვილი აიხდინოს აღქმის გამოსახულებები, რომელიც ქმნის მოცულობით შთაბეჭდილებებს და ტელეადჭურვილობის საგნების გამოსახულებებს, აღწერილია ადრინდელი დროიდან. უკვე XV საუკუნეში ლეონარდო დავინჩი სწავლობდა ამ საკითხებს და ცდილობდა მიეცა მეცნიერული დასაბუთება. 1593 წ. პორტალ დაადგინა, რომ ჩვენს გონებაში კომბინირდება ორივე თვალით მიღებული გამოსახულებება და აღწერა ცალკეული გამოსახულებები სტერეოწყვილით.

ამ მოწყობილობის შექმნის პირველი სამუშაოები მიეცათვნება XIX საუკუნის შუა პერიოდს, ეს იყო ხელოვნურად უცურო სტერეოსკოპული ეფექტი. 1833 წ. ვიტსონმა შექმნა პირველი სარკის სტერეოსკოპი, ხოლო 1859 წელს ბრიუსებელმა – ლინზური სტერეოსკოპი. ამავე პერიოდს მიეცათვნება პირველი სტერეოსკოპული აპარატების შექმნა. შემდგომში აღქმის სტერეოსკოპული გამოსახულებები (კ.წ. გამოსახულებები, რომლებიც ქმნის სამყაროს მოცულობის შთაბეჭდილებას) ტექნიკურად გაუმჯობესდა. უკვე 1858 წელს ჩნდება პროექციული აღმწარმოებლობის ტექნიკური საშუალებები სტერეოსკოპული გამოსახულებების კ.წ. ანაგლიფების და ეკლიფსის მეთოდებით, რომლებიც დაამუშავეს ს. მიხაილოვმა და ს. ბრიუხენმა.

ამ საუკუნის დასაწყისში აღმოაჩინეს მეთოდები უკეთესი სტერეოსკოპული გამოსახულებების მისაღებად, რომლებიც თავისუფალი, ყოველგვარი ოპტიკური მოწყობილობების გარეშე.

ასეთი ავტოსტერეოსკოპული გამოსახულებების გამოჩენა შესაძლებელი გახდა ახალი წვრილმარცვლოვანი რასტრული ოპტიკური სისტემების შექმნით. ამ საქმეში დიდი წვლილი გ. ლიპმანსა და პ. სოკოლოვს ეკუთვნით, რომლებმაც 1911 წლს პირველებმა მიიღეს სივრცითი, განუყოფელი ინტეგრალური გამოსახულება არა მარტო სტერეოსკოპული დაკიორვებით, არამედ ობიექტების სხვადასხვა რაეურსით ხედვის სხვადასხვა შესაძლებელი წერტილებიდან. ამავე პერიოდში საბჭოთა გამომგონებლებლებმა: პ. ივანოვმა და ვ. შმაკოვმა უსათვალო სტერეოკინო შექმნეს. ასევე შესაძლებელი გახდა სატელევიზიო გამოსახულებების სტერეოსკოპული აღწარმოება. შემდგომში ა. ლევინქტონმა დაამუშავა ანაგლოფური კინოს დაპროექტების ორიგინალური სისტემა, ხოლო მ. ბასოვთან ერთად ოლარიზებული სტერეოსკოპული პროექტის სისტემა.

სტერეოსკოპი გამოიყენება ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ასტრონომია, მედიცინა, მშენებლობა, გეოლოგიური დაზემოვნები, არქიტექტურა და სხვა.

სტერეოსკოპული ფოტოგრაფიის გამოყენებას დიდი უპირატესობა აქვს ჩვეულებრივ ფოტოგრაფიასთან შედარებით, სივრცითი წარმოდგენის წყალობით, რომელსაც ქმნის სტერეოსკოპული გამოსახულება, მაგალითად, ხშირი ტყეები, მყინვარები, კრისტალები, ანატომიური და პისტოლების გირგვინი არეარატები სხვანაირად გამოიყერება, ვიდრე ჩვეულებრივი გადაღებისას. სტერეოსკოპული ფოტოგრაფიურება და კინოგადაღება შემდგომში გამოიყენებოდა რენტგენისკოპულ და მიკროსკოპულ პლავებში, ხოლო დღეს ელექტრონულ მიკროსკოპიასა და ბირთვულ პლავებში, გალოგრაფიაში.

საერთოდ იქ, სადაც საჭიროა სიწმინდე და გამომსახველობა, სტერეოსკოპულ ფოტოგრაფიას უპირატესობა აქვს, ჩვეულებრივთან შედარებით. განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ფერადი სტერეოსკოპული გამოსახულება, რომელიც შესაძლებელია მივიღოთ თანამედროვე ტექნიკით, როგორიცაა: ფერადი ფოტოგრაფიურება, ფერადი ფილმები და ფერადი ტელევიზია. თანამედროვე მეოთხების რეპროდუქცია, სტერეოსკოპული გამოსახულებების აღქმაში, წარმოუდგენელია რასტრული ოპტიკური სისტემების გარეშე. დიდი ურადღება ეთმობა სტერეოსკოპულ განვი-

თარებას, საერთო, პრინციპული ფუნდამენტური პირობების სივრცით ვიზუალურ აღწარმოებას და გარკვეულწილად მცირე ტექნიკური საშუალებების დანერგვას. ასევე, გამოიყენება ფიზიკის, მათემატიკის, აღმწარმოებლობის და სივრცითი ურთიერთობების ძირითადი კანონები.

2009 წლამდე ფილმები 3D-ში ძნელად ხვდებოდნენ კინოდარბაზებსა და სახლის კინოთაბრებში. სტერეოსკოპი, რომელიც ამჟამად 3D ტექნოლოგიით იწოდება, თავიდან ჩაფიქრებული იყო, როგორც შეალები ფოტოგრაფიასა და დისნეილენდის ატრაქციონებში “ტრილერი”, მაგრამ, როდესაც მოხდა 3D-ში ჩვენება, კერძოდ ავტორის ლამაზი გაფრენა “პანდორაში”, სტერეოსკოპულმა ტექნოლოგიებმა განვითარების მეორე შანსი მიიღო.

დღეს მწარმოებლები იცვლიან შეხედულებებს და ამბობენ, რომ 3D ტექნოლოგიები ყველაზე წარმატებულია, როგორც 10 წლის უკან განაცხადეს HD ტელევიზორებსა და ტელეგადაცემებზე.

2010 წლს კოპანია “Samsung”-მა გაყიდა 2 მილიონი 3D ტელევიზორი, ხოლო 2011 წელს – 10 მილიონი. LG და HTC მწარმოებლებმა განაცხადეს, რომ მათ მიერ გამოშვებული ვიდეორგოლები ინტერნეტში მაღლ 3D-ში იქნება.

დღეს 3D მოწყობილობების ბაზარი სწრაფად ვითარდება და მწარმოებლები ოპტიმისტურად აცხადებენ, რომ სამგანზომილებიანი ტექნოლოგიები დაიკავებს ჩვენი ცხოვრების ნაწილს დიდი ხნის განმავლობაში, მოგვწონს თუ არა ეს. ყოველწლიურად 3D ეკრანები ჩვენს ცხოვრებში კიდევ უფრო ფართოდ შემოვა.

### 3. დასკვნა

ჩატარებული კლევებით დადგინდა, რომ არც ისე საშიშია სტერეოსკოპული გამოსახულებების ურება, თუ გადაღვებული ობიექტი სწორად არის წარმართული. შესაბამისად, მისი დანახვაც შესაძლებელია, თუ გამოყენებული იქნება პოლარიზებული სისტემა (სადაც სტერეოსკოპული წყვილი გამოსახულებების შერწყმა ციმციმის გარეშე ხდება). ჩვენ მიერ აწყობილი აგრეგატი და გათვლებით გადაღებული ფოტო, ვიდეორგოლები ზემომოყვანილ თეორიებს ადასტურებს.



**სურ. 1. 3D სტერეოსკოპული  
აგრეგატი**

ამ აგრეგატს (სურათი) მსოფლიოში კონკურენტი არ გააჩნია იმ თვალსაზრისით, რომ შეგვიძლია გადავიღოთ სტერეოსკოპული გამოსახულება მსვლელობისას რეალურ დროში, გადაღების შეწყვეტის გარეშე და თან ერთდროულად ვარეგულიროთ სტერეობაზა, კონვერგეცია და პარალაქსი შესაბამისი გადაღების დიაპაზონში როგორც ახლო, ისე შორ მანძილზე.

#### **ლიტერატურა**

1. Валиюс Н. Л. Стереоскопия. М.: Академия наук СССР, 1962 г.
2. Копылов П.М. и Тачков А.Н. Телевидение и голограммия. М.: Связь, 1976 г.
3. Андреева О.В. Прикладная голограммия. Учебное пособие. Санкт-Петербург, 2008 г.

**UDC G03B**

**SOME SPECTS OF 3DSTEREOSCOPIC PHOTOGRAPHY DEVELOPMENT**

**G. Loladze, Z. Lomidze**

**Resume:** This work is devoted to study and development of 3D stereoscopic photography and opinions expressed by different researchers.

Beneficial and negative impacts of 3D stereoscopic photography from earlier years until today are represented.

Also here is reflected creation of modern 3D stereoscopic photography device on the basis of new look and approaches, which gives humans an opportunity to perceive a distance between things (both in close range and at long distance) in range which is common for him/her, without interruption in shooting. This device has no analogues not only in Georgia, but also worldwide.

**Key words:** 3D stereoscopic; convergence; parallax.

---

**УДК G03B**

**НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ РАЗВИТИЯ СТЕРЕОСКОПИЧЕСКОЙ ЗД-СЪЕМКИ**

**Лоладзе Г.З., Ломидзе З.А.**

**Резюме:** Работа посвящена развитию 3д-стереоскопического изображения, а также изучению множества зарубежных исследовательских работ.

Приведены примеры отрицательной и положительной стороны 3д-съемки с самых ранних лет.

Также отражены наше видение и подход к созданию современного 3д-стереоскопического агрегата, который дает возможность человеку определить расстояние между предметами в обычном диапазоне, не прекращая съемки на дальних и близких расстояниях.

Данному агрегату аналога в мире не существует.

**Ключевые слова:** 3д-стереоскопия; конвергенция; параллакс.

---

**Na<sub>2</sub>CO<sub>3</sub>–SrCO<sub>3</sub> – BaCO<sub>3</sub> – H<sub>3</sub>BO<sub>3</sub>–SiO<sub>2</sub> სისტემაში დაბალტემპარატურული პროცესების  
თერმოდინამიკური შეზასხვა**

ა. სარუხეანიშვილი, გ. გორდელაძე, ნ. ანდღულაძე\*

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 69

E-mail: andguladzenikoloz@gmail.com

**რეზიუმე:** გამოკვლეულია Na<sub>2</sub>CO<sub>3</sub> – SrCO<sub>3</sub> – BaCO<sub>3</sub> – H<sub>3</sub>BO<sub>3</sub> – SiO<sub>2</sub> სისტემაში დაბალტემპარატურული პროცესები. თერმოდინამიკური საანგარიშო საშუალებებით დადგენილია, რომ 298–773 K ინტერვალში ბორის მჟავას გარდაქმნასთან ერთად მიმდინარეობს ამ მჟავასა და გარდაქმნით მიღებულ პროდუქტთა, უპირატესად ნატრიუმის კარბონატთან ურთიერთქმედება სხვადასხვა სტექიომეტრიის ნატრიუმის ბორატების წარმოქმნით. ამავე ინტერვალში მოსალოდნელია სისტემის თხევადი ფაზის პირველი ულუფების წარმოქმნა.

**საკვანძო სიტყვები:** სისტემა; თერმოდინამიკური პარამეტრები; სტანდარტული მოლური სიდენტი; კომპონენტთა ურთიერთქმედება.

## 1. შესავალი

საკვლევი სისტემის უსტრონციუმო თოხეომპონენტიანი კომპოზიციები საქმაოდ ვრცლად არის შეწავლილი შესაბამის ლიტერატურაში [1–4]. ამ კვლევებით გაირკვა ამ სისტემაში მიმდინარე მრავალი ურთიერთქმედება 298–773 K ინტერვალში კომპოზიციათა დამუშავებისას. მრავალ მართებულ დასკვნებთან ერთად, ჩვენი აზრით, გაპარულია უზუსტობა – დაბალტემპარატურულ უბანში ურთიერთქმედებათა თერმოდინამიკური შეფასებისას არ არის გათვალისწინებული მასში მონაწილე კომპონენტთა არსებობის ზღვრული ტემპერატურები.

## 2. ძირითადი ნაწილი

უსტრონციუმო თოხეომპონენტიან სისტემაში თერმული დამუშავებისას მიმდინარე ფიზიკური პროცესების თერმოდინამიკა საქმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილია [1–4].

ნაშრომის ავტორთა ძირითადი მიზანი იყო დადგინათ რა ცვლილებებია მოსალოდნელი თოხეომპონენტიანი სისტემის კომპოზიციებში კიდევ ერთი კომპონენტ SrCO<sub>3</sub>-ის შეეფანოთ. საკვლევი სისტემისადმი ყურადღება თანამედროვე ელექტრონიკისა და ელექტროტექნიკისათვის ეფე

ქტური ოქსიდური კომპოზიტების მიღების შესაძლებლობითაა გამოწვეული.

ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული მიზნის მისაღწევად (სადაც გარკვეულ სისტემაში ხდება ნივთიერებათა ქვევის თერმოდინამიკური ანალიზის განხორციელება), პირველ რიგში, დასადგენი იყო სისტემაში შემავალ ნივთიერებათა შესაძლო ურთიერთქმედების ნუსხის შედგენა და ამ ურთიერთქმედებათა უზრუნველყოფისთვის თერმოდინამიკური მონაცემთა ბაზის [5–8] მზადყოფნის დადგენა.

პირველი ამოცანა შესრულდა 200–ზე მეტი რეაქციის შერჩევით. რეაქციათა ამ ნუსხის უმტკიცებელი ნაწილი, რომელიც ახასიათებდა Na<sub>2</sub>CO<sub>3</sub> – BaCO<sub>3</sub> – H<sub>3</sub>BO<sub>3</sub>–SiO<sub>2</sub> სისტემას, მოცემულია [1–4]-ში, დანარჩენი, SrCO<sub>3</sub>-ის შემცველ რეაქციათა ნაწილი 50-ს უახლოვდებოდა. ზოგიერთი მათგანი ქვემოთა წარმოდგენილი:

1.  $\text{SrCO}_3 + 4\text{H}_3\text{BO}_3 \rightarrow \text{SrO} \cdot 2\text{B}_2\text{O}_3 + 6\text{H}_2\text{O} + \text{CO}_2;$
2.  $\text{SrCO}_3 + 4\text{HBO}_2 \rightarrow \text{SrO} \cdot 2\text{B}_2\text{O}_3 + 2\text{H}_2\text{O} + \text{CO}_2;$
3.  $\text{SrCO}_3 + 2\text{B}_2\text{O}_3 \rightarrow \text{SrO} \cdot 2\text{B}_2\text{O}_3 + \text{CO}_2;$
4.  $\text{SrCO}_3 + \text{SiO}_2 \rightarrow \text{SrO} \cdot \text{SiO}_2 + \text{CO}_2;$
5.  $\text{SrCO}_3 + 2\text{BaCO}_3 + 3\text{SiO}_2 \rightarrow \text{SrO} \cdot \text{BaO} \cdot 3\text{SiO}_2 + 3\text{CO}_2;$
6.  $2\text{SrCO}_3 + \text{Na}_2\text{CO}_3 + 3\text{SiO}_2 \rightarrow \text{Na}_2\text{O} \cdot 2\text{SrO} \cdot 3\text{SiO}_2 + \text{CO}_2;$
7.  $\text{SrCO}_3 + 2\text{H}_3\text{BO}_3 + 2\text{SiO}_2 \rightarrow \text{SrO} \cdot \text{B}_2\text{O}_3 \cdot 2\text{SiO}_2 + 3\text{H}_2\text{O} + \text{CO}_2;$
8.  $\text{SrCO}_3 + 2\text{HBO}_2 + 2\text{SiO}_2 \rightarrow \text{SrO} \cdot \text{B}_2\text{O}_3 \cdot 2\text{SiO}_2 + \text{CO}_2 + \text{H}_2\text{O};$
9.  $\text{SrCO}_3 + 2\text{B}_2\text{O}_3 + 2\text{SiO}_2 \rightarrow \text{SrO} \cdot \text{B}_2\text{O}_3 \cdot 2\text{SiO}_2 + \text{CO}_2;$
10.  $3\text{SrCO}_3 + \text{SiO}_2 \rightarrow 3\text{SrO} \cdot \text{SiO}_2 + 3\text{CO}_2.$

საკვლევი თბიექტის თერმოდინამიკური შესწავლისთვის საჭირო მონაცემთა ბაზის ანალიზისას დადგინდა, რომ რეაქციაში მონაწილე ნივთიერებების არცთუ მცირე რაოდენობის თერმოდინამიკური პარამეტრების (თ.პ.) სტანდარტული მოლური სიდიდეები დადგენილი არ არის. მათ რიცხვში Sr-ის ყველა ბორატი და სხვა მარტივი და რთული სილიკატური და ბორილიკატური ნაერთები შედიოდა.

მათი დადგენისთვის სტრუქტურული ანალიზისა და თვისებათა აღიტიურობის პრინციპებზე დაფუძნებულ [9,10] საანგარიშო მეთოდს მივმართეთ.

ერთ შემთხვევაში ნაერთში შემავალი ოქსიდები, ხოლო დანარჩენში ამ ოქსიდთა შერწყმით მიღებული მარტივი ბორატებისა და სილიკატების გამოყენება მიზანშეწონილი აღმოჩნდა.

განისაზღვრა  $m\text{SrO}\cdot n\text{B}_2\text{O}_3$  ნაერთთა ბუნებაში არსებული  $\text{Sr}$ -ის 4 ბორატის და 5 სილიკატის ოქრმოდინამიკური პარამეტრი. ანგარიშის შედებით.

გები 1-ელ ცხრილშია წარმოდგენილი. აქევ მოტანილია მიღებულ სიდიდეთა ცდომილების ზღვრები, რომელიც განსაზღვრულია თითოეული რეაქციის –  $\Delta G^0_{\text{r},298}$ -ის პერის პირველი კანონის შედეგისა და თერმოდინამიკის გამაერთიანებელი განტოლებით მიღებული სიდიდეთა შედარებით.

### ცხრილი 1

#### Sr-ის ნაერთთა თერმოდინამიკური პარამეტრის სტანდარტული მოლური სიდიდეები

ნაერთი	თპ-ის სტანდარტული მოლური სიდიდეები			$\Delta G'_{\text{r},298}$ $\Delta G''_{\text{r},298}$	% ში	შენიშვნა
	$-\Delta H^0_{\text{f},298}$	$S^0_{298}$ , კკალ/მოლი-კ	$\Delta G^0_{\text{f},298}$ კკალ/მოლი			პირობითი აღნიშვნები:
$\text{S}^1\text{B}$	474,44	32,68	450,58	2-5%-ის ფარ- გლებში	"	$\Delta G'_{\text{r},298}$ ბორატის (სილიკატის) მიღების რეაქციის ჯიბის თავისუფალი ენერგია პერის კანონის პირველი შედეგის მიხედვით,
$\text{S}^1\text{B}_2$	792,08	35,62	747,88	"	"	$\Delta G''_{\text{r},298}$ -იგივე თერმოდინამიკის გამაერთიანებელი განტოლების მიხედვით. $\text{S}^1\text{B}$ არის $\text{SrO}\cdot\text{B}_2\text{O}_3$ ; $\text{S}^1\text{B}_2\text{-SrO}\cdot 2\text{B}_2\text{O}_3$ ; $\text{S}^1\text{B}-2\text{SrO}\cdot\text{B}_2\text{O}_3$ ; $\text{S}^1\text{B}_2\text{-3SrO}\cdot\text{B}_2\text{O}_3$ ; $\text{S}^1\text{S}-3\text{SiO}\cdot\text{SiD}_2$ ; $\text{S}^1\text{B}^1\text{S}_2\text{-SrD}\cdot\text{BaO}\cdot 2\text{SiO}_2$ ; $\text{S}^1\text{B}^1\text{S}_3\text{-SzD}\cdot 2\text{BaO}\cdot 3\text{SiO}_2$ ; $\text{S}^1\text{B}_5\text{S}_5\text{-SrO}\cdot 5\text{BaO}\cdot 6\text{SiO}$ ; $\text{NS}^1\text{S}_3\text{-Na}_2\text{O}\cdot 2\text{SrO}\cdot 3\text{SiO}_2$
$\text{S}^1\text{B}_3\text{B}$	630,87	42,85	601,67	"	"	
$\text{S}^1\text{S}_3\text{S}$	785,77	55,85	751,07	"	"	
$\text{S}^1\text{S}_3\text{S}$	667,67	52,14	642,7	"	"	
$\text{S}^1\text{B}^1\text{S}_2$	742,96	47,63	703,99	"	"	
$\text{S}^1\text{B}^1\text{S}_3$	1109,67	73,32	1050,63	"	"	
$\text{S}^1\text{B}^1\text{S}_6$	2209,72	150	2090,45	"	"	
$\text{NS}^1\text{S}_3\text{S}_3$	1144,13	73,85	1084,47	2-5%	"	

კომპოზიციებში თერმული დამუშავებისას მიმდინარე რეაქციების ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა ჯიბის თავისუფალი ენერგიის მინიმიზაციის მეთოდი, ასევე მეთოდის რეალიზაციის ოთხი საშუალება – ულიხის პირველი და მეორე მიახლოებები, შვარცმან-ტიომკინის და კლასიკური მეთოდები.

რეაქციათა უმეტესობის ზემოაღნიშნული საშუალებით შეფასების შედეგებმა და შედარებამ გვაჩვენა, რომ ულიხის პირველი მოახლოების გამოყენება მიზანშეწონილია 1000K ტემპერატურამდე, ულიხის მეორე მიახლოების და შვარცმან-ტიომკინის განტოლების – 1200–1400K ინტერვალში, ხოლო კლასიკურის – 1400K-ზე უფრო მაღალი ტემპერატურაზე.

ოთხკომპონენტიან სისტემაში [4] მიმდინარე პროცესები ოთხ ტემპერატურულ ინტერვალში მიმდინარე მოვლენის აღწერას გვთავაზობს. პირველში (400–773K) მიმდინარე პროცესების შენავლისას შემოთავაზებულია მოსაზრება, რომ ამ ინტერვალში მიმდინარეობს  $\text{H}_3\text{BO}_3$ -ის გარდაქმ-

ნები, ასევე მისი (მჟავას) და გარდაქმნის პროდუქტების –  $\text{Na}_2\text{CO}_3$ -ის და  $\text{BaCO}_3$  -სთან ურთიერთქმედება, რის შედეგადაც, ნაშრომის ავტორთა აზრით [1], შესაძლებელია ცვალებადი შედგენილობის ნატრიუმის ( $m\text{Na}_2\text{O}\cdot n\text{B}_2\text{O}_3$ ) ბორატების წარმოქმნა.

საკვლევ სისტემაში  $\text{SrCO}_3$ -ის შეყვანით გამოწვეული მოვლენების კელევამ ერთნიშნად მიგვითოთა, რომ [1]-ში არცთუ სრულად კორექტული მოსაზრება გამოოქმედი. ამის მიზეზია, რომ თერმოდინამიკური ანალიზისას გათვალისწინებული არ იყო  $\text{H}_3\text{BO}_3$ -ის,  $\text{HBO}_2$ -ისა და  $\text{B}_2\text{O}_3$ -ის არსებობა კონკრეტულ ტემპერატურულ უბანში.

დაბალტემპერატურულ უბანში განვითარებული მოვლენის შესასწავლად მივართეთ ბორმჟავას შემცველ კომპოზიციებში შესაძლო რეაქციების თერმოდინამიკურ ანალიზს, რომელმაც გვიჩვენა რეაქციაში მონაწილე თითოეული ნაერთის არსებობის გათვალისწინების აუცილებლობა. მაგალითისთვის მე-2 ცხრილში წარმოდგენილია  $\text{S}^1\text{B}_2\text{-b}$ ,  $\text{S}^1\text{B}_2\text{-B}$ -ის,  $\text{S}^1\text{B}^1\text{S}_2$ -ისა და  $\text{NB}_2$ -ის

მიღების რეაქციების თერმოდინამიკური შეფასების შედეგები  $B_2O_3$ -ის „შემყვანი” მასალის რაობის ცვლილებისა და მათი არსებობის ტემპერატურების გათვალისწინებით.

ცხრილში შემოთავაზექული ინფორმაცია ცალ-  
სახად გვიჩვენებს, რომ  $H_3BO_3$ -ისა და  $HBO_2$ -ის  
არსებობის შესაბამის ტემპერატურულ უძნებში,

სტრონციუმის დიბორატის (ისევე, როგორც ბარიუმისა) თანაობა ენერგეტიკულად მომგებიანი არ არის, პირიქით ნატროუმის ბორატის შემთხვევაში  $\text{Na}_2\text{CO}_3 + \text{H}_3\text{BO}_3$  და  $\text{Na}_2\text{CO}_3 + \text{HBO}_2$  ურთიერთქმედება იგივე ტემპერატურულ ინტენსიულებით, თერმოდინამიკის თვალსაზრისით, ბევრად მომგებიანია.

რეაქციათა თპ,  $\Delta G'_{\text{R,T}} = f(T)$  ფუნქცია და  $f_{\text{gKa}}$

3bmoogno 2

რე- აქ- ციონს №	რეაქცია	რეაქცი- ოს განხი- ლვის ზღვრუ- ლი ტემპერა- ტურები, K	რეაქციის სტანდარტული მოლური თა			$\Delta G^{\circ, T} = f(T)$	$\lg K_a = \frac{\Delta G^{\circ, T}}{2.303RT}$ $\lg K_o = \frac{-\Delta G^{\circ, T}}{2.303RT}$
			$\Delta H^{\circ, T}$	$S^{\circ, T}$	$\Delta G^{\circ, T}$	$\Delta G^{\circ, T} = \Delta H^{\circ, 298} - S^{\circ, 298} \cdot T$	
1	$S^l c + 4H_3B \rightarrow S^l b_2 + 6H_2O + CO_2$	298-440	103.99	0.2490	29.75	103.99-0.2490·T	298K- $\vartheta$ -22,6 440K- $\vartheta$ -2,76
2	$S^l c + 4HB \rightarrow S^l B_2 + 2H_2O + CO_2$	440-500	58.86	0.1069	26.99	58.86-0.1069·T	442K- $\vartheta$ -5.74 500K- $\vartheta$ -2.36
11	$S^l c + 2B \rightarrow S^l B_2CO_2$	450-700	14.19	0.0377	2.95	14.19-0.0377·T	500K- $\vartheta$ -2.04 700K- $\vartheta$ -3.81
12	$2S^l C + 2H_3B \rightarrow S^l_2 B + 3H_2O + 2CO_2$	298-44	113.64	0.1913	56.6	113.64-0.1913·T	298K- $\vartheta$ -41.5 440K- $\vartheta$ -14.63
13	$2S^l c + 2HB \rightarrow S^l_2 B + H_2O + 2CO_2$	440-500	91.37	0.1203	55.51	91.37-0.1203·T	500K- $\vartheta$ -13.64
14	$2S^l c + B \rightarrow S^l_2 B + 2CO_2$	450-700	69.04	0.00857	43.49	69.04-0.0857·T	700K- $\vartheta$ -2.82
15	$S^l c + 2H_3B + 2S \rightarrow S^l B^l S_2 + 3H_2O + CO_2$	298-440	51.82	0.1396	10.40	51.82-0.1396·T	298K- $\vartheta$ -7.89 440K- $\vartheta$ -4.77
16	$S^l C + 2HB + 2S \rightarrow S^l B^l S + H_2O + CO_2$	440-500	31.15	0.0685	10.73	3115-0.0685·T	440K- $\vartheta$ -0.43 500K- $\vartheta$ -1.35
17	$S^l c + B + 2S \rightarrow S^l B^l S_2 + CO_2$	450-700	8.88	0.0339	-1.29	8.88-0.0339·T	450K- $\vartheta$ -3.09 700K- $\vartheta$ -4.64
18	$Nc + 4H_3B \rightarrow NB_2 + 6H_2O + CO_2$	298-440	84.37	0.2498	9.86	84.37-0.2498 $\omega$	440 - $\vartheta$ -12.68
19	$Nc + 4HB \rightarrow NB_2 + 2H_2O + CO_2$	440-500	42.84	0.1162	8.2	42.84-0.1162 $\omega$	500 - $\vartheta$ -6.67
20	$Nc + 2B \rightarrow NB_2 + CO_2$	450-700	-1.87	0.0175	-3.34	-1.87-0.0175 $\omega$	700 - $\vartheta$ -4.41

პირობითი აღნიშვნები:  $S^1-SrO$ ;  $S-SiO_2$ ;  $B-B_2O_3$ ;  $B^1-BaO$ ;  $S^1c-SrCO_3$ ;  $Nc-Na_2CO_3$ ;  $H_3B-H_3BO_3$ ;  $HB-HBO_2$ ;  $S^1B^1S_2-SrO-BaO-2SiO_2$ ;  $NB_2-Na_2O-2B_2O_3$

ენერგეტიკულად მომგებიანი აღმოჩნდა  $S^1B_2$ -ის შემთხვევაში  $B_2O_3 + SrCO_3$  ურთიერთქმედება, მაშინ, როდესაც იგივე ურთიერთქმედება მიღებულია დისტრონციუმის (დიბარიუმის) შემთხვევაში.

რაც შეეხბა  $S^1B^1S_2$ -ის,  $H_3BO_3$ -ის არსებობას ტემპერატურულ უბანში ( $HBO_2$ -ისა და  $B_2O_3$ -ის არსებობის ტემპერატურულ უნიტებთან შედარებით), მისი მიღება ნაკლებად მოსალოდნელია აღმოჩნდა, რაც რამდენადმე განსხვავდება ლიტერატურაში [1] არსებული მოსაზრებისაგან, რომ დანბერიტის ( $CaO \cdot B_2O_3 \cdot 2SiO_2$ ), რომელიც  $S^1B^1S_2$ -ის ანალოგად განიხილება, მიღება შესაძლებელია მხოლოდ პიდროთერმული მეთოდით და არა მშრალი მასალების გამოყენებით. ოუმცა, მეორე მხრივ, სარეაქციო არეში წყლის არსებობას შეეძლო ინიცირება გამოეწვია  $HBO_2 + SrCO_3$  ( $BaCO_3$ ) და  $B_2O_3 + SrCO_3$  ( $BaCO_3$ ) ურთიერთქმედებისთვის. ამ ერთი ნაერთის გარდა, სხვა  $Sr$  ( $Ba$ )-ის შემცველი სამშაგი ნაერთების წარმოქმნა 298–773K ინტერვალში ძნელად წარმოსადგენია.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნა იმის შესახებ, რომ 298–773K ტემპერატურულ ინტერვალში მოსალოდნელია  $Sr(Ba)$ -ის ბორატების წარმოქმნა შეიძლება რამდენადმე შეიცვალოს. მათი წარმოქმნა ამორფული ბორის ოქსიდის ამ ელემენტთა კარბორატებთან ურთიერთქმედების შედეგად უფრო მაღალ ტემპერატურაზე მოსალოდნელი. ამის შესაძლებელობას ავტორთან ერთად [1] დასაშვებად ვთვლით.

$SiO_2$  ნარჩენ კარბონატებთან ურთიერთქმედებაში აქტიურად უფრო მაღალ ტემპერატურებზე შედის. ამ ურთიერთქმედებაში სტრონციუმის კარბონატი ბარიუმის კარბონატის მსგავსი ხარისხის აქტიურობას იჩენს. პირველ რიგში სტრონციუმისა და ბარიუმის მარტივი სილიკატები წარმოქმნება. ოუმცა, დასაშვებია გართულებაც – სამოქსიდური ნაერთის მიღება, მაგრამ მათი არსებობა ხანგრძლივი არ უნდა იყოს სხვა ნაერთებთან, ევტექტიკების წარმოქმნისა და დაბალი დნობის ტემპერატურების გამო.

ამ სისტემებში გადამწყვეტ როლს კომპოზიციათა მეტი ნაწილის ადვილდნობადი ნატრიუმის ოქსიდი ასრულებს. ერთი მხრივ, ადვილდნობადი ნაერთების და აგრეთვე ადვილდნობადი ევტექტიკების წარმოქმნის გამო, მეტადრე თუ განხორციელებულია კომპოზიციების მიღების წინასწარ გამიზნული დონისძიებები.

### 3. დასკვნა

კვლევით დადგინდა, რომ  $H_3BO_3$ -ის გარდაქმნებისა და მიღებული პროდუქტების არსებობის ტემპერატურული ზღვრების გათვალისწინებით შესწავლილი სისტემის კომპოზიციებში დაბალ ტემპერატურებზე შესაძლებელია ურთიერთქმედება მხოლოდ  $H_3BO_3$ -ს,  $HBO_2$ -სა და  $Na_2CO_3$ -ს შორის, სხვადასხვა სტექიომეტრიის ნატრიუმის ბორატების წარმოქმნით. ამ ტემპერატურებზე  $Sr$ -ისა და  $Ba$ -ის ბორატების წარმოქმნა ენერგეტიკულად მომგებიანი არ არის. მათი წარმოქმნის დასაწყისი შესაძლებელია 773K-ზე უფრო მაღალ ტემპერატურაზე,  $B_2O_3$ -ის და შესაბამისი კარბონატების მყარფაზე ურთიერთობის შედეგად, თხევადი ფაზის თანაობისას.

### ლიტერატურა

- ქ. კობიაშვილი.  $Na_2O - BaO - B_2O_3 - SiO_2$  სისტემის რიგ კომპოზიციებში თერმული დამუშავებისას მიმღინარე პროცესების ფიზიკურ-ქიმიური პროცესების თერმოდინამიკური ანალიზი. დოქტ. აკად. ხარ. მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტ. ავტორუფერატი. თბილისი: სტუ, 2014. გვ. 28.
- ა. სარუხანიშვილი, დ. ბიბილეშვილი, ქ. კობიაშვილი. საქ. ქმ. 13, №1, 2013.
- Саруханишвили А.В., Бибилиешвили Д.В., Андгупладзе Н.Ш., Кобиашвили К.З. Изв. АН Грузии. Сер.хим., 39, №3-4, с. 2013.
- Саруханишвили А.В., Бибилиешвили Д.В. Сб.мат. 111 межд. конф. по хим. и хим. техн. Ереван, 2013, с. 80-82.
- Jokowa Harumi. J. Nat. Chem. Lab., Vol 83, special issue. 1988. P. 27-121.
- Термические константы веществ / Под. В.П. Глушко, М.: АН ССР, Вып. 1-Х, 1965-1981.
- Бабушкин В.И., Матвеев Г.М., Мчедлов-Петросян О.П. Термодинамика силикатов. М.: Стройзат, 1986.- 407 с.
- Карпов И.К. и др. Константы веществ для термодинамических расчетов в геохимии и петрологии. М.: Наука, 1968.- 144 с.
- Саруханишвили А.В., Мацаберидзе Э.Л. Сб. мат. 11 межд. конф. по хим. и хим. техн. Ереван, 2010, с. 21-25.
- Саруханишвили А.В., Рачвелишвили Н.Дж., Гордепладзе В.Г. Хим. журн. Грузии. №1, с. 308-311.
- Торопов Н.А. и др. Диаграммы состояния силикатных систем. Справ. Вып. 111. М-Л.: Наука, 1072.- 448 с.

**UDC 554.11/123..666.32/36**

**THERMODYNAMIC ASSESSMENT OF LOW-TEMPERATURE PROCESSES IN THE SYSTEM  
OF  $\text{Na}_2\text{CO}_3 - \text{SrCO}_3 - \text{BaCO}_3 - \text{H}_3\text{BO}_3 - \text{S}_1\text{O}_2$**   
**A. Sarukhanishvili, V.Gordeladze, N. Andguladze**

**Resume:** In the work the issues of thermodynamics of low-temperature processes running in the five component system are considered. For relief of thermodynamic assessment of reactions in calculation ways the standard molar meanings of about 10 substances have been established.

Results of the conducted assessment have been shown which indicate that the low-temperature inter-actions of components of the system are in straight connection with the  $\text{H}_3\text{BO}_3$  behavior and products of its conversion in the course of growth of temperature.

**Key words:** thermodynamics, temperature, processes, component, system, calculation, standard, molar meanings, substances, results, products, conversion.

---

**УДК 554.11/123..666.32/36**

**ТЕРМОДИНАМИЧЕСКАЯ ОЦЕНКА НИЗКОТЕМПЕРАТУРНЫХ ПРОЦЕССОВ В СИСТЕМЕ  $\text{Na}_2\text{CO}_3 - \text{SrCO}_3 - \text{BaCO}_3 - \text{H}_3\text{BO}_3 - \text{S}_1\text{O}_2$**

**Саруханишвили А.В., В.Г. Горделадзе В.Г., Н.Ш. Андгуладзе Н.Ш.**

**Резюме:** Рассматриваются вопросы термодинамики низкотемпературных процессов, протекающих в пятикомпонентной системе. Для облегчения термодинамической оценки реакций расчетным способом установлены стандартные мольные значения около 10 веществ.

Приведены результаты проведенной оценки, показывающие, что низкотемпературное взаимодействие компонентов системы находится в прямой связи с поведением  $\text{H}_3\text{BO}_3$  и продуктов ее превращений в ходе нарастания температуры.

**Ключевые слова:** термодинамика; низкотемпературные; процессы; оценки; стандартные; мольные значения; продукты; нарастание температуры.

---

**რეზიუმე:** მოყვანილია გარკვეული ქიმიური შედგენილობის, ყვარლის ფიქალის საფუძველზე, ფორმგანი მასალის მიღების შესაძლებლობის შესწავლის შედეგები. დადგენილია ოქრმოდამუშავების პირობების გავლენა ფიქალში მიმდინარე ფაზურ გარდაქმნებზე და მასალის აფუქის საწყისი პირობები. ჩატარებული კვლევის საფუძველზე შესაძლებლივ გახდა ფიქალიდან ფორმგანი მასალის მიღება.

**საკვანძო სიტყვები:** ფიქალი; ფორმგანი მასალა; თერმული დამუშავება; ფაზური შედგენილობა; ფიზიკური მდგომარეობა.

## 1. შესავალი

ფორმგანი მასალები მრავალფეროვანია (ორგანული და არაორგანული სახეობა) და მათი მიღება სხვადასხვა ხელოვნური და ბუნებრივი მასალებიდან ხდება. ფორმგანი მასალების მიმართ არსებული მოთხოვნები განისაზღვრება მათი ფუნქციური დანიშნულებით, საექსპლუატაციო თვისებებით და ეკონომიკურობით. ასეთ მასალებში განსაკუთრებული ადგილი უკავია სილიკატურ ბუნებრივ ნედლეულზე მიღებულ ფორმგან მასალებს, რომლებიც მრავალი დადებითი თვისებით და მიღების ტექნოლოგიის სიმარტივით გამოირჩევა [1, 2].

საქართველოში მოიპოვება მრავალი სახის ბუნებრივი მასალა, რომლებიც პერსპექტიულია სამრეწველო, აგრარული, სამედიცინო და სხვა დარგში გამოსაყენებელ ფორმგან მასალათა მისაღებად. ასეთ მასალებს მიეკუთვნება ისეთი მინისებრი ან/და კრისტალური ბუნების წყალშემცველი ქანები, როგორიცაა პერლიტი, ობსიდიანი, თიხების სახეობები და სხვა. მათგან ფორმგანი, თბოსაიზოლაციო, აპუსტიკური, ცეცხლგამძლე მსუბუქი ნაკეთობის და სხვა ნაწარმის მიღება ძალზე პერსპექტიულად არის მიწნეული. გამოყენების სფეროთა მრავალფეროვნება, ნედლეულის ხელმისაწვდომობა, ნედლეულის მომზადება – პროდუქტის მიღების ტექნოლოგიური "მოკლე" ციკლი, დახადგარების და მათი ექს-

ლუაზაციის სიმარტივე და ა.შ. წინაპირობას ქმნის ასეთი ნედლეულის ფართო გამოყენებისათვის [2, 3].

ფორმგანი მასალების მიღების შესაძლებლობა, ადგილობრივი ნედლეულის საფუძველზე, ადრეც იყო შესწავლილი, კერძოდ დადგინდა მრავალი პერლიტური ჯგუფის ქანების (პერლიტი, ობსიდიანი, პერსპექტიული ჯგუფის პირობები, ადგილობრივი აფუქის პირობები და მიღებული პროდუქტის ძირითადი მახასიათებელი თვისებები, განისაზღვრა გამოყენების სფეროები [3, 4].

ბოლო წლებში აქტიურად განიხილება ყვარელში არსებული ფიქალების (დელუვიონის) გამოყენების საცითხი თბოსაიზოლაციო, სამშენებლო, კერამიკული, მინისებრი და სხვა სახის ნაწარმის მისაღებად. ამ მიმარტულებით ძირითადი აქცენტი გადატანილია ფიქალის (დელუვიონის) შემცველ კომპოზიციათა მიღებისა და თვისებების შესწავლაზე, მაგრამ ნაკლები ყურადღება ექცევა მასალის ინდივიდუალურ თვისებათა გამოკლევას, რაც აუცილებელია მისი, როგორც სამრეწველო ნედლეულის, პერსპექტიულობის განსაზღვრისათვის [5, 6].

აღნიშნულიდან აქტიურად შეიძლება ჩაითვალოს გარკვეული ქიმიური შედგენილობის ფიქალის (დელუვიონის) ფიზიკურ-ქიმიურ გარდაქმნათა შესწავლა თერმულ დამუშავებასთან ერთად.


## 2. ძირითადი ნაწილი

ყვარლის ფიქალის (დელუვიონის) საფუძველზე აფუქებული მასალების მიღების პერსპექტიულობის განსაზღვრას წინ უძროდა ტრადიციული ნედლეულის – პერლიტის და დელუვიონის შედგენილობათა შედარება. პერლიტო ჯგუფის შესწავლილი მასალების და საპლატფორმო დელუვიონის ქიმიური შედგენილობები მოყვანილია 1-ელ ცხრ-ში, საიდანაც მათი ქიმიური მსგავსება და განსხვავება იკვეთება. წარმოდგენილი პერლიტების და ობრიდიანის ქიმიური შედგენილობა ადგებულ იქნა ლიტერატურიდან [3, 4], ხოლო დელუვიონის შედგენილობა ჩვენ მიერ იქნა განსაზღვრული გარკვეული სინჯისათვის.


საქართველოს პერლიტური მასალების და ფიქალის (დელუვიონის) სინჯების ქიმიური შედგენილობა

მასალა	ქიმიური შედგენილობა, წონ. %							
	SiO <sub>2</sub>	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	CaO	MgO	Na <sub>2</sub> O+K <sub>2</sub> O	SO <sub>3</sub>	Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	ბუნებრივი დანაკარგები
ფარავნის პერლიტი	70.0-73.0	12.1-14.3	1.1-2.1	0-1.7	4.0-8.0	0.7-3.9	1.0-3.0	3.0-5.0
ფარავნის ობსიდიანი	77.0-76.0	12.5-15.6	1.1-2.0	0-1.5	6.0-6.5	0.1-0.7	0.9-3.0	0.1-0.5
ყვარლის ფიქალი (დელუვიონი)	57.6	19.4	1.3	2.9	4.7	0.9	7.2	6.0

ოქსიდების სახეობათა თანხვედრასთან ერთად შეიმჩნევა მათი შემცველობის მაღვირი განსხვავება, განსაკუთრებით ოთხ შემადგენელს შორის. ესენია: ფიქალში სიმცირით გამორჩეული SiO<sub>2</sub>, ჭრბი რაოდენობით წარმოდგენილი Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> და Fe<sub>2</sub>O<sub>3</sub>.



ნახ. 1. ყვარლის ფიქალის თერმული ანალიზის შედეგები




ნახ. 2. პერლიტის (1) და ობსიდიანის (2) თერმული ანალიზის შედეგები

კიდევ ერთი მახასიათებელი ფიქალის ხერების დანაკარგია, რომელიც პერლიტის და ობსიდიანის შესაბამის მაჩვენებლებს აღემატება. ქიმიურ შედგენილობებში არსებული სხვაობა, დასახული ამოცანიდან გამომდინარე, მოითხოვდა საცდელი კვლევის ჩატარებას, რაც განხორცი-

ელდა 1-ელ ცხრილში მოყვანილი შედგენილობის ფიქალთან დაკავშირებით. ამისათვის საკალები მასალის შესწავლა სამი მიმართულებით განხორციელდა: თერმულად დამუშავებული მასალის ფიქალი მდგომარეობის შეფასება, კვლევის დიფერენციალურ-თერმული და რენტგენული მეთოდების გამოყენებით სტრუქტურული ცვლილებების შესწავლა.

ყვარლის ფიქალის აფუების უნარის შედარებითი შეფასებისათვის მნიშვნელოვანი იქნებოდა ჩვენ მიერ ჩატარებული მისი თერმული ანალიზის შედეგების (ნახ.1) შედარება სხვა ცნობილ აფუებად მასალებთან – პერლიტსა და ობსიდიანთან (ნახ.2), რომელთა შესწავლის შედეგები აღიძელია [4]-დან. მე-2 ნახ-ზე წარმოდგენილი TG და DTA მრუდების შედარებით შემდეგი შეფასების გაკეთვა შეიძლება: პერლიტის და ობსიდიანის ნიმუშების თერმოგრამაზე ენდოთერმული ეფექტები შეიმჩნევა, შესაბამისად, 300–500°C და 800–900°C-ზე. ამავე ტემპერატურულ ინტერვალს ემთხვევა მასალათა წრინის დანაკარგების მაქსიმუმი – თითქმის 4%-იანი მნიშვნელობები შეესაბუქისება პერლიტს, ხოლო უმნიშვნელო (0,5%-მდე) ობსიდიანს (TG მრუდი, ნახ. 1), რაც მათ მიერ პიდრატული წელის დაკარგებას უკავშირდება [4].



ნახ. 3. საწყისი (DL) და 1000°C დამუშავებული (DL-10) ყვარლის ფიქალის (დელუვიონის) რენტგენოგრამების ფრაგმენტები. მირითადი ფაზების აღნიშვნები: M- ქარსები, Q-კვარცი, F- მინდვრის შპატები, დ-რენტგენოამორფული ფაზა

ყვარლის ფიქალზე (დელუვიონი) დერივატოგრაფით [6] ჩატარებული ანალიზით (DTA, DTG, TG მრუდები, ნახ. 1) გამოვლინდა მასალის მიერ პიდრატული წყლის დაკარგის უნარი, ხოლო  $100 \pm 30^{\circ}\text{C}$  ტემპერატურიდან  $570^{\circ}\text{C}$ -მდე სტაბილურიპით არის წარმოდგენილი, საკვლევი მასალა მნიშვნელოვან გარდაქმნებს განიცდის  $570$ – $730^{\circ}\text{C}$ , რაც DTA მრუდის სვლით ფიქსირდება და ორი

სახასიათო რეფლექსებითაა წარმოდგენილი:  $570$ – $660^{\circ}\text{C}$  ინტერგალში განლაგებული ეგზოეფექტით და  $630$ – $735^{\circ}\text{C}$  ენდოეფექტით. აღსანიშნავია, რომ DTG მრუდზე  $570$ – $730^{\circ}\text{C}$ -ზე აღნიშნულ თერმოეფექტებს შეესატევისება ძალზე სუსტი რეფლექსები, მაგრამ წონის ( $\Delta G$ ) მაქსიმალურად შესაძლებელი კლება (მრუდი TG, ნახ.1).

## ცხრილი 2

### ყვარლის ფიქალის თერმოდამუშავების შედეგები

პირობითი აღნიშვნა	დამუშავების პირობები		ვიზუალური შეფასების შედეგები
	ტემპერატურა, $^{\circ}\text{C}$	დრო, სთ	
DL-1,1	110	3	ფხვიერი, რუხი ფერის მასა
DL-6	600	3	ფხვიერი, ღია ჩალისფერი მასა
DL-6,5	650	3	იგივე, რაც DL-6
DL-7,5	750	2	იგივე, რაც DL-6
DL-8,5	850	2	ზედაპირზე, მუქი ჩალისფერი, მასაში მურა ფერის ფხვიერი მასა
DL-9,5	950	2	ზედაპირზე მოყავისფრო, ხოლო მასაში მურა ფერის აფუებული მასა
DL-10,5	1050	2	აფუებული, მუქი ყავისფერი მასა

ფიქალის ქმიური შედგენილობიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ DTA მრუდზე დაფიქსირებული ეგზოეფექტი მასალაში არსებული ნაერთის უანგვით პროცესთან უნდა იყოს დაკავშირებული. ასეთი ნაერთი რენის (II) ოქსიდით შეიძლება ყოფილიყო წარმოდგენილი, რომლის  $\text{Fe}_2\text{O}_3$ -მდე უანგვით თერმოეფექტის წარმოქნის შესაძლებლობა იქნება. მაგრამ, ამ პროცესის პარალელურად მოსალოდნელია ქარსების დეკიდრატაციის უფრო ინტენსიური პროცესების წარმართვა, რაც საბოლოოდ წონის ( $\Delta G$ ) კლებით და DTG მრუდზე დაფიქსირებული სუსტი რეფლექსებით აისახა. თერმოდამუშავებით გამოწვეული მასალის სტრუქტურული გარდაქმნების არსებობა ფიქალის რენტგენოფაზურმა ანალიზმა აჩვენა (ნახ.3). დადგინდა, რომ თერმული დამუშავებით იცვლება მასალის ფაზური შედგენილობა, რაც ორმაგი ხასიათისაა – რიგი ფაზათა რაოდგნობის შემცირება (პიკების ინტენსიურობის კლება) და ახალი რენტგენოამორფული ფაზის წარმოქმნა. ამ უკანასკნელის არსებობა თერმული დამუშავებითაა განპირობებული და, ძირითადად, მინდვრისშპატიანი და სხვა ფაზების ამორფულ მდგრმარეობაში გადასვლას უკავშირდება. აღნიშნულის დასტურად მე-3 ნახ.ზე წარმოდგენილი კვარცისათვის ( $\text{G}$ ) მიკუთვნებული რეფლექსების უცვლელობა, ხოლო მინდვრისშპატიანი ( $\text{F}$ ) და სხვა შემადგენელი ფაზების (მაგალითად, ქარსის ( $\text{M}$ )), რენტგენოგრამაზე წარმოდგენილი რეფლექ-

სების ინტენსიურობის შემცირება შეიძლება იქნეს მიჩნეული [7].

თერმული ანალიზის და რენტგენოფაზური კლების შედეგებიდან გამომდინარე, ყვარლის ფიქალში თერმულ დამუშავების უნდა გამოეწვია გარკვეული გარდაქმნები, რაც სრულად დადასტურდა სხვადასხვა ტემპერატურაზე დამუშავებული ფიქალის ფიზიკური მასასიათებლების (ფერი, სახეცვლილება) შეფასებით. მე-2 ცხრილში წარმოდგენილი შედეგებიდან გამომდინარე (საკვლევ ობიექტს ფხვიერი მასალა წარმოადგენდა), შეიძლება ორი ფაქტის გამოყოფა: მასალას ახასიათებს ფერის შეცვლა  $600^{\circ}\text{C}$ -ზე, ხოლო აფუებისადმი მიღრეკილება  $900^{\circ}\text{C}$ -ზე უფრო მაღალ ტემპერატურაზე დამუშავებისას.

### 3. დასკვნა

ყვარლის ფიქალში, მისი თერმული დამუშავებით, შესაძლებელია სტრუქტურული ცვლილებების არსებობა, რომლებიც ფიქსირდება მასალის თერმული დამუშავებით–სახეცვლილებით და რენტგენოსტრუქტურული კვლევის მეთოდით. საკვლევი მასალის  $600$ – $1000^{\circ}\text{C}$  ინტერგალში თერმოდამუშავებით დადგინდა ამორფული შემადგენლის წარმოქმნა და ფიქალის აფუების შესაძლებლობა, რომლის ინტენსიურობის პიკი  $900^{\circ}\text{C}$ -დან იწყება. ჩატარებული კვლევით დადასტურდა ფიქალის აფუებისადმი მიღრეკილება, რაც მას პერსპექტიულს ხდის ფორმაზი მასალების მიღების თვალსაზრისით.

## **ლიტერატურა**

1. Пористые материалы. ru.wikipedia.org. 2013.
2. Китайцев Д.А. Технология теплоизоляционных материалов. М.: Стройиздат. 1970. - 384 с.
3. Каменецкий С.П. Перлиты: Свойства, технология и применение. М.: ГИЛСАСМ, 1963. - 280 с.
4. ნ. კაკაბაძე, ნ. ქორქაშვილი, ო. მეტონიძე. აფუ-  
ებული პერლიტი და მისი გამოყენება. თბი-  
ლისი: საბჭოთა საქართველო, 1966. -143 გვ.
5. ლ. გაბუნია, ი. ქმედაძე, ე. შავაქიძე, ი. გუ-  
ჯაძე. აფუებული მასალების მიღება ადგი-
- ლობრივი მაგმური ქანების გამოყენებით //  
კერამიკა, 2011 წ. №2, გვ. 3-5.
6. Схвирцидзе Р.С., Саруханишвили А.В., Чеишвили  
Т.Ш. и др. Исследование щебня двух месторож-  
дений Грузии // Керамика, 2002, №1, с.13-15.
7. Зевин Л.С., Завьялова Л.Л. Количественный рентге-  
нографический анализ. М.:Недра, 1974. - 184с.
8. ო. მაჩალაძე. თერმული ანალიზი. თბილისი:  
სტუ, 2006. - 92 გვ.

---

**UDC 553.541:549**

**FEASIBILITY STUDY TO OBTAIN POROUS MATERIALS ON THE BASE OF SHALE OF KVARELI ORIGIN**  
**Cheishvili T., Javashvili Z.**

**Resume:** The paper offers the results of feasibility study to obtain porous materials on the base of shale of definite composition of Kvareli origin. Effect of thermal treatment terms on phase transformations going on in shale was established and starting conditions of shale swelling process were determined. On the base of implemented experiments a supposition has been made about the possibility to obtain porous materials from shale.

**Key words:** shale, porous material, thermal treatment, phase composition, physical state

---

**УДК 553.541:549**

**ИЗУЧЕНИЕ ВОЗМОЖНОСТИ ПОЛУЧЕНИЯ ПОРИСТЫХ МАТЕРИАЛОВ НА ОСНОВЕ  
КВАРЕЛЬСКОГО СЛАНЦА**  
**Чеишвили Т.Ш., Джавашвили З.Д.**

**Резюме:** Представлены результаты изучения возможности получения пористых материалов на основе кварельского сланца определенного состава. Установлено влияние условий термообработки на фазовые превращения в сланце и определены начальные условия процесса всучивания сланца. На основе проведенного исследования делается предположение о возможности получения из сланца пористых материалов.

**Ключевые слова:** сланец; пористый материал; термообработка; фазовый состав; физическое состояние.

---

# გილოცვა

სახელოვან მეცნიერსა და მკვლევარს,  
ბატონ გურამ გაფრინდაშვილს 80 წელი შეუსრულდა.  
ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს  
შემოქმედებით საქმიანობაში და პირად ცხოვრებაში.

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი  
საქართველოს კურამიკოსთა ასოციაცია,

ურნალ „კურამიკის“ სარედაქციო კოლეგია

## ზვიად კოვზირიძე

უოველი ადამიანის პიროვნული სახის ჩამოყალიბება უწინარესად იმ ღირებულებებს ეფუძნება, რომლებიც თავად ყველაზე ფასეულად მიაჩნია. ზვიად კოვზირიძისთვის ასეთი ღირებულებებია პატიოსნება, კეთილსინდისიერება, ინტელექტი, ნიჭი, შრომისმოყვარეობა, ერთგულება და სიკეთე. ბატონ ზვიადს ურყევად სწამს, რომ სწორედ ამ ღირსებებით შემჯულ ადამიანებს ძალუბთ დაუცხომელი სწრაფვა პროგრესისაკენ, რაც, თავის მხრივ, ბედნიერებას და კეთილდღეობას მოუტანს საზოგადოებას. ამდენად, ქვეყნის მმართველობის სადაცებიც ხელთ სწორედ ასეთ ადამიანებს უნდა ეპურათ.

დაიბადა 1945 წლის 3 თებერვალს თბილისში. მშობლებმა, დავით და თამარ კოვზირიძეებმა ბავშვობიდანვე აზიარეს შვილები – ზვიადი და აკაკი ჭეშმარიტ ადამიანურ ფასეულობებს და იმთავითვე ჩაუნერგეს, რომ ყველა ადამიანის უპირველესი მოვალეობა სამშობლოს სამსახურია. ბატონი დავითი, რომელიც ქართული და გერმანული ენების სპეციალისტი გახლდათ, ზვიადისათვის ყველაფერში მისაბაძი და მაგალითის მიმცემი იყო. დედა, თამარ სიმონიშვილ-კოვზირიძე განათლებით ფილოლოგი, ქართულის სპეციალისტი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი როგორც საკუთარი შვილების, ისე თავისი მოწაფეების სულებში, უპირველეს ყოვლისა, სათნოებასა და სიკეთეს თესდა. ამდენად, ზვიად და აკაკი კოვზირიძეების სახით ჩვენს საზოგადოებას მართლაც რომ ღირსეული წევრები შეემატნენ. ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში დასარწმუნებლად მათი ბიოგრაფიის გაცნობაც კმარა. ზვიად კოვზირიძის მოსწავლეობის წლები მე-60 და 30-ე საშუალო სკოლას უკავშირდება. იგი დიდი სითბოთი იხსენებს საყვარელ მასწავლებლებს: ქალბატონ თამარ ქლენტს, ბატონ იაშა ბურჭულაძეს და სხვებს.

ბატონმა ზვიადმა წარჩინებით დაამთავრა სკოლა და სწავლის გაგრძელებაზე დაიწყო ფიქრი. სხვათა შორის, ბევრი გაკვირვებული იყო, როდესაც მედალოსანმა ჭაბუქმა იმ დროისთვის პრესტიჟული ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის ნაცვლად, სპორტის განსაზღოვრებული სიყვარულის გამო, საბუთები სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში შეიტანა და დიდი მონდომებით სწავლობდა და აქაც, როგორც ყოველთვის, წარჩინებულ სტუდენტთა შორის იყო. საფუძვლიანად ეუფლებოდა ნიჩბოსნობას, რომელსაც ორი ათეული წელი ემსახურა. ფიზკულტურის ინსტიტუტის მაშინდელი რექტორი, ბატონი ალექსანდრე ფალაგანდიშვილი ის ადამიანი გახლდათ, რომელსაც ზვიად კოვზირიძე დღესაც თავისი ცხოვრების მასწავლებლად მიიჩნევს. ასეთები მას მრავლად შეხვდნენ – ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლის წლებში და შემდგომი საქმიანობის დროსაც. სტუდენტი იყო, როდესაც მშობლები გარდაეცვალნენ. ამ ამბავმა თავზარი დასცა, ძირეულად შეცვალა მისი ცხოვრება, საქმისადმი, ადამიანებისადმი დამოკიდებულება და უდიდესი პასუხისმგებლობა დაპისრა საზოგადოებისა და ოჯახის, განსაკუთრებით უმცროსი ძმის წინაშე.

ფიზკულტურის ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ზვიად კოვზირიძე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ხდება. სპეციალობად კერამიკისა და ცეცხლმედეგი მასალების ქიმიურ ტექნოლოგიას ირჩევს. მომავალი ქიმიკოსი არც აქ დალატობს ტრადიციას და მთელ ფაკულტეტზე ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტია. სწავლის პარალელურად აკადემიურ ნიჩბოსნობაში საქართველოს ნაკრების მწვრთნელად და უფროს მწვრთნელად მუშაობს (დაგვეთანხმებით, ეს მართლაც იშვიათი სინთეზია). 1971 წელს ზვიად კოვზირიძეს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 25 წლის ზ. კოვზირიძე იმ დროისათვის საბჭოთა კავშირში ყველაზე ახალგაზრდა დამსახურებული მწვრთნელი გახდდათ (სპორტის ნებისმიერ სახეობაში). 20 წელი ემსახურა ბატონი ზვიადი აკადემიური ნიჩბოსნობის განვითარებას საქართველოში და ამ ხნის მანძილზე სპორტის ამ სახეობაში საბჭოთა კავშირის ცხრა სპორტის ოსტატი და ერთი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სსრკ პრიზიორები და ჩემპიონები აღზარდა, მათ შორის ოთხი სპორტსმენი სსრკ ნაკრების წევრი, ხოლო ორი მიუნხენის და მონრეალის ოლიმპიური თამაშების მონაწილე იყო. ყველა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ.

წარმატებული იყო მისი პირველი ნაბიჯები სამეცნიერო ასპარეზზე. ოცი წელი იმუშავა ახალგაზრდა სპეციალისტმა მშობლიური ტექნიკური უნივერსიტეტის სილიკატების ტექნოლოგიის კათედრაზე არსებული მხატვრული კერამიკისა და მინის ლაბორატორიის უფროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ ამავე ლაბორატორიის კერამიკის განყოფილების გაძლოლა მიანდეს. სწორედ მაშინ მოამზადა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც 1976 წელს დაიცვა. მომდევნო ეტაპი მის სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობაში სილიკატების ტექნოლოგიის კათედრასთან მისი ინიციატივით დაარსებული სტუდენტთა საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროს ხელმძღვანელობა იყო. ამას მოჰყვა სილიკატების ტექნოლოგიის კათედრასთან ასევე მისი ინიციატივით დაარსებული კონსტრუქტორები და ელექტროსაიზოლაციო კერამიკის ტექნოლოგიური ბიუროს ხელმძღვანელობა და დაუდალავი მუშაობა სადოქტორო დისერტაციაზე “ბარიტისა და პერლიტის გამოყენებით ცელზიანური და ალუმინისილიკატური კერამიკის მიღების მეცნიერული საფუძლებისა და ტექნოლოგიების შემუშავების შესახებ”, სადაც შეასრულა ამ მასალათა კონსოლიდაციის პროცესის მათემატიკური გათვლა, რისთვისაც 1987 წელს საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის პრემია დაიმსახურა. ასეთი იყო მისი სადოქტორო დისერტაციის თემა, რომელიც 1993 წელს დაიცვა ჯერ გერმანიაში, შემდეგ საქართველოში. მომდევნო წელს კი სტუ-ის სილიკატების ტექნოლოგიის კათედრის დოცენტ ზვიად კოვზირიძეს პროფესორის წოდება მიენიჭა. მისი სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა “ნაწილური კომპონენტით გაუმჯობესებული სტრუქტურის კერამიკული და პოლიმერული კომპოზიციები მფრინავი აპარატების ცხელ კვანძებსა და აგრესიულ მედიებში სამუშაოდ, ბალისტიკური ჯაგშნისა

და რაკეტების საწვავის ავზებიდან გაუონვის დასაფიქსირებელი გადამწოდებისათვის B4C-BN-SiC-Si3N4-TiC-AlN-Al2O3-Si2ON2-TiB2” სისტემებში. ამ საკითხებზე იგი რამდენიმე სამეცნიერო გრანტის ხელმძღვანელი იყო. მან მათემატიკურად გამოთვალა თერმოგრადიენტური ეფექტის ფორმულა, რომელიც 2004 წელს გამოქვეყნდა. აღსანიშნავია გამოქვეყნებულ სტატიებზე გამოძახილი. ერთ-ერთი სტატია, რომელიც მან გამოაქვეყნა აშშ-ის (იმპაქტ-ფაქტორის მქონე) ჟურნალში – Journal of Cancer Therapy 2014 წელს წაიკითხა International Journal of Cancer Therapy and Oncology (IJCTO) ჟურნალის მთავარმა მენეჯერმა სუდარშან საინმა, რომელმაც მოსწერა ბატონ ზვიადს: „წავიკითხე თქვენი დიდებული სტატია “მართვადი ლოკალური პიპერთერმია და მაგნიტური პიპერთერმია კიბოს ზედაპირული (კანის) დაავადებების სამკურნალოდ”. ვთვლი, რომ სტატიაში გამოქვეყნებული თქვენი გამოკვლევა უდიდესი შენაძენია თანამედროვე ლიტერატურისათვის კიბოს თერაპიისა და ონკოლოგიის დარგში” (თარგმანი დაცულია). შემდეგ მენეჯერი ბატონ ზვიადს სთავაზობს, გამოაქვეყნოს ნაშრომი მის ჟურნალში და სწერს: „...და ეს იქნებოდა უდიდესი პატივი IJCTO-თვის, თუ გვექნებოდა შესაძლებლობა გამოგვექვეყნებინა თქვენი ნაშრომი IJCTO-ში” (თარგმანი დაცულია). 2014 წლის ნოემბერში ბატონმა ზვიადმა მიიღო წერილი აშშ-ის ჟურნალების უდიდესი გაერთიანება SCIRP-დან. ქალბატონი შირლეი სწერს: “ძვირფასო ზვიად კოვზირიძე, გწერთ რათა გაცნობოთ, რომ თქვენი ავტორობით გამოქვეყნებული სტატია “მართვადი ლოკალური პიპერთერმია და მაგნიტური პიპერთერმია კიბოს ზედაპირული (კანის) დაავადებების სამკურნალოდ” სიმსივნური თერაპიის ჟურნალში SCIRP-დან 397-ჯერ იქნა ჩამოტვირთული. გილოცავთ ამ გრანდიოზული კვლევითი სამუშაოს შესრულებას. იმისათვის, რომ უფრო მეტმა ადამიანმა შესძლოს თქვენი სტატიის წაკითხვა, დაგეგმილია შემდგომი სარეკლამო სამუშაო” (თარგმანი დაცულია). 2014 წლის დეკემბრისათვის სტატია ინტერნეტში ნახახი იყო 1527-ჯერ, ხოლო ჩამოიტვირთა 512-ჯერ. სულ ახლახანს, 2014 წლის 4 დეკემბერს, მან თანამშრომლებთან თანაავტორობით გამოაქვეყნა სტატია აშშ-ის ასევე “იმპაქტ-ფაქტორის” მქონე ჟურნალში “Journal of Electronics Cooling and Thermal Control”. გამოხმაურება მოჰყვა სტატიას: “Obtaining of Nanocomposites in SiC-SiAlON and Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-SiAlON System by Alumothermal Processes” (ნანოკომპოზიტების მიღება SiC - SiAlON და Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> – SiAlON სისტემაში ალუმინორმული პროცესებით).

ჟურნალის რედაქცია ბატონ ზვიადს სწერს: “თქვენი ინტელექტუალური წვლილი ამ სფეროში ძალიან მაღალ დონეზეა შეფასებული” (თარგმანი დაცულია). აღსანიშნავია, რომ სტატია გამოქვეყნდა 2014 წლის 4 დეკემბერს და იმავე დღეს ინტერნეტიდან 21-ჯერ ჩამოიტვირთა, ხოლო 11 დეკემბერს (ერთი კვირის შემდეგ) – 145-ჯერ.

იმავე ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები: Z. Kovziridze, Z. Mestvirishvili, G. Tabatadze, N.S. Nijaradze, M. Mshvildadze, E. Nikoleishvili. „Improvement of Boron Carbide Mechanical Properties in B4C-TiB2 and B4C-ZrB2 System” ინახა ინტერნეტში ანუ დაინტერესდა 3558 მეცნიერი, ხოლო

ჩამოიტვირთა ანუ სტატიის შინაარსი გამოყენებულ იქნა 945-ჯერ. მეორე ნაშრომი ამავე იმპაქტ-ფაქტორის მქონე უკრნალში იგივე თანაავტორებით: “Composite Stable to Corrosive Media in SiC-Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-Si<sub>2</sub>ON<sub>2</sub> System” ინტერნეტში ინახა 2621-ჯერ, ხოლო ჩამოიტვირთა 713-ჯერ. ეს არის 2014 წლის 24 დეკემბრის მონაცემები.

1986–1990 წლებში აირჩიეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარედ. ამ პერიოდში სტუ თრჯერ გახდა სსრკ-ის ცხრაას უმაღლეს სასწავლებელს შორის გამარჯვებული, ერთხელ პირველი, ხოლო მეორედ მეორე ადგილი დაიკავა. იმავდროულად გამოიკვეთა მისი მოღვაწეობის კიდევ ერთი, ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი მიმართულება – ბატონი ზვიადი გვირის ქ. კარლსრუეში მისი ინიციატივით დაარსებული საქართველო-გერმანიის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი და ამასთან შპს “საქართველო-გერმანიის კულტურული და სამრეწველო ურთიერთობების” პრეზიდენტი გახდა. 1996 წლიდან 2002 წლამდე პროფესორი ზ. კოგზირიძე ქალაქ კარლსრუეში მისი ინიციატივით დაარსებული საქართველო-გერმანიის ხალხთა შორის ურთიერთგაგების, მეცნიერების, კულტურისა და სწავლების საზოგადოების პრეზიდენტი გახლდათ. საზოგადოებისა, რომლის ნაყოფიერი საქმიანობით მათ არაერთი საჭირო და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს ერთმანეთის გასაცნობად და დასახმარებლად.



გერმანიის მშენებლობის მინისტრი, დოქტორი კლაუს ტოპფერი  
საქართველო-გერმანიის კულტურის ცენტრში



**ბატონი ზვიადის მეგობარი ქ. კარლსრუეს ბურგომისტრი ულრიხ აიდენმიულერი  
საქართველო-გერმანიის კულტურის ცენტრში**

ბატონი ზვიადი წლების მანძილზე, ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად, გერმანული მხარის დაფინანსებით, ხანგრძლივი მივლინებებით მიწვეული იყო გერმანიის ფედერაციული ორგანიზაციის ქ. კლაუსტალის ტექნიკურ უნივერსიტეტში (ორჯერ), ერლანგენ-ნიურნბერგის ტექნიკურ უნივერსიტეტში, ქ. კარლსრუეს ბირთვული კვლევის ცენტრის მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, ქ. ბრემენის ტექნიკურ უნივერსიტეტში (სამჯერ) და უელგან, როგორც ჩინებულმა, მცოდნე სპეციალისტმა, ერუდირებულმა მეცნიერმა და განათლებულმა პიროვნებამ საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა. აღნიშნულ სამეცნიერო სამუშაოებზე დაყრდნობით გამოქვეყნებული აქვს უამრავი სამეცნიერო ნაშრომები, სტატიები და მონოგრაფიები გერმანელ პროფესორებთან თანა-ავტორობით, გერმანიასა და საქართველოში. ბატონმა ზვიადმა მოგვცა კერამიკის სრულიად ახალი და ლაკონური განმარტება: “კერამიკა არის მეცნიერება, ტექნოლოგია და სელოგნება სხვადასხვა არაორგანული ნედლეულისაგან კონსოლიდირებული მასალის მიღების შესახებ”.



ბატონი ზვიადი მეუღლე მარინასა და ქალიშვილ თამართან ერთად.  
მარცხნივ ბრემენის უნივერსიტეტის კერამიკის კათედრის გამგე  
გეორგ გრატგოლის მეუღლე ანი

გერმანია-საქართველოს საზოგადოების საქმიანობის ჩარჩოებში ორგანიზაცია გაუწია  
მხატვართა რვა გამოფენას გფრ-ში და ხუთს საქართველოში. ამ ასპარეზზე მოღვა-  
წეობისას მთელი სიგრძე-სიგანით თავი იჩინა ბატონი ზვიადის სიყვარულმა ხელოვ-  
ნებისადმი, ლიტერატურისადმი, თეატრისადმი, მისმა კომპეტენტურობამ კულტურის  
სხვადასხვა საკითხში (ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრალურ დას “მოდინახესთან”  
ერთად იმოგზაურა გფრ-ში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში).



ბატონი ზვიადი ხსნის გერმანელ მხატვართა გამოფენას  
თბილისის ცისფერ გალერეაში

ბატონ ზვიადს მიაჩნია, რომ, თუ რაიმეს მიაღწია, მნიშვნელოვანწილად განაპირობა მისმა მიზანსწრაფულობამ, კვლევა-ძიებითი მუშაობის უნარ-ჩვევებმა, რომლებიც იმ ადამიანთა წყალობით შეიძინა და გაიმდიდრა, ცხოვრების გზაზე რომ შეხვდნენ. მათ შორის უწინარესად ასახელებს კალისტრატე ქუთათელაძეს, გურამ გაფრინდაშვილს (სწორედ ბატონ გურამთან, კერამიკის და მინის ლაბორატორიაში მუშაობისას დაეუფლა კერამიკის ანბანს), ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორებს, აკადემიკოსებს: თეიმურაზ ლოლაძეს, გოჩა ჩოგოვაძეს, რამაზ ხუროძეს, არჩილ ფრანგიშვილს; პროფესიულ პროფესორებს: ლევან კლიმიაშვილს, ზურაბ გასიტაშვილს, კანცლერს, პროფესორს, ქალბატონ ქეთი ქოქრაშვილს; სენატის სპიკერს, პროფესორ ჯემალ გახოკიძეს; სამსახურის უფროსებს, პროფესორებს: თამაზ ბაციკაძეს, ოთარ ზუმბურიძეს; მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტ დავით თავხელიძეს; სამეცნიერო დეპარტამენტის ყოფილ უფროსს, პროფესორ ვანიკო კომახიძეს და რექტორატის თანამშრომლებს, უნივერსიტეტის სენატის და აკადემიური საბჭოს წევრებს; ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ნუგზარ წერეთელს; დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ ნაზი კუციავას, ფაკულტეტის წამყვან მეცნიერებსა და თანამშრომლებს; რუსეთის ქიმიურ-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს პავლე სარქისოვს, ცნობილ უკრაინელ, რუს და გერმანელ მეცნიერებს, პროფესორებს: მ. კომსკაიას, გ. მასლენიკოვას, ფ. ხარიტონოვს, პ. პენიკეს, გ. გრატვოლს, პ. ოელს, დ. მუნცს, ი. პაინრიხს. დიდი მადლიერებით იხსენებს ტექნიკური უნივერსიტეტის სილიკატების ტექნოლოგიის კათედრის პროფესორებს, ქალბატონებს: მაყვალა ქინქლაძეს, ოლდა ქურდოვანიძეს, ნანა ქუთათელაძეს, მარინა კაპანაძეს, ირინა ბერძენიშვილს და თანამშრომლებს: ნათელა დამბაშიძეს, მანანა კეკელიძეს, დინარა ევგენიძეს, მანანა გოგიჩაიშვილს, ინა ქარსელაძეს, ნანა დევიძეს, მერი ციცქიშვილს, ვალენტინა პავლოვას, დალი გასიტაშვილს, პროფესორებს: საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს კალისტრატე ქუთათელაძეს, თამაზ გაბადაძეს, არჩილ სარუხანიშვილს, გურამ გაფრინდაშვილს, თეიმურაზ ჭეიშვილს, ვაჟა სიხარულიძეს, როლანდ ლეკიშვილს, ირაკლი სულაძეს, ვოვა გორდელაძეს, ვაჟა სხვიტარიძეს, გივი ლოლაძეს; თანამშრომლებს: ჯონი ოძელაშვილს, გუჯა ბუბუტეიშვილს, თენგიზ გრიგოლიას მხატვრული კერამიკისა და მინის დარგობრივი ლაბორატორიის თანამშრომლებს: ეგატერინე ხარაშვილს, ლეილა მგალობლიშვილს, იზო გაგუას, ირინა ჯაკობიას, ნინო მამალაძეს, ფისო მოსეშვილს, ზეინაბ ნამიჩეიშვილს, ნანა ქლენტს, როინ დევიძეს, ვოვა ფილიშვილს, ბადრი გაბრიჩიძეს, თემურ მატოიანს, თემურ ერისთავს, რეზო მელაძეს და სხვებს; დარგის საუკეთესო სპეციალისტებს: საინჟინრო აკადემიის აკადემიკოს რამაზ მამალაძეს, თბილისის კერამიკული კომბინატ „ქაშანურის“ დირექტორს, ბატონ მიშა მუჯირს და სხვებს. უდიდეს მადლიერებას გამოხატავს ბატონი ზვიადი მისი თანამშრომლების მიმართ, ქალბატონები

და ბატონები, პროფესორები: ნათელა ნიუარაძე, გულიკო ტაბატაძე, მაია მშვილდაძე, ექატერინე ნიკოლეიშვილი, ჯიმი ანელი, დავით გევრცაძე, ზვიად მესტვირიშვილი, გიორგი დონაძე, თანამშრომლები: ლანა შამანაური, ვერიკო ქინქლაძე, მაია ბალახაშვილი, ნატო კიკნაძე, ხატია ბლუაშვილი, ნინო დარახველიძე, ქენია ხუჭუა, თენგიზ კანკაძე.



**ბატონი ზვიადი კათედრის თანამშრომლებთან და  
სტუდენტებთან ერთად**

ვფიქრობთ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება იმის გაგებაც, თუ როგორ აფასებენ ეს ადამიანები ზვიად კოვზირიძის მეცნიერულ წელილს და დამსახურებას დარგის განვითარებაში და მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით კერამიკულ მასალებსა და კერამიკულ მატრიცაზე კომპოზიტებთან დაკავშირებული საკითხების დამუშავება-გადაწყვეტაში, მის უნარს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების საკითხებში. ახლა მათ ვაძლევთ სიტყვას:

დრ. ქლაუს კინკელი,  
საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი  
(გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა)

მის აღმატებულებას,  
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდენტს,  
ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

“შესაძლებლობა მქონდა, რომ ჩემს საარჩევნო ოლქში, კარლსრუეში გამეცნო ქართველი პროფესორი ზვიად კოვზირიძე. ჩემთვის შთამბეჭდავი იყო იმის მოსმენა, თუ რა ინტენსიურად ძლიერდება კარლსრუეში გერმანულ-ქართული კულტურული გაცვლის სამსახური... აქედან დაიბადა იდეა, რომ, წინამდებარე საქმიანობიდან გამომდინარე, გაიზარდოს საქართველოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო წარმომადგენლობა კარლსრუეში. მოხარული ვიქნებოდი, თუ ჩემს საარჩევნო ოლქში შევძლებდი ასეთი გადრმავებული ურთიერთობების ხელშეწყობას ჩვენს ხალხს შორის”;



გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი კლაუს კინკელი  
საქართველო-გერმანიის კულტურის ცენტრი. ქ. კარლსრუე

აკადემიკოსი პ. სარქისოვი, ქ. მოსკოვის მენდელეევის სახელობის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის რექტორი: “დღეს ზვიად კოვზირიძე ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერია ქართველ კერამიკოსთა შორის. მისი ნაშრომები კარგად არის ცნობილი. მას მჰიდრო სამეცნიერო და პირადი კონტაქტები აქვს რუსეთისა და გერმანიის მეცნიერებთან”;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი რამაზ ხუროძე: „ბატონი ზვიად კოვზირიძე არის აქტიური, ენერგიული და შრომისმოყვარე, ფართო მეცნიერული აზროვნების პიროვნება”;

გვრის ქ. კარლსრუეს ტექნოლოგიური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ვერნერ ფიშერი: „პროფ. ზვიად კოვზირიძე აქტიურად მონაწილეობს საქართველოს და გერმანიის დამეგობრების საქმეში, სამეცნიერო საქმიანობით ხელს უწყობს კულტურულ თანამშრომლობას ორ ქვეყანას შორის... ამის საფუძველზე მან შექმნა ბაზა ჩვენს უნივერსიტეტთან საქართველო-გერმანიის ინსტიტუტის დასაფუძნებლად, რომელიც მომავალში კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს. კერამიკულ მასალებზე მისი სამუშაოები მეცნიერულად მეტად მნიშვნელოვანია”;

პროფესორი გ. მასლენიკოვა, მოსკოვის მართვის ინსტიტუტის არაორგანული ქიმიის კათედრის გამგე: “პროფესორ ზ. კოვზირიძის თეორიული გაანგარიშებები მნიშვნელოვანი შენაძენია მეცნიერებაში სილიკატების შესახებ”;

ქ. ბრემენის უნივერსიტეტის კერამიკული მასალებისა და ნაკეთობების კათედრის გამგე, პროფესორი გ. გრატვოლი: „ბატონ, პროფ. ზ. კოვზირიძეს აქვს ფართო სამეცნიერო პორიზონტი. თავის დარგში, კერამიკულ მასალებში, იგი ამჟავებს არა მარტო ტრადიციული კერამიკის კლასიკურ საკითხებს, არამედ ყოველთვის მზად არის, საჭიროების მიხედვით, განავითაროს ახალი მიმართულებები თბილისის უნივერსიტეტისა და საქართველოს მრეწველობისათვის”.

პროფესორ ზვიად კოვზირიძის სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ახლად ჩამოყალიბებული ბიონანოკერამიკული და ნანოკომპოზიტების მასალათმცვდნეობის ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელობა, რომელიც აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილის ხელშეწყობით დაარსდა. ამავე საკითხებისადმია მიძღვნილი ის თერთმეტი წიგნიც, მათ შორის ექვსი მონოგრაფია, რომლებიც წამყვან გერმანელ და რუს მეცნიერებთან ერთად გამოსცა გერმანიასა და საქართველოში. სახელოვანი მეცნიერი კვლავაც ნაყოფიერად მუშაობს, ზრდის დარგის მომავალ სპეციალისტებს, ეწევა ინტენსიურ კვლევა-ძიებას. ბატონი ზვიადისა და მისი კოლეგების მიერ შესრულებული პროექტებით აშენდა კერამიკულ ნაკეთობათა ოთხი წარმოება და მის მიერ დამუშავებული კერამიკულ ნაკეთობათა წარმოების ტექნოლოგია დაინერგა - რუსთავში, ზესტაფონში, კასპასა და მცხეთაში. მცხეთაში არსებული კერამიკული სუბნირების ქარხანა მთლიანად გადაირაღდა მის მიერ შესრულებული ტექნოლოგიური ნახაზებით. ამას გარდა, პროფ. გ. გაფრინდაშვილის და მის მიერ შემუშავებული კერამიკულ ნაკეთობათა წარმოების ტექნოლოგია დაინერგა შვიდ ქარხანაში, საერთო ჯამში რამდენიმე მილიონი ეკონომიკური ეფექტით. 2007 წლიდან პროფ. ზ. კოვზირიძე მუშაობს მაგნიტური ჰიპერთერმიისა და მართვადი ლოკალური ჰიპერთერმიის საკითხებზე, კერამიკული ნანონაწილაკებით კიბოს დაავადებების სამკურნალოდ. აღსანიშნავია, რომ ნანოკერამიკული ნაწილაკების მისაღები ხელსაწყო თავად ააწყო ბიონანოკერამიკისა და ნანოკომპოზიტების მასალათმცვდნეობის ცენტრში, ისევე, როგორც სხვა მრავალი სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო ხელსაწყო. ჯაზუში მოიწვია ცნობილი და მაღალი დონის ონკოლოგიური დარგის სპეციალისტები, პროფესორები: გურამ მენოვაშვილი და პაატა ხორავა. ცხოველებზე მრავალჯერადი დადებითი როგორც ვიზუალური, ასევე სხვადასხვა ორგანოს მორფოლოგიური კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, გაჩნდა მოტივაცია, ჰიპერელად საქართველოში, კლინიკური ხელსაწყოს შექმნისა. ამჟამად მართვადი ლოკალური ჰიპერთერმიის მეთოდით კიბოს ზედაპირული დაავადებების (კანის და კანქვეშა) სამკურნალო აპარატი შექმნილია და გადაეცემა კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტს ვოლუნტარი პაციენტების სამკურნალოდ. მან გამოაქვეყნა მრავალი სამეცნიერო სტატია ამ საკითხებზე იაპონიაში, ევროპასა და ამერიკაში. აღსანიშნავია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატის და პირადად რექტორის, აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილის

მიერ არა მარტო დიდი დაინტერესება ამ სამუშაოებით, არამედ თანადგომა და ხელშეწყობა. რექტორის ინიციატივით, აკადემიურმა საბჭომ და სენატმა გამოჰყო თანხები ახალი მეორე აპარატის შესაქმნელად, მართვადი ლოკალური პიპეროერმის მეთოდით პროქტოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ. პროფ. ზ. კოვზირიძე 13 გამოგონების ავტორია. მისი ინიციატივით 1998 წელს დაარსდა საქართველოს კერამიკოსთა ასოციაცია და დღემდე მისი უცვლელი პრეზიდენტია. დღემდე ბატონი ზვიადის ინიციატივით ამ საზოგადოებამ ჩაატარა ხუთი საერთაშორისო კონფერენცია. ხუთივეჯერ ბატონი ზვიადი იყო ჩატარებული კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე. 1999 წელს მან დაარსა ასოციაციის საგამომცემლო ორგანო, უურნალი “კერამიკა”, რომლის მთავარი რედაქტორიც თავად გახდავთ. ეს უურნალი საქართველოში ერთადერთია, რომელიც ქართულ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენაზე აქვეყნებს სტატიებს. ბატონი ზვიადი არის საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის მქონე უურნალ “Journal of Ceramic Science and Technology”-ის თანადამფუძნებელი და რედაქტორის წევრი. უურნალი ქ. ბადენ-ბადენში გამოდის.

2001 წელს პროფესორმა ზ. კოვზირიძემ თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ რ. ხუროძის მხარდაჭერით დაარსა კომპოზიციური მასალებისა და ნაკეთობების ტექნოლოგიის კათედრა, რომელსაც დღემდე სათავეში უდგას.

მისი საერთაშორისო აღიარება იყო, როდესაც 2002 წელს აირჩიეს ევროპის კერამიკოსთა საზოგადოების საბჭოს წევრად. საბჭოს შემადგენლობაში 55 წევრია. საზოგადოებაში გაერთიანებულია ევროპის 27 ქვეყანა ექვსი ათასი წევრით. 2013 წლიდან ბატონი ზვიადი არის ევროპის კერამიკოსთა საზოგადოების, როგორც არამომგებიანი საზოგადოების თანადამფუძნებელი. 2007 წლიდან ბატონი ზვიადი კერამიკოსთა მსოფლიო ფედერაციის საბჭოს წევრად აირჩიეს. საბჭოს შემადგენლობაში 45 წევრია. ფედერაციაში გაერთიანებულია 42 ქვეყანა 43 ათასი წევრით. 2008 წლიდან პროფ. ზ. კოვზირიძე არის ევროპის კერამიკოსთა საზოგადოების (ბიენალე) და კერამიკოსთა მსოფლიო ფედერაციის მიერ (ბიენალე) ჩატარებული უკელა საერთაშორისო კონფერენციების და მსოფლიო კონგრესების საორგანიზაციო კომიტეტების წევრი.

პროფ. ზ. კოვზირიძე 2010–2011 წლებში იყო სტუ-ის სენატის წევრი, ხოლო 2012 წლიდან – აკადემიური საბჭოს წევრი.

მართალია, ბატონი ზვიადი ტექნიკური კერამიკის სპეციალისტია, მაგრამ მხატვრულ კერამიკასთანაც აქვს კავშირი, ეს ხომ ტრადიციული ქართული ხელობაა, უფრო სწორად ხელოვნებაა, როგორც თეატრი, როგორც ლიტერატურა, განსაკუთრებით პოეზია, ლექსების კითხვა, რაც ბატონ ზვიადს განსაკუთრებით თამადობის დროს უყვარს.

თამადობა მისთვის კიდევ ერთი წოდებაა, რის შესახებაც ერთ-ერთ გაზეთში, საქართველოში ცნობილმა პიროვნებამ, პოეტმა და მწერალმა საქვეუნოდ განაცხადა: “ერთადერთი თამადა, რომელიც ამ ბოლო წლებში მომწონებია, პროფესორი ზვიად კოვზირიძე გახდავთ.” კაცმა რომ თქვას, კარგი თამადობაც ისეთივე მნიშვნელოვანი ფენომენია, სუფრის ლამაზად გაძლოლის ნიჭსა და უნარს მოითხოვს, როგორც სხვა დვთისაგან ბოძებული მადლი.



**ზ. კოგზირიძე თამადა 2012 წელს თბილისში ჩატარებული  
საერთაშორისო კონფერენციის ბანკეტზე**

ბატონ ზვიადს დიდ სიყვარულზე, სრულ ურთიერთგაგებასა და პატივისცემაზე დაფუძნებული ოჯახი აქვს. მისი მეუღლე, ქალბატონი მარინე ინჟინერ-ქიმიკოსი გახლავთ, თუმცა ამჟამად დიასახლისია. რაც შეეხება მის საამაყო ქალიშვილ თამარს, მისთვის მამა ისეთივე მისაბაძია, როგორადაც დღემდე რჩება ბატონი ზვიადისთვის მისი მამა, დავით კოგზირიძე. ბატონი ზვიადი ყოველთვის სიამოვნებით იხსენებს ერთ ეპიზოდს: როდესაც თამუნა მექქსე კლასში იყო, მასწავლებელს მოსწავლეებისათვის ასეთი კითხვა დაუსვამს – როგორი ადამიანი გინდათ რომ გამოხვიდეთ? თამუნას დაუფიქრებდად უპასუხია: “ისეთი, როგორიც ჩემი მამიკო არის”.

დიახ, ნამდვილად დიდი ბედნიერებაა, როდესაც შვილისთვის მისაბაძი მაგალითი ხარ, მაგრამ არანაკლები ბედნიერებაა, როდესაც შვილი მშობლებს ტოლს არაფერში უდებს. თამარ კოგზირიძემ წარჩინებით დამთავრა გერმანიის პაიდელბერგის რუპრეხტ-კარლ-უნივერსიტეტი თრი სპეციალობით: პოლიტიკური მეცნიერებები და ეკონომიკა. მიიღო მაგისტრის სამეცნიერო წოდება ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში. შემდგომში მიიწვიეს ბრიუსელის უნივერსიტეტში, იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. ამის შემდეგ მოიწვიეს საქართველოში და აქ მუშაობდა მაღალ სამთავრობო თანამდებობებზე. ამჟამად თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორია და ცოდნის ფონდის დირექტორი. ფლობს: ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ ენებს.

საკუთარი გვარის წარმომავლობით დაინტერესებულმა ბატონმა ზვიადმა ბროკაუზის ცნობილი ენციკლოპედიის წყაროებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ რუსული თავადაზნაურული გვარის ლაშკარიოვების წარმომავლობა ქართველი თავადის, ლაზარე გრიგოლის ძე ლაშკარიშვილ-ბიბილურისაგან მოდის, რომელიც 1724 წელს ვახტანგ

მექქსის ამაღლასთან ერთად რუსეთში გადასახლებულა. მე-18 საუკუნის ბოლოს ამ გვარის წარმომადგენელთა ერთი ნაწილი სამშობლოში დაბრუნებულა და გვარი რატომდაც კოვზირიძედ გადაუკეთებიათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ გვარის წარმომადგენლებს რუსეთში ყოფნისას თვალსაჩინო წვლილი შეუტანიათ ამ ქვეყნის დიპლომატიის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საქმეში. სწორედ ამ დამსახურებისათვის უბოძებია მათვის რუსეთის თავადაზნაურის ტიტული რუსეთის იმპერატორს ეკატერინე მეორეს.

საამაყოა, რომ ბატონი ზვიადი და მისი ქალიშვილი თამარი ლირსეულად აგრძელებენ კოვზირიძეთა შორეული წინაპრების დიდებულ სახელს.

ბატონი ზვიადი ჭეშმარიტი მამულიშვილი, ვაჟკაცობით, სიქველით, შრომისმოყვარეობით, უდიდესი შინაგანი სიძლიერით გამორჩეული პიროვნებაა. მას ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თავისი თაობის წარმომადგენლებს შორის. იგი დღენიადაგ იღვწოდა და იღვწის სიკეთის, პროფესიონალიზმის, ურთიერთგაბების, თითოეული თანამშრომლის თუ სტუდენტის თავისუფალი აზროვნების და კეთილდღეობის დამკვიდრებისათვის. ახალგაზრდობის უდიდესმა ქომაგმა არაერთი მაგისტრანტი და დოქტორანტი გამოზარდა და სწორი მიმართულება მისცა მეცნიერებისა თუ ცხოვრების სარბიელზე. ამიტომ, განსაკუთრებული სიყვარულით, პატივისცემით და მოწიწებით სარგებლობს მათ შორის.

ბატონი ზვიადი უდიდესი ძალისხმევითა და საოცარი რუდუნებით ცდილობს ყველაზერს პროფესიონალის ხელი დაატყოს, იქნება ეს მისი მიმართულების, ფაკულტეტის, უნივერსიტეტის თუ საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის კეთილდღეობა.

მას გვერდს უმშვერებს შესანიშნავი, საოცარი ქალური მომხიბვლელობით გამორჩეული ერთგული, მოსიყვარულე, მისი ყველა წარმატების სულისხამდგმელი, თანამონაწილე და გამზიარებელი მეუდღე მარინა, რომელიც პატიოსნებით, კეთილშობილებით, სისპერაკით, უდიდესი სითბოთი გამორჩეული, საქართველოში ცნობილი ბატონ დავით ქათამაძის და უსათნოესი ეთერ კუპატაძის შვილია. ოჯახის, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ბატონი ზვიადის, ამ რაინდული სულის ადამიანის შემდგომ წინსვლასა და წარმატებებში.

ვულოცავთ, ბატონ ზვიადს დაბადებიდან 70 წლის იუბილეს! ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წინსვლასა და წარმატებებს ქვეყნისა და ერის სასიკეთოდ, დარგის განვითარების, ახალგაზრდობის აღზრდის და მათი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბების საქმეში.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტი**

**საქართველოს კერამიკოსთა ასოციაცია, უკრნალ „კერამიკის“  
სარედაქციო კოლეგია**

## 60შის დღესასწაული

### ნანა მჭედლიშვილი

20 ოქტომბერს დიდი ხალხმრავლობა იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გალერეა „უნივერსში”, საქართველოს პროფესიონალ ქალთა ასოციაციის ეგიდით მოწყობილ „უნიკალურ „გერამიკულ უვავილთა” გამოფენაზე. აქ მოსულ საზოგადოებას ერთგვარ შემოქმედებით ანგარიშს აბარებდა უსათნოესი, უკეთილშობილესი, არაჩვეულებრივი ხიბლით, უდიდესი შინაგანი სიძლიერით და სულიერებით გამორჩეული ქალბატონი, პროფესიონალი ოფთალმოლოგი, მედიცინის დოქტორი, მოყვარული კერამიკოსი ნანა მჭედლიშვილი.



გამოფენა გახსნა კერამიკოსთა მსოფლიო ფედერაციის საბჭოს წევრმა, საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის პრეზიდენტმა, პროფესორმა ზვიად კოვზირიძემ. ქალბატონ ნანას მიესალმნენ: საქართველოს პარლამენტის წევრი, ქალბატონი გუგული მაღრაძე, საქართველოს პროფესიონალ ქალთა ასოციაციის პრეზიდენტი, ქალბატონი ნანული ჭავჭანიძე, პროფესორნალ ქალთა ასოციაციის წევრი, ქალბატონი ლია გაზდელიანი, ოფთალმოლოგი, ქალბატონი მედეა სიმონგულოვა. მათ გულითადად მიულოცეს 6. მჭედლიშვილს გამოფენის გახსნა, უდიდესი სითბოთი, სიყვარულით ისაუბრეს მის უნატიფეს შემოქმედებაზე, საოცარ პიროვნულ თვისებებზე და შემდგომი წარმატებები უსურვეს. დასასრულს ბატონმა ზვიადმა ასე მიმართა: „თქვენს ოჯახს ერთი ლეგენდა ბატონი ლევანის სახით უკვე ჰყავს, ახლა მას თქვენი სახით ქალბატონო ნანა მეორე ლეგენდა შეემატა”.

თითქმის 18 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქალბატონი ნანა უვავილოა განუზომელმა სიყვარულმა და უდიდესმა სულიერმა ტკივილმა ჭეშმარიტ ხელოვნებას აზიარა. „თიხას-

თან ურთიერთობამ ცხოვრების ინტერესი გამიჩინა, დამაწყნარა, დამამშვიდა”, - ამბობს იგი. მან გამორჩეული ინდივიდუალობით შექმნა ფაიფურის ამ უძველესი, მაგრამ მუდამ ახალი და ამოუწურავი თვისებების მქონე უნატიფები მასალის დამუშავების საკუთარი ორიგინალური ტექნოლოგია. საბოლოოდ დაიმორჩილა, შეიჩვია და მეგობრად გაიხადა. განუზომელი სიყვარული, სილამაზის აღქმისა და გათვითცნობიერების უნარი გიპერობს, როდესაც მის ნამუშევრებს ეცნობი. დღენიადაგ გატაცებით ქმნის, ფიქრობს, კაზმავს, ძერწავს, აცოცხლებს ესოდენ სათუთსა და ფაქიზ ქმნილებებს. გემოვნება და გამომგონებლობა, საქმის დიდი სიყვარული, მტკიცე ნებისყოფა და განსაკუთრებით თავდაუზოგავი შრომა – მისი განუზომელი წარმატების საწინდარია.

დღეს ქალბატონმა ნანამ გამორჩეული სიტყვა თქვა კერამიკაში, რაზეც მეტყველებს მის მიერ შექმნილი 300-მდე ნამუშევარი, იქნება ეს დიდი თუ მცირე ზომის პანო, 20-მდე გამოფენა, მათ შორის 8 პერსონალური თბილისსა თუ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში (ქუთაისი, საგარეჯო, გორი), ქვეყნის ფარგლებს გარეთ (გერმანია, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, პარიზი). იგი კერამიკოსთა მსოფლიო ფედერაციის, საქართველოსა და ევროპის კერამიკოსთა ასოციაციების ერთ-ერთი აქტივი და გამორჩეული წევრია.

საოცარი სიამოვნებაა იმის ყურება, თუ რა რუდუნებით, სიყვარულით და გარკვეულწილად თავისებური მიდგომით აკეთებს თითოეულ ნამუშევარს ეს დვთაებრივი ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონი. თავდაპირველად ძერწავს (ყველა ყვავილი, რომელიც ერთხელ მაინც თუ უნახავს ცხოვრებაში, ზეპირად იცის) უამრავი სხვადასხვა ზომის და სახეობის ყვავილებს, ფოთლებს, ღეროებს და წარმოიღინეთ ბალახსაც კი. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ზოგჯერ მათი რაოდენობა რამდენიმე ათასს აღწევს. აწყობს სპეციალურ სადგარზე, წვავს მაღალ ტემპერატურულ ღუმელში 1250–1300°C-ზე (ეს ყველაფერი ხდება თბილისში, ცაბაძის ქუჩის ჩვეულებრივი 16-სართულიანი სახლის მე-5 სართულის აიგანზე, სადაც აღნიშნული ღუმელია დამონტაჟებული). გამოწვის შემდეგ გამომწვარი მასალა ფაიფურისთვის დამახასიათებელი სითეთრითაა გამორჩეული, რის შემდეგ იწყება ნამდვილი შემოქმედება. ქნი ნანა სპეციალურად გაკეთებულ 50X60 სმ ზომის ჩარჩოში (ბოლო წლებში 100X150 სმ ზომასაც იყენებს) აკრავს შესაბამისი ფერის ნაჭერს და იწყებს სხვადასხვა კომპოზიციების შექმნას, იქნება ერთი რომელიმე ყვავილი (იასამანი, გვირილა, ყაყაჩო, ქრიზანთემა, ტიტა, კალა, მზესუმზირა, მაგნოლია, კაქტუსი, ედელვაისი, ნაირფერი მინდვრის ყვავილები - თითქმის ყველა სახეობის ყვავილი აქვს შექმნილი), თუ ერთ თაიგულად შექრული სხვადასხვა ყვავილი. შემდეგ სპეციალური სადებავებით აძლევს მისთვის სასურველ ფერს. ამგვარად შექმნილი კომპოზიციები დიდ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს. აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ორი ერთნაირი კომპოზიცია. წლების გამოცდილებამ და მუდმივმა შემოქმედებითმა ძიებამ თითოეული ნამუშევარი უფრო ნატიფი, ტექნოლოგიურად დახვეწილი და უნაკლო გახადა.

ერთი საინტერესო დეტალი: ყველა ნამუშევრის კუთხეში პატარა წითელი გული შეინიშნება, ზუსტად იქ, სადაც მხატვრები საკუთარ ფაქსიმელეს სვამენ. თითოეულ

გულზე კი მისი თითოს ანაბეჭდია, რაც შემოქმედის ერთგვარ შტამპად უნდა მივიჩნიოთ, თითოეულში მისი გულის ნაწილია ჩაქსოვილი.

უყურებ კერამიკაში ამღერებულ ყვავილთა ამ ჰარმონიას და გრძნობ, როგორ სუნთქვას, გიღიმის, გესალბუნება თითოეული მათგანი, გინდა ხელი შეახო, იგრძნო მისი სურნელი და წასჩურჩულო სიცოცხლეზე, სიყვარულზე, სიკეთეზე, მშვენიერებაზე. უყურებ და ხვდები, რომ მისი თითოეული ყვავილი მისი სულის ნაწილად ქცეულა, იქ დასადგურებულა და შიგნიდან გათბობს, გიდვივებს მაღალ ადამიანურ გრძნობას.

საოცარი სიამაყის გრძნობა ეუფლება სულს, როდესაც შემოქმედების ამ ნაყოფს უყურებ. დიახ, შემოქმედების, ვინაიდან ის, რაც შექმნა ქალბატონმა ნანამ ამ წლების მანძილზე, არის უზადოდ შესრულებული ხელოვნების საოცარი ქმნილებები, ეს არის მისი სულის ამოძახილით ჩამოქნილი უნიკალური ხელოვნება, რომელთა მსგავსი ჯერ არ შექმნილა.



გალერეა „უნივერსის” შემოქმედებითი ჯგუფის ხელმძღვანელმა, უმშვენიერესმა ქალბატონმა, პროფესორმა ლალი ლოდელიანმა ნ. მჭედლიშვილის გამოფენას „ფაიფურის ყვავილობა” უწოდა, რომელმაც ორ კვირა გასტანა. ამ მშვენიერების ხილვა უამრავმა მნახელმა შეძლო, მათ შორის იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არაერთი უცხოელი სტუმარი, თბილისის სხვადასხვა სკოლის უამრავი მოსწავლე, მხატვრები,

ექიმები, თითქმის ყველა პროფესიის ადამიანები, რომელნიც თავის გაოცებას, აღტაცებას და სიხარულს ვერ ფარავდნენ ამ უნიკალური ქმნილებების ხილვისას.

რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, განსაკუთრებული აღფრთოვანებით გამოირჩეოდა ბუმბერაზი მოჭიდავე, ქართული სპორტის ლეგენდა, თავისუფალ ჭიდაობაში ორგზის ოლიმპიური, ხუთგზის მსოფლიო, ევროპის სამგზის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, ბეჭდაუდებელი ფალავანი, ქართველი კაცის საოცარი სიყვარულითა და უდიდესი პატივისცემით განებივრებული ბატონი ლევან თელიაშვილი. მისთვის დამახასითებელი გულწრფელობით, სიალალით და სიამაყით აღსავსე, ერთგვარი კრძალვით ზეიმოდა მისი შესანიშნავი, ერთგული და თავდადებული მეუღლის წარმატებას. გამოფენაზე მოსულ მნახველებს თვალგაბრწყინებული ეუბნებოდა, რომ ნანამ თავისი შეუდარებელი ხელოვნებით ტოლი არ დაუდო და აჯობა კიდევ.

ღირსეული ოჯახი ქვეყნის ღირსებას ნიშნავს. ჩემი ოჯახი ჩემი წარმატების გასაღებია. ამ დევიზით ცხოვრობდა, ცხოვრობს და იცხოვრებს ჩვენი ქვეყნის ეს საოცარი, ორი ლეგენდით შემკული ოჯახი. ასეთია ამ ლეგენდარულ ადამიანთა საოცარი ტანდემი არაჩეულებრივ, განსაკუთრებული გაუკაცობით გამორჩეულ გაჟიშვილ ბესოსთან, უმშვენიერეს და უდამაზეს პატარა შვილიშვილ ნანა თელიაშვილთან, მოსიყვარულე, სათნო რძალ ნატოსა და უერთგულეს ციურისთან ერთად.

მათ ლეგენდარულ ოჯახს ხომ მრავალი წარმატება და უდიდესი ტკივილი უნახავს. წარმატებით გამოწვეული სიხარული მათთვის არახალია, ძველია, თუმცა გალერეა „უნივერსში” წარმოჩენილი გამოფენა უნიკალური და განსაკუთრებული იყო, ერთგვარი დღესასწაული – ნიჭის დღესასწაული, რომელსაც ამკობდა და ალამაზებდა ბედნიერი ადამიანების აღფრთოვანებით გამოწვეული უწვეულო სითბო, სიკეთე და სიხარული.

### საქართველოს კურამიკოსთა ასოციაცია

## არჩილ სარუხანიშვილი



2015 წლის 27 მაისს ცნობილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტს, ქურნალ ”კერამიკის” მთავარი რედაქტორის მოადგილე არჩილ სარუხანიშვილს დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55 წელი უსრულდება.

თბილისის მე-10 ვაჟთა საშუალო სკოლის წარმატებულად დამთავრების შემდეგ ბატონი არჩილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა (ამჟამად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური და მეტალურგიული ფაკულტეტი). სწორედ აქ, სილიკატების ტექნოლოგიის კათედრაზე გამოიკვეთა მისი ინტერესი მინის თეორიისა და პრაქტიკის მიმართ. არც არის გასაკვირი, რადგან კათედრასთან არსებული ასპირანტურის პირველ ნაკადში მისი დედა, სათხოებითა და კეთილშობილებით გამორჩეული ქალბატონი მარგარიტა (გრეტა) ბიაძე მოღვაწეობდა, შემდგომში მრავალი ათასეული სტუდენტის მასწავლებელი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბატონი არჩილი მუშაობას იწყებს თბილისის საშენ მასალათა კვლევითი ინსტიტუტის მინის ლაბორატორიაში ჯერ ლაბორანტად (1959 წ.), შემდეგ ინჟინრად (1960 წ.) 1963 წელს იგი ლენსოვეტის სახ. ლენინგრადის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მინისა და სიტალების კათედრასთან არსებულ ასპირანტურაშია. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ (1965 წ.) გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საშენ-მასალათა ინსტიტუტის დირექტორ კალისტრატე (კალე) ქუთათელაძის რეკომენდაციით მუშაობას იწყებს სილიკატების ტექნოლოგიის ჯერ უფროს მასწავლებლად, შემდგომ, სანკტ-პეტერბურგში საკანდიდატო დისერტაციის დაცვისა და ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შემდეგ, დოცენტად (1966 წ.) და სანკტ-პეტერბურგშივე სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ პროფესორად (1979 წ.). 1979-1982 წლებში ბატონი არჩილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის დეკანია, ხოლო 1982 წლიდან 2007 წლამდე ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის კათედრის გამგე დღეს იგი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორია.

ბატონი არჩილის თქმით, მთელი ცხოვრების მანძილზე შესანიშნავი ურთიერთობა პქონდა მასწავლებლებთან და კოლეგებთან, რომელთა სახელებს უდიდესი სიყვარულით იხსენებს.

უმაღლეს სასწავლებელში სწავლისას ბატონი არჩილის მექსიერებაში სამუდამოდ დარჩა იმ ადამიანთა სახელები, რომლებმაც, დედასთან ერთად, ჩამოუყალიბა, მინისებრი (ამორფული) მყარი სხეულისადმი ინტერესი. პირველ რიგში მათ რიცხვს მიაკუთვნებს ბატონ კალე ქუთათელაძეს და მეგობრული ურთიერთობით აღსავს თანამოაზრეთა ჯგუფს: ბონდო ალასანიას, ოლდა ქურდევანიძეს, მაყვალა ქინქლაძეს, ვარდიქო მელიქაძეს და გასული საუკუნის 50 წლებში მოღვაწე სილიკატების ტექნოლოგიის კათედრის სხვა წევრებს. მათ შეაყვარეს ბატონ არჩილს საქმე, რომლის სამსახური მისი ცხოვრების მიზნად იქცა.

ბატონ არჩილზე დიდი გავლენა იქონია თბილისის საშენ მასალათა კვლევით ინსტიტუტში გატარებულმა პერიოდმა. აქ იძენდა კვლევის ჩატარების, მიღებული შედეგების ანალიზისა და განსჯის ჩვევებს მოსკოვში დახელოვნებულ ელექტ ფირცხალავას, უკრაინის ერთ-ერთი წამყვანი საწარმოს ხელმძღვანელ თამაზ სარიშვილის, ახალგაზრდა, ენერგიით აღსავს რომან ვერულაშვილის, საქართველოში ცნობილი მუსიკოსისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტ ედუარდ ვასერმანისა და მინის ლაბორატორიის სხვა წევრთა თანადგომით, რა თქმა უნდა, ბატონი კალეს მუდმივი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ხელმძღვანელობით. აქ შეიძინა ბატონმა არჩილმა ახალი მეგობრები, რომელთა უმეტესობასთან დღესაც – ინარჩუნებს ურთიერთობას აღექსანდრე რუსტამბეგოვი, გარი ზაალიშვილი, იოსებ ფიცხელაური, თამაზ სარიშვილი, როლანდ ლეკიშვილი. ეს ის ხალხია, რომლის გარეშე არ მოისაზრებოდა ბატონი არჩილის ცხოვრება და მოღვაწეობა.

სანკტ-პეტერბურგში გატარებულ წლებს ბატონი არჩილი მოწიწებით იხსენებს. თვით ქალაქმა, მის მკვიდრთა ბუნებამ, მსოფლიოში ცნობილ მეცნიერებსა და ხელოვნების მოღვაწეებთან ურთიერთობამ ბატონ არჩილზე წარუშლელი კვალი დატოვა. სამეცნიერო ასპარეზზე აქ გადადგა პირველი ნაბიჯები, აქვე დაუუფლა ლექტორის ხელოვნებას, სტუდენტებსა და კოლეგებთან თავისებურ, მაგრამ გულახდილ და გულწრფელ ურთიერთობას. ამ მხრივ ბატონ არჩილზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ისეთ ხელოვნებთან ურთიერთობამ, როგორებიც იყვნენ გოგა ტოვსტონოგოვი, თამარა მაკაროვა, ეფიმ კოპელიანი, მიხეილ პოლაკოვი და მრავალი მაშინდელი სანკტ-პეტერბურგის თვატრალური საზოგადოების წევრები.

ბატონი არჩილის, როგორც მეცნიერისა და პედაგოგის ჩამოყალიბების საქმეში უშუალო მონაწილეობა მიიღეს საყოველთაოდ აღიარებულმა მეცნიერებმა. მათ შორის იყვნენ პუნქტუალური, მოწაფეებთან სადისკუსიოდ ყოველთვის განწყობილი, ბატონი კალე ქუთათელაძისა და ა. სარუხანიშვილის საკანდიდატო ნაშრომის ხელმძღვანელი ვლადიმერ ვარგინი; სანკტ-პეტერბურგის (ლენინგრადის) ტექნოლოგიური ინსტიტუტის რექტორი და მინის ტექნოლოგიის კათედრის გამგე, მრისხანე, მაგრამ საოცრად ობიექტური, კონსტანტინე ევსტროპიევი; საქართველოზე შეყვარებული არკადი ავგუსტინიკი; სახელმწიფოსგან უკიდურესად შეურაცხყოფილი და შევიწროებული, კეთილშობილი

როდოლფ მიულერი, ვირტუალური ოლეგ მაზურინი და ევგენი პორაი-კოშიცი, იუმორით აღსავსე მიხეილ შულცი და მრავალი სხვა.

ბატონ არჩილზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია თანატოლთა იმ ინტერნაციონალურმა გუნდმა, რომელთა გვერდითაც უხდებოდა მუშაობა. შემდგომში ცნობილი მეცნიერები და სახალხო მეცნიერების ხელმძღვანელები: ვლადიმერ ხალილევი, დანიელ უშაკოვი, გრიგორ ურავლიოვი, ნიკოლოზ ფიოდოროვი (რუსეთი), კოსტან კოსტანიანი და სეირან ჯავუქციანი (სომხეთი), სტალინა კასიმოვა (უზბეკეთი), პაროლდ ჰოფმენი (გერმანია), ბისერკა სამუნევა (ბულგარეთი),

სილიკატების ტექნოლოგიის კათედრაზე დაბრუნებისთანავე ბატონი არჩილი აქტიურად ჩაერთო კათედრის საქმიანობაში. იგი თანამიმდევრულად აუმჯობესებდა მინის ტექნოლოგიისა და სილიკატების ფიზიკური ქიმიის სწავლების ფორმებსა და საშუალებებს. მან აამოქმედა სტუდენტთა სამეცნიერო ბიურო, რომლის წევრთა უმრავლესობამ მომავალში ცხოვრება და მოდგაწეობა მეცნიერთა და უმაღლესი სკოლის პედაგოგთა წრეს დაუკავშირდა. იქმნებოდა სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა, იმატა ასპირანტურაში სწავლის გაგრძელებისა და სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთა რაოდენობამ (ნ. ქუთათელაძე, თ. ჭეიშვილი, ვ. გორდელაძე, ი. გვჯაძე, ვ. ნარუსლიშვილი, ი. ზედგინიძე, გ. რაზმაძე, ი. ბერძენიშვილი, თ. ლაპაძე, ი. კვეთერელ-კოპაძე და სხვები).

ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის კათედრაზე ბატონ არჩილს, ძირითადად, ნაცნობი სახეები დახვდა. პირველ რიგში ეს პროფესორი ლაურა ბერეჟიანი იყო, რომელმაც, ორმოცდათიან წლებში, ყველაზე ახალგაზრდა მასწავლებლის როლში, აზიარა უდიდესს და უმნიშვნელოვანებს დისციპლინას - ფიზიკურ ქიმიას; აგრეთვე, დოცენტები თამარ კაჭახიძე, ნანა რატიანი, მიხეილ ბაციკაძე, ციალა ნაჭყებია, რომლებიც ბატონ არჩილს სტუდენტური სკამიდან ახსოვს.

ბატონ არჩილს არც ამ კათედრაზე ავიწყდება სასწავლო პროცესის მოდერნიზაციის აუცილებლობა. შექმნა ახალი სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა. ფიზიკური ქიმიის ორიგინალური კურსი ტექნოლოგებისათვის ლ. ბერეჟიანმა შეასრულა. ტექნიკურ უნივერსიტეტიში პირველად გამოიცა სახელმძღვანელოები კოლოიდურ ქიმიაში (გ. ბაციკაძე, ც. ნაჭყებია და გ. რაზმაძე, ნ. აბულძე), ფიზიკურ-კოლოიდურ ქიმიაში (გ. ბაციკაძე, ნ. რატიანი), ფიზიკური ქიმიის საფუძვლები (ი. ბერძენიშვილი), ფიზიკური ქიმიის მოკლე კურსი (ა. სარუხანიშვილი). დაამყარა კავშირი გ.წ. მაპროფილებელ კათედრებთან, რაც გამოიხატა სახელმძღვანელოებით მინანქრისა და მომინანქრების ქიმიასა და ტექნოლოგიაში (ვ. გორდელაძე, ა. სარუხანიშვილი), კომპლექსური მასალების თეორიულ საფუძვლებში (ა. სარუხანიშვილი, თ. ჭეიშვილი, ზ. კოვზირიძე), გარემოს კომპოზიტებზე ზემოქმედების შესახებ (ზ. კოვზირიძე, ჯ. ანელი, ა. სარუხანიშვილი); დამხმარე სახელმძღვანელოებით ფიზიკური ქიმიის სხვადასხვა ნაწილში (ა. სარუხანიშვილი, თ. ჭეიშვილი, ა. გოგიშვილი, დ. ერისთავი, ვ. გორდელაძე, დ. ბიბილეიშვილი, ლ. ბერეჟიანი, გ. რაზმაძე, ც. ხუგაშვილი, ი. ბერძენიშვილი, ი. ზედგინიძე, ქ. აბზიანიძე, მ მშეილდაძე, გ.

კაპანაძე და სხვა). აქტიურად მონაწილეობდნენ ლაბორატორიულ სამუშაოთა ინდივიდუალიზაციისაკენ მიმართულ დონისძიებებში კათედრის სხვა წევრები, რომლებსაც ბედმა არგუნა ყოველთვის ყოფილიყვნენ სტუდენტებთან უშუალო კონტაქტში (ლ. კალანდაძე, ლ. მახვილაძე, ნ. გოგიშვილი, ბ. აბზიანიძე, ც. ომიაძე, ი. სვანიძე, ლ. ებანოიძე, ნ. ნარსია და სხვები).

ჭეშმარიტებაა, რომ უმაღლეს სკოლაში პედაგოგიური მოღვაწეობის წარმატებული წარმართვა შეუძლებელია სამეცნიერო სფეროში მიღწევების გარეშე. ამ მხრივ ბატონი არჩილი ყოველთვის მიჰყებოდა ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ პრინციპს – ”ადამიანის სრულყოფას საზღვარი არ აქვს. საჭიროა მხოლოდ სურვილი და საკუთარ ცოდნაში დაეჭვება. ადამიანს, რომელსაც ეჩვენება, რომ ყველაფერი იცის და ყველაფერზე შეუძლია საუბარი, დილეტანტია, რომელსაც უნდა ერიდო”.

სანკტ-პეტერბურგში ბატონი არჩილის საქმიანობის ძირითადი მიზანი მრავალ-კომპონენტიანი სისტემებიდან მინაკრისტალური მასალის მიღების თეორიისა და პრაქტიკის ზოგადი საკითხების დადგენა იყო. მან კოლეგებთან ერთად (ო. სეტკინა, მ. ზორინა და ე. მილუკოვი) დაადგინა უნიკლეატორო სიტალიზაციის არსი, ამ პროცესის შესწავლისას ინფრაწითელი სპექტროსკოპიისა და თერმული დამუშავების ტემპერატურაზე პროდუქტთა მიკროსისალის დამოკიდებულების გამოყენების შესაძლებლობა. ამ კვლევებით მოიპოვა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ერთნაირი ოქსიდური შედგენილობის ბუნებრივი და სინთეზურად მიღებულ სისტემებიდან მინის წარმოქმნის პროცესი განსხვავდება და დამოკიდებულია ხარშვის მაქსიმალურ ტემპერატურაზე. პროცესთა ამ განსხვავებას შეუძლია იმოქმედოს სასრული პროდუქტის სტრუქტურასა და თვისებებზე. მრავალკომპონენტიანი სისტემების კვლევას ბატონი არჩილი აგრძელებს სილიკატების კათედრაზეც.

კვლევის ობიექტად იქცა მანგანუმით დარიბი ჭიათურის ადგილმდებარეობის კარბონატული მადანი. კვლევაში აქტიურად ჩაება კათედრის ასპირანტი ნანა ქუთათელაძე. იგი იყო ბატონ კალეს მე-15, ხოლო ბატონი არჩილის პირველი სტუდენტი, რომელმაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ოთხწლიანმა კვლევამ სრულად გაამართლა ადრე გამოთქმული მოსაზრება ბუნებრივად და ხელოვნურად მიღებულ მრავალკომპონენტიანი სისტემების არაადეკვატური მინაწარმოქმნის პროცესების შესახებ, გამოავლინა უხვმანგანუმიანი მინების თავისებურება. გაირკვა, რომ მინაწარმოქმნისა და სასრული პროდუქტის სტრუქტურაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს მანგანუმის რაოდენობა მინაში. უხვმანგანუმიანი კომპოზიციები ”იძლეოდა” მინას ოქსიდთა თეორიულად დაუშვებელ ზღვრებში და ამის მიზეზად მანგანუმის თვითაღდებენა-დაუანგვის მოვლენა დასახელდა.

სისტემების მრავალკომპონენტიანობა საშუალებას არ იძლეოდა ერთნიშნად დაედგინათ მანგანუმის როლი მინის წარმოქმნაში. საჭირო გახდა სისტემების გამარტივება, რათა შემცირებულიყო სხვადასხვა ბუნებისა და ფუნქციის მატარებელი ოქსიდის

გავლენა მანგანუმის მდგომარეობაზე ამორფულ მყარ სხეულში. ასე გადაიქცა კონკრეტულად არჩეული კვლევის ობიექტი სილიკატების კათედრის ერთ-ერთ მთავარ სამეცნიერო მიმართულებად – უხვმანგანუმიანი კომპოზიციების მინისებრ მდგომარეობაში გარდაქმნის თეორია და პრაქტიკა.

ამ სამეცნიერო მიმართულებამ მოიცვა მარტივი და რთული ბორატული, ბორსილიკატური და სილიკატური უხვმანგანუმიანი კომპოზიციების კვლევა ბატონ კალეს, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ბატონი არჩილის ხელმძღვანელობით.

კვლევის მასშტაბურობის მნიშვნელობისათვის აღვნიშნავთ, რომ ერთდროულად წყდებოდა მიმართულების სამი ძირითადი ამოცანა: პირველი დაკავშირებული იყო მანგანუმის სტრუქტურული ფუნქციების გამორკვევასთან მინისებრი მდგომარეობის მიღებისას, მეორე – ამ ფუნქციათა გამომწვევი მიზეზების, ხოლო მესამე – უხვმანგანუმიანი მინების პრაქტიკული გამოყენების სფეროების დადგენასთან.

კომპლექსური კვლევებით დადგინდა, რომ მინებში მოსალოდნელია მანგანუმის ორი ვალენტური მდგომარეობა ( $Mn^{2+}$  და  $Mn^{4+}$ ). პირველი ასრულებს იონ-მოდიფიკატორის როლს, ხოლო მეორეს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა კლასიკური იონ-მინაწარმომქმნელთან ერთად, სივრცული გისოსის შექმნაში. მინების მიღების და დამუშავების განსაკუთრებულ პირობებში არ არის გამორიცხული  $Mn^{3+}$ -ისა და  $Mn^0$ -ის არსებობა.

აღნიშნულმა დასკვნებმა ბატონ არჩილსა და მის თანამშრომლებს მრავალი ახალი მინისა და მინასიტალების შექმნის საშუალება მისცა. მიიღეს მაღალი ელექტროწინაღობის მინები, მინები მოცულობითი და ზედაპირული გამტარობით (ნ. ქუთაოელაძე, თ. ჭეიშვილი, ნ. დამბაშიძე, თ. გრიგოლია, დ. ევგენიძე და სხვები), მინამასალები სხვადასხვა ბუნების ლითონთა რჩილვისათვის (ვ. ფილიშვილი, ვ. ნარუსლიშვილი, ვ. ბერძენიშვილი და სხვები), სხვადასხვა დანიშნულების მინანქრები, რომლებიც გამოირჩეოდა ადვილდნობადობითა და მაღალი ქიმიური მედეგობით (ვ. გორდელაძე, თ. ერისთავი, ვ. პავლოვა, თ. მატოიანი, ი. ზედგინიძე, ი. ბერძენიშვილი, ი. კვეთერელი-კოპაძე და სხვები), მინანქრული თვითშეწონადი სუსპენზიები (ვ. გორდელაძე, მ. რაზმაძე და სხვები).

კვლევებით მიღებული შედეგები მოხსენებულ იქნა საერთაშორისო კონგრესებზე, ყოფილ საბჭოთა კავშირში გამართულ კონფერენციასა თუ თათბირებზე, შეტანილია საცნობარო ლიტერატურაში.

ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის კათედრაზე უხვმანგანუმიანი მინებისა და მინამასალების კვლევა გადაიზარდა ზოგადსამეცნიერო პრობლემის გადაწყვეტის მცდელობაში – მრავალკომპონენტიანი ბუნებრივი და ტექნოგენური სისტემების მაღალტექნიკურული ქცევის შესწავლა-პროგნოზირებაში.

ბატონი არჩილი თვლის, რომ კვლევის ამ მიმართულების განვითარება უშუალოდ დაკავშირებულია მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი ორი მეცნიერის მოღვაწეობასთან (ნიკოლოზ ლანდია და მჭედლიშვილ-პეტროსიანი). სწორედ მათთან კონსულტაციებით განვითარდა კათედრაზე ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის კვლევები.

ექსპერიმენტულ სამუშაოებსა და თეორიულ გაანგარიშებებში ჩაერთნენ ფიზიკური და კოლოიდური ქიმიისა და მონათესავე კათედრების თანამშრომლები: თ. კაჭახიძე, ქ. გალუაშვილი, ც. ნაჭყებია, დ. ბიბილეიშვილი, ვ. გორდელაძე, მ. რაზმაძე, ვ. მინდინი, თ. ჭეიშვილი, ა. გოგიშვილი, დ. ერისთავი, მ. მშვილდაძე,

მ. კაპანაძე; კათედრის ასპირანტები: ნ. ყურშუბაძე, ვ. კურცხალია, ვ. მშვილდაძე; სამეცნიერო აკადემიური წოდების მაძიებელნი: ე. ნიკოლეიშვილი, დ. ჯინჭარაძე, მ. გუგეშიძე, ე. მაცაბერიძე, დ. კოტრიკაძე, ნ. რაჭველიშვილი.

მათი ერთობლივი მუშაობის შედეგია მრავალკომპონენტიანი სისტემების შეფასებაპროგნოზირების ე.წ. თერმოდინამიკურ-პეტროქიმიური მიდგომა, რომელიც ეფუძნება ქიმიური თერმოდინამიკის, ფაზური წონასწორობისა და პეტროქიმიის დებულებებს. მათი მონაწილეობით მოდიფიცირებულ იქნა თერმოდინამიკური პარამეტრების მონაცემთა ბაზაში არარსებული მარტივი და რთული 100-მდე ნივთიერების სტანდარტულ მოლურ სიდიდეთა ანგარიშის მეთოდი, დაფუძნებული სტრუქტურული ანალოგიისა და ადიტიურობის პრინციპებზე. შეიქმნა ზედაპირულად ნახევარგამტარი აფსკების შექმნისა და პროგნოზირების მათემატიკური (თ. ჭეიშვილი, ვ. კურცხალია) და თვითშეწონადი მინანქრული სუსპენზიების ფიზიკურ-ქიმიური მოდელები (ვ. გორდელაძე, მ. რაზმაძე).

კვლევის შედეგები წარდგენილ იქნა ათეულ საერთაშორისო კონფერენციასა და კონგრესზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბატონი არჩილის ხელმძღვანელობით შესრულებული კვლევა ძველქართული (ძვ. წ. V-III საუცუნები) მინების სფეროში (რ. ჩაგუნავა, მ. კაპანაძე), რომელმაც ცხადყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ იმ დროს საქართველო მინის წარმოების (კეთების) ერთ-ერთი ცენტრი იყო. კვლევის შედეგები მონოგრაფიის სახით გამოიცა (რ. ჩაგუნავა, მ. კაპანაძე), რომელიც დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

1976–1990 წლებში ნათლად იკვეთება ბატონი არჩილის, როგორც მეცნიერისა და ტექნიკის ორგანიზატორის როლი. ა. სარუხანიშვილი ამ პერიოდში იყო რა ყოფილი სსრკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო საბჭოს ორი (მინანქრისა და ხურებამედები საფარების) სექციის წევრი, სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის „მყარი ელექტროლიტების“ სექციის წევრი, დ. მენდელეევის სახ. ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების პრეზიდიუმის წევრი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მრავალი სახის მასალათა სფეროში მიმდინარე სამეცნიერო და ინოვაციური ტექნოლოგიებში, სამუშაოთა კოორდინაციაში, იყო მხატვრული მინის რამდენიმე საწარმოს ინიციატორი და განმხორციელებული, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს პირველი თავმჯდომარე, საკავშირო და საერთაშორისო თაობირების, კონფერენციების ორგანიზატორი და სარედაქციო საბჭოს წევრი, ოპონირებას უწევდა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებს.

მიუხედავად საქართველოში მიმდინარე მოვლენებისა, რომლის მოწმე და მონაწილე ხშირად იყო, მძიმე ავადმყოფობისა და რთული ქირურგიული ოპერაციის გადატანისა,

სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომებისა, რომელშიც მისი ვაჟი მონაწილეობდა და მძიმე კანტუზით დაბრუნდა, არაკორექტული დამოკიდებულებისა მეცნიერებასა და უმაღლეს სკოლებში მოღვაწე ადამიანებისა, ბატონი არჩილი კვლავ აგრძელებს აქტიურ სამეცნიერო-ტექნიკურ, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1990–2014 წლებში საქართველოს გამომგონებელთა და ინტელექტუალურ მესაკუთრეთა ასოციაცია „პარაგონის“ მთავარი მრჩეველი, „ევროსაიენსის“ საქართველოს განყოფილების ერთ-ერთი დამფუძნებელი, 2000–2008 წლებში რუსეთის მინანქრის სპეციალისტთა აკადემიის ნამდვილი აკადემიკოსი, საქართველოს კერამიკოსთა ასოციაცია „კერამიკის“ ვიცე-პეზიდენტი და ამ ასოციაციის უურნალის მთავარი რედაქტორის მოადგილეა.

დღეს ბატონი არჩილის სამეცნიერო-ტექნიკური და პედაგოგიური მოღვაწეობის ძირითადი მონაგარია: სამასამდე პუბლიკაცია სამამულო და უცხოურ სამეცნიერო-ტექნიკურ პერიოდიკაში, 70-მდე სამეცნიერო-ტექნიკურ სამამულო და საერთაშორისო კონფერენციაში, სიმპოზიუმში, თათბირსა თუ კონგრესში მინაწილეობა, 5 მონოგრაფია, 60-მდე საავტორო მოწმობა გამოგონებაზე და პატენტი, 6 ძირითადი სახელმძღვანელო, 35-მდე სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა, 19 საკანდიდატო და 2 სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელობა და კონსულტაცია, 5 აკადემიური დოქტორისა და 5 მაგისტრის მომზადება.

ბატონ არჩილს უზომოდ უყვარს თავისი ოჯახი, მისთვის ყოველთვის პატარა დაიკონია, დღეს ექვსი შვილიშვილის ბებია, ერთგული მეუღლე მარგალიტა კუპატაძე – ახლო წარსულში ახალგაზრდა პოლიგრაფისტთა აღმზრდელი. რა გასაკვირია, რომ უყვარს შვილები: თინიკო – ექიმი, ირაკლი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, გადამდგარი ვიცე-პოლკოვნიკი. ამაყობს სიძეებით: პროფესორი რამაზ მახვილაძე – საქართველოში ცნობილი მშენებელ-ეკონომისტი და ტარიელ ფუტკარაძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, აჭარაში ცნობილი ქირურგი. განსაკუთრებით უყვარს შვილიშვილები: აჩიკო, სოფიკო, თათია და ლადო.

უყვარს კითხვა, კლასიკური და საესტრადო მუსიკის მოსმენა, არის სპორტის სხვადასხვა სახეობის გულშემატკივარი, აქტიური მეთევზე.

ასეთია ბატონი არჩილი. მას არ ემჩნევა 80 წელი, თუ არ ჩავთლით თმის სრულ გათეთრებას, განვლილმა წლებმა რომ დაათვა და მძიმე ნაბიჯებს – კიბეზე ასვლისას.

ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს, დღეგრძელობას, დაუშრებელ ენერგიას, რათა კვლავაც აჩუქოს ირგვლივ მყოფ ადამიანებს სიკეთე და სითბო, ასე უშურველად რომ გასცემს ყოველთვის.

მრავალუმიერ თქვენ ბატონო არჩილ!

**ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი  
საქართველოს კერამიკოსთა ასოციაცია,  
უურნალ „კერამიკის“ რედაქტორი**

## თეიმურაზ ჭეიშვილი



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის, ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორს, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილს დაბადებიდან 65 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ ბატონ თეიმურაზს საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ წარმატებებს. მან სამეცნიერო მოღვაწეობა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაიწყო და გაიარა გზა ლაბორანტიდან სრულ პროფესორამდე. 1971 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ასპირანტურაში და 25 წლის ასაკში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. თემა, რომელიც ნაშრომში განიხილებოდა, მომდევნო წლებში სისტემატური კვლევების ჩატარების საფუძველი გახდა, რაც საღოქტორო დისერტაციის დაცვით დაგვირგვინდა.

ბატონი თეიმურაზი ახალი სახის უხვმანგანუმიანი ამორფული (მინისებრი) სხეულების მიღების ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლების ჩამოყალიბების ერთ-ერთი თანაავტორია. მან განავრცო ამ სფეროში მიღებული შედეგები დ ელემენტთა შემცველი ორ-, სამ- და მრავალკომპონენტიან სისტემებში მინის წარმოქმნის, აღნაგობის და, შესაბამისად, თვისებების გამოვლინების კანონზომიერებათა თავისებურების ახსნისათვის, რითაც ყველა წინაპირობა შექმნა ასეთი სისტემების ბაზაზე მიღებული მასალების პრაქტიკული გამოყენებისათვის. ამ სისტემათა შედეგნილობა საშუალებას იძლევა, სინთეზის პირობების შეცვლით, ამორფული ან ამორფულმატრიციანი მასალები მივიღოთ, ხშირად, საპირისპირო თვისებებით მოცულობასა თუ ზედაპირზე. ამ კვლევათა შედეგები შეტანილ იქნა საცნობარო ლიტერატურაში, განიხილებოდა სხვადასხვა რანგის სამეცნიერო ფორუმებზე და იწვევდა საინტერესო დისტანციას, გამოქვეყნდა სამეცნიერო-ტექნიკურ სამამულო და უცხოურ პერიოდიკაში. ბატონი თეიმურაზის სამეცნიერო-საწარმოო საქმიანობის სფერო მრავალმხრივია. მისი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით მრავალი საკვლევი და საწარმოო პროფილის სამუშაო შესრულდა – სპეციალური ელექტროტექნიკური, ოპტიკური მინები, არაორგანული საფარები და აგრარულ საქმეში გამოყენებული მასალები, მინის მრეწველობის ნედლეულის ბაზის გაფართოება, მინის ქარხნებში ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა და სხვა. წლების განმავლობაში იყო „ГКНТ“-ის (მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი) არაორგანული ხურებამედეგი საფარის სექციის წევრი, საკავშირო მნიშვნელობის კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და პასუხისმგებელი მდივანი.

ბატონ თეიმურაზს გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და არის 6 გამოგონების აგენტი, მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო კონფერენციაში. კოლეგებთან ერთად მიღებულ შედეგებს არცთუ იშვიათად იყენებდნენ და იყენებენ სხვადასხვა ქვეყნის მკაფიოდები.

შთამბეჭდავია ბატონი თეიმურაზის მოღვაწეობა სასწავლო პროცესში. იგი სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებს იცნობს და უნარი შესწავს ტექნიკურ უნივერსიტეტში დანერგოს ისინი. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია და დაცული ათზე მეტი სამაგისტრო ნაშრომი, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იგი დღესაც აქტიურადაა ჩაბმული დოქტორანტებისა და მაგისტრანტების აღზრდა-სწავლების პროცესში.

ბატონი თეიმურაზი ნაყოფიერად მონაწილეობს ფაკულტეტის სტუდენტებისათვის საჭირო სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის შექმნაში. მას ინდივიდუალურად და კოლეგებთან ერთად გამოცემული აქვს არაერთი სახელმძღვანელო, დამსმარე სახელმძღვანელო და მეთოდური ხასიათის მასალები. მისი ლექციები და პრაქტიკულები, სწავლების ყველა საფეხურის სტუდენტებისათვის, გამოირჩევა საკითხების დრო განხილვით, ხოლო ლაბორატორიული სამუშაოები – ექსპერიმენტისადმი ფაქიზი მიღებომით.

წლების განმავლობაში ბატონი თეიმურაზი აქტიურად იყო ჩაბმული ინსტიტუტის და რესპუბლიკის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოების საქმიანობაში, იყო სპი-ის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე და ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სპი-ის დიდი საბჭოს და ფაკულტეტის აკადემიური საბჭოს წევრი. არჩეული იყო სტუ-ის პირველი მოწვევის წარმომადგენელთა საბჭოში, შრომების სარედაქციო საბჭოში და სხვა. ამჟამად ხელმძღვანელობს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს, სადოქტორო პროგრამას „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია“, არის კერამიკოსთა მსოფლიო ფედერაციის, ევროპის კერამიკოსთა ასოციაციის და უურნალ „კერამიკის“ რედკოლეგიის წევრი.

ბატონი თეიმურაზი განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის თანამშრომლებს, სტუდენტებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს შორის.

ის ტრადიციულ ქართულ ოჯახში ადიზარდა, მისი წარმატებები შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა მისი დედის, კეთილშობილი ქალბატონ ნათელას თავდაუზოგავი შრომა, რომელიც დღენიადაგ იღწვოდა, რათა წარმატებულ და სასახელო მამულიშვილად ჩამოყალიბებულიყო, მან ხომ ოთხი შვილი ობლობაში გამოზარდა.

ბატონმა თეიმურაზმა ტრადიცია ღირსეულად გააგრძელა და დღეს ყველასათვის საამაყო ქართული ოჯახის თავგაცია. მას გვერდს უმშვენებს თბილი, მოსიყვარულე, უსათნოესი და არაჩვეულებრივი ხიბლით შემკობილი მეუღლე მანანა, გამორჩეული პროფესიონალიზმით დაჯილდოებული პედაგოგი, რომელიც მეუღლის თითქმის ყველა წარმატების ხელშემწყობი და გამზიარებელია. ბატონი თეიმურაზს განსაკუთრებული ნიჭიერებით, შრო-

მისმოყვარეობით და წესიერებით გამორჩეული შვილები პყავს. მამის მოსახელე თემო (თეიმურაზი) ევროპაში (პოლანდია) ერთ-ერთი მსხვილი ING საფინანსო ჯგუფის ინვესტიციების დირექტორია, რომელიც ორი წელია დაქორწინდა შესანიშნავ ქეთრინზე, რითაც ძალზე გაახარა ყველა მისი ახლობელი და გულშემატკივარი. უმშვენიერები ქალიშვილი თამარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია და წარმატებით იღწვის ანტიკური ფილოლოგიის დარგში, არის მეცნიერებათა კანდიდატი.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ ბატონ თეიმურაზს საიუბილეო თარიღებს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ოჯახის კეთილდღეობას, ახალ წარმატებებს მის მრავალფეროვან მოღვაწეობაში.

**ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის  
გაეულტეტი,**

**საქართველოს კურამიკოსთა ასოციაცია  
ურნალ „კურამიკის“ სარედაქციო კოლეგია**

# შინაარსი

## ბახსენება

გალინა ნიკოლოზის ასული მასლენიკოვა .....	3
გოგი ჭირაქაძე .....	6

## მეცნიერება და ტექნოლოგია

ი. ბერძენიშვილი. ბუნებრივი მინერალი .....	8
გ. გაფრინდაშვილი. მინერალი ფაზის როლი ფაზურის დიდებების და როსახოვანი იანუსი .....	12
ზ. კოვზირიძე, ნ. ნიუარაძე, ვ. ქინქლაძე. SiC-BN პომპოზიტის მიღება .....	17
ზ. კოვზირიძე, ნ. ნიუარაძე, გ. ტაბატაძე, თ. ჭეიშვილი,	
ზ. მესტვირიშვილი, მ. მშვილდაძე, ე. ნიკოლეიშვილი, ნ. დარახველიძე.	
ნიტროალუმინიტორმული პროცესებით სიალონების მიღება .....	23
ზ. კოვზირიძე, ნ. ნიუარაძე, მ. ბალახაშვილი. დოლომიტ-სერკენტინიტური კლინკერის გამოყენება მეტალურგიული თბერი აბრეგატების ამონაბის ტორპოლეტირებისათვის .....	32
გ. ლოლაძე, ზ. ლომიძე. 3D სტერეოსკოპული ბადაღების ბანვითარების ზოგიერთი ასპექტი .....	40
ა. სარუხანიშვილი, ვ. გორდელაძე, ნ. ანდლულაძე. $\text{Na}_2\text{CO}_3 - \text{SrCO}_3 - \text{BaCO}_3 - \text{H}_3\text{BO}_3 - \text{SiO}_2$ სისტემაში დაბალტემატურული პროცესების თერმოდინამიკური შეფასება .....	44
თ. ჭეიშვილი, ზ. ჯავაშვილი. ქვარლის ფიქლის საფუძველზე ვოროვანი მასალის მიღების შესაძლებლობის შესწავლა .....	49
მილოცვა	
გურამ გაფრინდაშვილი .....	53
ზვიად კოვზირიძე .....	54
ნანა მჭედლიშვილი .....	67
არჩილ სარუხანიშვილი .....	71
თეიმურაზ ჭეიშვილი .....	78

# CONTENTS

## REMINDING

<b>Galina Maslennikova</b> .....	3
<b>Gogi Chirakadze</b> .....	6

## SCIENCE END TECHNOLOGY

<b>I. Berdzenishvili.</b> NATURAL GLASSES .....	8
<b>G. Gaprindashvili.</b> THE ROLE OF THE VITREOUS PHASE IN PORCELAIN DIELEKTRIC AND A TWO FACED JANUS .....	12
<b>Z. Kovziridze, N. Nijaradze, V. Qinqladze.</b> OBTAINING OF COMPOSITE IN SiC-BN SYSTEM.....	17
<b>Z.Kovziridze, N. Nizharadze, G.Tabatadze, T.Cheishvili, Z.Mestvirishvili, M.Mshvildadze, E.Nikoleishvili, N.Darakhvelidze.</b> OBTAINING OF SIALON-S WITH NITRO-ALUMOTHERMAL PROCESSES .....	23
<b>Z. Kovziridze, N. Nizharadze, M. Balakhashvili.</b> APPLICATION OF DOLOMITE-SERPENTINITE CLINKER FOR GUNNING OF BEDDING OF METALLURGICAL THERMAL AGGREGATES .....	32
<b>G. Loladze, Z. Lomidze.</b> SOME SPECTS OF 3DSTEREOSCOPIC PHOTOGRAPHY DEVELOPMENT .....	40
<b>A. Sarukhanishvili, V.Gordeladze, N. Andguladze.</b> THERMODYNAMIC ASSESSMENT OF LOW-TEMPERATURE PROCESSES IN THE SYSTEM OF $\text{Na}_2\text{CO}_3 - \text{SrCO}_3 - \text{BaCO}_3 - \text{H}_3\text{BO}_3 - \text{S}_1\text{O}_2$ .....	44
<b>T. Cheishvili, Z. Javashvili.</b> FEASIBILITY STUDY TO OBTAIN POROUS MATERIALS ON THE BASE OF SHALE OF KVARELI ORIGIN .....	49

## GREETING

<b>Guram Gaprindashvili</b> .....	53
<b>Zviad Kovziridze</b> .....	54
<b>Nana Mchedlishvili</b> .....	67
<b>Archil sarukhanishvili</b> .....	71
<b>Theimuraz Cheishvili</b> .....	78

# СОДЕРЖАНИЕ

## ВОСПОМИНАНИЕ

Галина Николаевна Масленникова .....	3
Гоги Чиракадзе .....	6

## НАУКА И ТЕХНОЛОГИЯ

Бердзенишвили И.Г. ПРИРОДНЫЕ СТЕКЛА.....	8
Гаприндашвили Г.Г. РОЛЬ СТЕКЛОВИДНОЙ ФАЗЫ В ФАРФОРОВЫХ ДИЭЛЕКТРИКАХ И ДВУЛИКИЙ ЯНУС .....	12
Ковзиридзе З.Д., Нижарадзе Н.С., Кинкладзе В.Л. ПОЛУЧЕНИЕ КОМПОЗИТА НА ОСНОВЕ SIC-BN .....	17
Ковзиридзе З.Д., Нижарадзе Н.С., Табатадзе Г.С., Чейшвили Т., Мествиришвили З.З., Мшвидадзе М.Дж., Николеишвили Е.Т., Дарахвелидзе Н.Ю. ПОЛУЧЕНИЕ СИАЛОНОВ НИТРО-АЛЮМИНОТЕРМИТНЫМ МЕТОДОМ .....	23
Ковзиридзе З. Д., Нижарадзе Н.С., Балахашвили М.И. ПРИМЕНЕНИЕ ДОЛОМИТ-СЕРПЕНТИНИТОВОГО КЛИНКЕРА ДЛЯ ФУТЕРОВКИ МЕТАЛЛУРГИЧЕСКИХ ТЕПЛОВЫХ АГРЕГАТОВ МЕТОДОМ ТОРКРЕТИРОВАНИЯ .....	32
Лоладзе Г.З., Ломидзе З.А. НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ РАЗВИТИЯ СТЕРЕОСКОПИЧЕСКОЙ 3Д-СЪЕМКИ.....	40
Саруханишвили А.В., В.Г. Горделадзе В.Г., Н.Ш. Андгуладзе Н.Ш. ТЕРМОДИНАМИЧЕСКАЯ ОЦЕНКА НИЗКОТЕМПЕРАТУРНЫХ ПРОЦЕССОВ В СИСТЕМЕ $\text{Na}_2\text{CO}_3 - \text{SrCO}_3 - \text{BaCO}_3 - \text{H}_3\text{BO}_3 - \text{S}_1\text{O}_2$ ....	44
Чеишвили Т.Ш., Джавашвили З.Д. ИЗУЧЕНИЕ ВОЗМОЖНОСТИ ПОЛУЧЕНИЯ ПОРИСТЫХ МАТЕРИАЛОВ НА ОСНОВЕ КВАРЕЛЬСКОГО СЛАНЦА .....	49
<b>ПОЗДРАВЛЕНИЕ</b>	
Гурам Гаприндашвили .....	53
Звиад Ковзиридзе.....	54
Нана Мchedлишвили .....	67
Арчил Саруханишвили .....	71
Теимураз Чеишвили .....	78

kompiuterul i uzrunvel yofa: e. qarčava, x. ungi aZe  
redaqtorebi: l. mamal aZe, m. preobraJenskai a, d. SoSi aSvili

**saqarTvel os keramikosTa asociacia 2007  
wl i dan gawevrianda keramikosTa msofi io federaci aSi**

**saqarTvel os keramikosTa asociacia 2002 wl i dan evropis  
keramikosTa asociaci s wevria**

**saqarTvel os keramikosTa asociacia daarsda 1998 wel s  
Jurnal i daarsda 1999 wel s**

Jurnal Si statiebi i bewdeba qarTul , ingl isur, germanul da rusul enebze

*gamoqveynebul i masal is avtorebi pasuxismgebel ni arian moyvani i  
faqtebis, citatebis da sxva monacemebis Serčevasa da sizusteze, aseve Ria  
publ ikaciaSi kanoniT akrZal ul i monacemis gaxmaurebaze.  
redaqcias SeuZl ia gamoqveynos masal ebi ise, rom ar iziarebdes avtoris  
Sexedul ebebs.*

*Авторы публикуемых материалов несут ответственность за подбор и точность приведенных фактов, цитат и других сведений, а также за неразглашение сведений, запрещенных законом к открытой публикации.*

*Редакция может публиковать материалы, не разделяя точку зрения автора.*

*Authors of the published materials are responsible for choice and accuracy of adduced facts, quotations and other information, also for not divulging information forbidden open publication.*

*Publishing material the editorial board may not share the views of the author.*

Tbilisi, `keramika~, 2(32),2014  
masal is gadabeWvdvisas Jurnal is miTiTeba aucil ebel ia

ТБИЛИСИ, “КЕРАМИКА”, 2(32), 2014

При перепечатке ссылка на журнал обязательна  
TBILISI, “CERAMICS”, 2(32), 2014

Reference of magazine is obligatory on reprinting

pirobiti nabeWdi Tabaxi 5. tiraji 100 egz., SekveTa # fasi saxel Sekrul ebo.

saqarTvel os keramikosTa asociacia, Tbilisi, kostavas 69, tel : 233-53-48, Sida 62-39,  
E-mail: kowsiri@gtu.ge, z. kovzirize

<http://www.ceramics.gtu.ge>

---

---